



სახელმწიფო  
ინსპექციის  
სამსახური

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების სფეროში საუკეთესო  
ევროპული პრაქტიკის კვლევა

*კვლევა მომზადებულია სახელმწიფო ინსპექტორის ინიციატივით  
ევროპის საბჭოს პროექტის „არასრულწლოვან და ზრდასრულ  
თავისუფლებათა კვებით პირთა მხარდაჭერა (JADES)“ მხარდაჭერით  
კვლევის ავტორი - გიორგი ჩხეიძე*

2020 წელი, მაისი

## სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	<b>4</b>
<b>ა. მანდატი, იურისდიქცია და თანამშრომლობა სხვა საპროკურორო და საგამომიებო ორგანოებთან</b> .....	<b>6</b>
იურისდიქცია .....	6
დამატებითი მანდატი .....	9
თანამშრომლობა პროკურატურის ორგანოებთან .....	11
ურთიერთქმედება პოლიციასთან და სხვა საგამომიებო ორგანოებთან .....	14
<b>ბ. ეფექტური ფუნქციონირების გარანტიები (გამომიება)</b> .....	<b>16</b>
წვდომა სასამართლო ექსპერტიზის და ვიდეო/აუდიო ჩანაწერების სახით არსებულ მტკიცებულებებზე, ფარული საგამომიებო მოქმედებები .....	16
<b>გ. შეტყობინების/საჩივრების წარდგენის მექანიზმები და მსხვერპლებთან და მოწმეებთან ურთიერთქმედება</b> .....	<b>20</b>
<b>დ. ინსტიტუციური მოწყობა და გამომიებლების დაქირავება და შესაძლებლობების განვითარება</b> .....	<b>25</b>
შიდა სტრუქტურა და მართვისა და დაფინანსების საკითხები .....	25
დაქირავების პრაქტიკა, მუშაობის გამოცდილება და მოთხოვნები .....	32
სამუშაო ადგილზე ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული სხვა ინციატივები.....	45
<b>ე. ანგარიშგება, ზემოქმედების შეფასება და საზოგადოებასთან კომუნიკაცია</b> .....	<b>47</b>
დამოუკიდებლობის პრინციპი.....	47
ანგარიშგების სისტემა და ზემოქმედების შეფასება .....	49
საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR).....	57
თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან სახელმწიფოთაშორის დონეზე .....	59
<b>დასკვნები და ზოგადი რეკომენდაციები</b> .....	<b>61</b>

## შესავალი

2019 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს (SIS) ოფიციალურად მიენიჭა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი წამებისა და სხვა მძიმე დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება. ეს იყო იმ რეფორმის კულმინაცია, რომელიც საქართველოში ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში განიხილებოდა და რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი და ეფექტური საგამომიებო ორგანოს შექმნას სამართალდამცავ სისტემაში დაუსჯელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ რეფორმა ამ დღეს არ დასრულებულა. ამ მომენტიდან ახალი სისტემის დანერგვის და ეფექტური ინსტიტუტების ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დაიწყო. ამ ახლადშექმნილი ინსტიტუტის (ახალი საგამომიებო უფლებამოსილების პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვის ფუნქციასთან შერწყმის შედეგად) პირველი რამდენიმე თვის საქმიანობა, მიმდინარე პროცესები და არსებული გამოწვევები შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის ახლახან წარდგენილ წლიურ ანგარიშში<sup>1</sup>. კომპლექსური ინსტიტუციური განვითარების ამ გზაზე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაეცნოს საერთაშორისო სტანდარტებს, და ასევე საუკეთესო პრაქტიკას, მიღწევებსა და გამოწვევებს, რომელთა წინაშე მსგავსი ინსტიტუტები დგანან საზღვარგარეთ.

წინამდებარე კვლევა მომზადებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ტექნიკური დახმარების გაწევაზე მიმართული ევროპის საბჭოს პროექტის დავალებით და იგი მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმების სფეროში საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შედარებითი ანალიზის ჩატარებას საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ღირებული ინფორმაციისა და წინადადებების მისაწოდებლად მომავალი ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების ხელშესაწყობად.

კვლევის საწყის ეტაპზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი საკითხები, რომლებიც ამ ინსტიტუტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. მკვლევარმა შეისწავლა ამ სფეროში არსებული კვლევები, აგრეთვე წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT), გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის (UN CAT) და ადამიანის უფლებათა სხვა რეგიონალური და საერთაშორისო ორგანოების მიერ ცალკეულ სახელმწიფოებთან მიმართებაში მომზადებული ანგარიშები, რათა გამოევლინა ის ქვეყნები და სისტემები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა შესასწავლად კვლევის მიზნის გათვალისწინებით. კვლევის პრიორიტეტს წარმოადგენდა ისეთი სისტემის გამოვლენა, სადაც შედარებით დამოუკიდებელი საგამომიებო ინსტიტუტი არსებობს, საპოლიციო/სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მონიტორინგის/დისციპლინური სისტემების საპირისპიროდ.

<sup>1</sup> იხილეთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელიც მან საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 2020 წლის მარტში.

გარდა ამისა, მკვლევარმა გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (ომბუდსმენი) განსაკუთრებული როლი ევროპის საბჭოს ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ მათი როლი სამართალდამცავ სისტემებში დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, კვლევის მიზანს შეადგენდა იმ ინსტიტუტების შესწავლა, რომელთაც გამოძიების/მოკვლევის (და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო წესით დევნის) ოფიციალური უფლებამოსილება გააჩნიათ. ქვემოთ ანგარიშში მოყვანილია შერჩეულ ქვეყნებსა და იურისდიქციებში არსებული ყველაზე საინტერესო დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოების მიმოხილვა (მაგ., ჩრდილოეთ ირლანდია, ინგლისი და უელსი, გაერთიანებული სამეფო, სკანდინავიის სახელმწიფოები). მიუხედავად იმისა, რომ ევროპული იურისდიქციები კვლევის მთავარი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, მკვლევარმა გააანალიზა გლობალურად აღიარებული საუკეთესო მაგალითები სხვა კონტინენტებიდან, მაგალითად, ევროპის საბჭოს დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნების (კანადა, ისრაელი) და სხვა ქვეყნების გამოცდილება (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, იამაიკა, გვატემალა). წინამდებარე ანგარიში ემყარება შესაბამისი ანგარიშების სამაგიდე ანალიზს და გარკვეული ვებ-რესურსებიდან ოფიციალურად ხელმისაწვდომ მონაცემებს. გარდა ამისა, მკვლევარმა ჩაატარა რამდენიმე ინდივიდუალური ინტერვიუ საერთაშორისო ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან.<sup>2</sup> დაბოლოს, ცალკეული სისტემების ანალიზისას, მკვლევარმა მხედველობაში მიიღო შესაბამისი ქვეყნების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების მახასიათებლები და სამართალდამცავი ინსტიტუტების მართვის ძირითადი ელემენტები.

ეს დოკუმენტი არ ისახავს მიზნად ევროპის ქვეყნებში დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოების ყველა საქმიანობის შესწავლას, არამედ მისი მიზანია შერჩეულ სფეროებში მათი საუკეთესო პრაქტიკის და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. როგორც ამ დოკუმენტში მოყვანილ დასკვნებსა და ზოგად რეკომენდაციებშია აღნიშნული, ამ სისტემის შემდგომი შესწავლა და სხვა ქვეყნების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ხელსაყრელი იქნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განვითარებისთვის.

---

<sup>2</sup> კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ პირებთან: ბატონი დანიელ ჰოლდერი, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია, გაერთიანებული სამეფო (2020 წლის 21 აპრილი); ბატონი იან სკოტი, სპეციალური საგამომიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი); ბატონი ჯონ უედჰემი, პოლიციის საჩივრების დამოუკიდებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (გაერთიანებული სამეფო), ამჟამად გაერთიანებული სამეფოს ეროვნული პრევენციული მექანიზმის დამოუკიდებელი თავმჯდომარეა (27 აპრილი); ქალბატონი ანა მირიამ როკატელო, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, პროგრამების დირექტორი, გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი, და ბატონი ჰოვარდ ვარნი, ICTJ (27 აპრილი); ქალბატონი ბარბარა ბერნათი, გენერალური მდივანი და ქალბატონი ევა ქსერგო, ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამების ოფიცერი, წამების პრევენციის ასოციაცია (APT) (28 აპრილი); ბატონი ბრუნო მინი, პოლიტიკის უფროსი მრჩეველი, სამართლიანი სასამართლოები, გაერთიანებული სამეფო (30 აპრილი); რამდენიმე კომუნიკაცია ბატონ ედ ლოიდ კეიპთან, სისხლის სამართლისა და პრაქტიკის საპატიო პროფესორთან, გამოყენებითი იურიდიული კვლევების ცენტრი, სამართლის განყოფილება, ინგლისის დასავლეთის უნივერსიტეტი, და პროფესორი რეიჩელ მიურეი, დირექტორი, ადამიანის უფლებების განხორციელების ცენტრი, სამართლის სკოლა, ბრისტოლის უნივერსიტეტი.

## ა. მანდატი, იურისდიქცია და თანამშრომლობა სხვა საპროკურორო და საგამომიებო ორგანოებთან

საერთაშორისო სამართალი არ არეგულირებს დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოების მანდატს. წამების, სხვა სახის არასათანადო მოპყრობისა და სიკვდილის შემთხვევებში, რასთანაც სამართალდამცავები არიან კავშირში, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT)<sup>3</sup> და გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტი (UN CAT) წევრ სახელმწიფოებს მიუთითებენ ამ შემთხვევების დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების აუცილებლობაზე. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების ევროპული სტანდარტების შესახებ ასევე წარმოადგენს სტანდარტების ყოვლისმომცველ წყაროს, რომლებიც ღირებულია წინამდებარე კვლევისთვის.<sup>4</sup> იმავდროულად, ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა ამ ინსტიტუტის ზუსტი მანდატის, იურისდიქციის და საპროცესო უფლებამოსილების განსაზღვრა.

### იურისდიქცია

*შემთხვევები, რომლებიც ჩვეულებრივ როგორც მინიმუმ, დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოების იურისდიქციაში ხვდება, არის დარღვევები, რომლებიც ჩადენილია პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, რამაც გამოიწვია სერიოზული დაზიანებები ან სხვა მძიმე შედეგები, მათ შორის ადამიანის გარდაცვალება.*

მთელი რიგი იურისდიქციები განსაზღვრავს ასეთი სერიოზული დარღვევების საილუსტრაციო ჩამონათვალს: პოლიციის ქცევის დამოუკიდებელი ოფისი (IOPC), რომელიც ინგლისისა და უელსში მოქმედებს (გაერთიანებული სამეფო), ზედამხედველობას უწევს პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების სისტემას და შემდეგ სფეროებში გამოძიების იურისდიქცია გააჩნია: გარდაცვალება ან მძიმე დაზიანებები პოლიციის მიერ დაკავებისას, ან ამ პერიოდის განმავლობაში; პოლიციის მხრიდან ცეცხლის გახსნა და გადაჭარბებული ძალის სავარაუდო გამოყენების შესახებ საჩივრები.<sup>5</sup> სპეციალურ საგამომიებო განყოფილებას (SIU)<sup>6</sup>, რომელიც ონტარიოში (კანადა) მოქმედებს, პოლიციის საქმიანობის გამოძიების მანდატი გააჩნია იმ შემთხვევებში, როდესაც პირი მძიმედ დაშავდა, ამტკიცებს, რომ მის მიმართ სავარაუდო

<sup>3</sup> მაგალითისთვის, იხილეთ CPT-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული ანგარიში შოტლანდიასთან დაკავშირებით, გაერთიანებული სამეფო: წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში გაერთიანებულ სამეფოში 2018 წლის 17-დან 25 ოქტომბრამდე, და 2019 წლის 11 ოქტომბერს შემდგარი ვიზიტის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680982a3c>.

<sup>4</sup> იხილეთ არასათანადო მოპყრობის ეფექტური გამოძიება, სახელმძღვანელო ევროპული სტანდარტების შესახებ, მეორე გამოცემა, ერიკ სვანიძე, 2014, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806f11a3>.

<sup>5</sup> იხილეთ ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <https://www.policeconduct.gov.uk/investigations/what-we-investigate-and-next-steps>.

<sup>6</sup> იხილეთ ინფორმაცია განყოფილების შემდეგ ვებგვერდზე: <https://www.siu.on.ca/en/index.php>.

სექსუალურ ძალადობას ჰქონდა ადგილი, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, და ასევე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ინციდენტები.<sup>7</sup>

ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენს (PONI), რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში (გაერთიანებული სამეფო) მოქმედებს და მკვლევარების მიერ აღიარებულია, როგორც „საპოლიციო გამოძიებების ოქროს სტანდარტი“<sup>8</sup>, იმ საქმეების გამოძიების ექსკლუზიური იურისდიქცია გააჩნია, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის გარდაცვალებასთან პოლიციელის მოქმედებების შედეგად. ასეთ შემთხვევებში პოლიციის რაიმე მონაწილეობა გამოძიებაში იკრძალება გამოძიების პირველივე მომენტიდან.<sup>9</sup>

სხვადასხვა ორგანოების იურისდიქციის შესწავლისას უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების უმეტეს ნაწილში ასეთი ინსტიტუტები, გარდა სისხლის სამართლის გამოძიების უფლებამოსილებისა, ასევე უფლებამოსილი არიან ჩაატარონ პოლიციელთა დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული მოკვლევა. პირველადი საჩივრის ან მიმართვის შედეგად შეიძლება წამოწყებული იქნას სხვა დისციპლინური მოკვლევა ან სისხლის სამართლის გამოძიება.

შესწავლილი ქვეყნების უმრავლესობაში დამოუკიდებელი მექანიზმები იძიებენ პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ფართო სპექტრს წარდგენილი საჩივრის, ან პოლიციის, იუსტიციის სამინისტროს ან სხვა შესაბამისი დაწესებულების მიერ საჩივრის ამ მექანიზმისთვის გადამისამართების საფუძველზე; ირლანდიის რესპუბლიკაში ეროვნული საპოლიციო ძალების ომბუდსმენის კომისია (Garda Síochána Ombudsman Commission-GSOC)<sup>10</sup> განიხილავს პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებს; პოლიციის საქმეთა გამოძიების ნორვეგიის ბიუროს<sup>11</sup> იურისდიქციაში შედის ნებისმიერი დანაშაულის გამოძიება და დევნა, რომელიც ჩადენილია საპოლიციო ძალების და პროკურატურის წარმომადგენლების მიერ, მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. იმავდროულად, იგივე ბიურო არ განიხილავს ზემოთ მითითებულ თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევებს;<sup>12</sup> ავსტრიის კორუფციასთან ბრძოლის ფედერალური ბიურო (BAK)<sup>13</sup> ატარებს საჯარო მოხელეების

<sup>7</sup> ყველაზე მძიმე დარღვევების მსგავსი ჩამონათვალი აგრეთვე არსებობს პოლიციის დამოუკიდებელი საგამომიებო დირექტორატის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა: <http://www.ipid.gov.za/>).

<sup>8</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაჰან მეერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ.6.

<sup>9</sup> იქვე

<sup>10</sup> იხილეთ <https://www.gardaombudsman.ie>; ასევე, <https://ipcan.org/members/garda-siochana-ombudsman-commission>; აგრეთვე იხილეთ ევროპის საბჭოს ქვეყნებში პოლიციაზე ზედამხედველობის შესახებ ანგარიში, ჯონი ბირნი, უილიამ პრესლი, (2015 წლის სექტემბერი), განახლებულია 2017 წლის თებერვალში უილიამ პრესლის მიერ, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, გვ. 31.

<sup>11</sup> იხილეთ <http://www.spesialenheten.no/English/Mainpage.aspx>.

<sup>12</sup> იქვე

<sup>13</sup> იხილეთ <https://www.bak.gv.at/en/101/start.aspx>; ასევე იხილეთ <https://polis.osce.org/country-profiles/austria#criminal-justice-system-9903>.

(მათ შორის პოლიციელების) კორუფციის ან გადაცდომების სავარაუდო შემთხვევების უსაფრთხოების და სისხლის სამართლის გამოძიებას; დანიის პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების შემსწავლელი დამოუკიდებელი ორგანოს (IPCA)<sup>14</sup> მანდატში შედის პოლიციის წარმომადგენლების მიერ (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას) ჩადენილი ყველა დანაშაულის გამოძიება. ისრაელის პოლიციის შიდა საგამომიებო დეპარტამენტის (MachaSh) ფუნქციებში შედის იმ შემთხვევების გამოძიება, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ დანაშაული ჩაიდინა პოლიციელმა, და ეს დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს მინიმუმ ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.

მრავალ განვითარებულ სისტემაში, სადაც ექსკლუზიური იურისდიქცია არ არის გათვალისწინებული, დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოები ასევე პასუხისმგებელი არიან მოქალაქეების მხრიდან საპოლიციო სააგენტოებში წარდგენილი საჩივრების განხილვის პროცესის ზედამხედველობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ისინი უფლებამოსილი არიან თავად ჩაატარონ გამოძიება (პროაქტიულად ან საჩივარზე/გასაჩივრებაზე დაყრდნობით). ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია ინგლისი და უელსი, სადაც არ არსებობს ერთადერთი ეროვნული საპოლიციო ძალა. ამის ნაცვლად, მოცემული იურისდიქციის ფარგლებში დაახლოებით 43 ოპერაციულად დამოუკიდებელი საპოლიციო ძალა ფუნქციონირებს, ადგილობრივ დონეზე ანგარიშვალდებული უფროსი კონსტაბლებით და პოლიტიკის და დანაშაულის საკითხებზე პასუხისმგებელი კომისრებით.<sup>15</sup> მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი საჩივარი ადგილობრივად წარადგინონ, ხოლო პოლიციელთა ქცევის დამოუკიდებელი ოფისი (IOPC) უფლებამოსილია შეისწავლოს, თუ როგორ იქნა განხილული ეს საჩივრები, და ასევე საკუთარი ინიციატივით, ან საჩივრის მისთვის გადამისამართების საფუძველზე, თავად გამოიძიოს საკითხი. ბელგიაში პოლიციის საქმიანობის მონიტორინგის მუდმივმოქმედი კომიტეტი (P კომიტეტი) ფედერალური პარლამენტის მიერ მისთვის მინიჭებული მანდატით ევალება იმოქმედოს როგორც საპოლიციო ორგანოების გარეშე დამოუკიდებელმა ორგანომ და იგი უფლებამოსილია მონიტორინგი გაუწიოს პოლიციაში რეფორმების გატარებას, მათ შორის, მოქალაქეების მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვას.<sup>16</sup>

კიდევ ერთი საინტერესო სისტემა არსებობს შოტლანდიაში (გაერთიანებული სამეფო). მსგავსად ინგლისისა და უელსისა, შოტლანდიის პოლიციის გამოძიებების შესწავლასა და გადასინჯვაზე პასუხისმგებელი კომისარი (PIRC) ინიშნება შოტლანდიის მინისტრთა კაბინეტის მიერ,<sup>17</sup> რომლის მანდატში შედის პოლიციის საქმიანობაზე დამოუკიდებელი ზედამხედველობა, პოლიციის

<sup>14</sup> იხილეთ <http://www.politiklagemyndigheden.dk/english>; აგრეთვე იხილეთ ევროპის საბჭოს ქვეყნებში პოლიციაზე ზედამხედველობის შესახებ ანგარიში, ჯონი ბირნი, უილიამ პრესლი, (2015 წლის სექტემბერი), განახლებულია 2017 წლის თებერვალში უილიამ პრესლის მიერ, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, გვ. 25.

<sup>15</sup> იხილეთ ევროპაში პოლიციის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება, ევროკავშირის შვიდი ქვეყნის შედარებითი კვლევა, უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, 2017, 64.

<sup>16</sup> იხილეთ <https://comitep.be/index.html?lang=en>, <https://ipcan.org/members/committee-p>; ასევე იხილეთ ევროპაში პოლიციის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება, ევროკავშირის შვიდი ქვეყნის შედარებითი კვლევა, უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, 2017, 23.

<sup>17</sup> იხილეთ <https://pirc.scot>.



მონაწილეობით მომხდარი ინციდენტების გამოძიება და პოლიციის წინააღმდეგ საზოგადოების მხრიდან წარდგენილი საჩივრების გამოძიების შესწავლა. როგორც CPT-ს 2019 წლის ანგარიშიდან ხდება ნათელი, PIRC-ი არ იძიებს პოლიციის მხრიდან თავდასხმასთან ან ძალის გადაჭარბებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს. გარკვეულ შემთხვევებში, პოლიცია თავად იძიებს ამ ინციდენტებს. პოლიციის წინააღმდეგ ნებისმიერი საჩივარი პირველ რიგში უნდა წარედგინოს პოლიციას, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრის გამოძიებაზე. თუ დაინტერესებული პირი არ არის კმაყოფილი შედეგით, მას შეუძლია იჩივლოს PIRC-ში, რომელსაც ცალკე განყოფილება აქვს, რომელიც პასუხისმგებელია პოლიციის მიერ საჩივრებთან დაკავშირებით განხორციელებული გამოძიებების ზედამხედველობაზე.<sup>18</sup> CPT-მ გააანალიზა და გააკრიტიკა ეს სისტემა:

*„29.... CPT თვლის, რომ პირებს, რომლებიც პოლიციელთა მხრიდან ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის გამო ჩივიან, არ უნდა უწყვედეთ პირველ რიგში პოლიციის გასაჩივრების შიდა სისტემის ამოწურვა, სანამ PIRC-ში შეძლებენ საჩივრის წარდგენას. უპირველეს ყოვლისა, ეს ბადაებს კითხვებს პროცესის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მეორე: დაკავებული პირები, რომლებსაც დელეგაცია ესაუბრა, არ იყვნენ ინფორმირებული პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების მარეგულირებელი პროცედურის შესახებ, ხოლო რამდენიმე მათგანმა გამოთქვა თავისი აზრი იმის თაობაზე, რომ მათ არ ესმით და არ ენდობიან ამ სისტემას ... მთლიანობაში, CPT მიიჩნევს, რომ შოტლანდიის პოლიციაში საჩივრების წარდგენის სისტემა მისი ამჟამინდელი სახით, საკმაოდ ბუნდოვანია, და გამოძიების დამოუკიდებლობასთან და დამოუკიდებელი ორგანოსადმი დაუყოვნებლივ წვდომასთან დაკავშირებით სერიოზულ კითხვებს ბადაებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჩივარი შეეხება პოლიციელთა მხრიდან დაკავების მომენტში „თავდასხმას“ ან „გადაჭარბებული ძალის გამოყენებას“. CPT-ი ინფორმირებულია მიმდინარე დისკუსიების შესახებ იმის თაობაზე, რომ პოლიციის მხრიდან სავარაუდო თავდასხმის ან საპოლიციო ძალების მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების ყველა შემთხვევა PIRC-ს გადაეცეს გამოსაძიებლად. CPT თვლის, რომ ეს უფრო შესაბამისობაში იქნება ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებთან, ვიდრე ზემოთ აღწერილი ვითარება. მიუხედავად ამისა, ეს PIRC-სთვის საკმარისი რესურსების გამოყოფას მოითხოვს, რათა მან სათანადოდ შეძლოს დამატებითი მოვალეობების შესრულება. ამ კონტექსტში, CPT-ი ინტერესს გამოხატავს, რომ მას განახლებული ინფორმაცია მიეწოდოს PIRC-ის მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებით“.<sup>19</sup>*

## დამატებითი მანდატი

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე კვლევის მიზანია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამჟამინდელი მანდატის გათვალისწინებით, ევროპის იურისდიქციების გამოცდილების და იმის

<sup>18</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში გაერთიანებულ სამეფოში 2018 წლის 17-დან 25 ოქტომბრამდე, და 2019 წლის 11 ოქტომბერს შემდგარი ვიზიტის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680982a3e>, პარ. 26.

<sup>19</sup> იქვე, პარ. 27.

შესწავლა, თუ როგორ მოქმედებენ დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოები სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიზნით. იმავდროულად, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში დამოუკიდებელ საგამომიებო ორგანოებს დამატებითი მანდატი გააჩნიათ, გარდა სისხლის სამართლის საგამომიებო ფუნქციებისა. კვლევის განმავლობაში არ გამოვლენილა არცერთი ქვეყანა ან იურისდიქცია, სადაც დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების ფუნქცია გაერთიანებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების აღსრულების უზრუნველყოფის მანდატთან.

სისხლის სამართლის გამოძიების ფუნქციასთან ყველაზე ხშირად გაერთიანებულია სხვა გადაცდომების, და არა დანაშაულების გამოძიების ფუნქცია. ეს მოიცავს ეთიკურ დარღვევებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სახდელის დაკისრება პოლიციის ოფიცერზე. IOPC, PIRC, OPIN, პოლიციის საქმიანობის მონიტორინგის მუდმივმოქმედი კომიტეტი (P კომიტეტი) და სხვა სააგენტოები განიხილავენ მოქალაქეების მიერ წარდგენილ საჩივრებს (საჩივრის შეტანის პროცედურების შესახებ იხილეთ ქვემოთ), ან თავად წამოიწყებენ წარმოებას და გამოძიებას (მოკვლევას) იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ იყო ჩადენილი, მაგრამ ადგილი ჰქონდა ეთიკურ დარღვევას. IOPC-ს შემთხვევაში ინგლისსა და უელსში დისციპლინური წარმოება პოლიციელის წინააღმდეგ შეიძლება წამოწყებული იყოს დამატებითი სისხლისსამართლებრივი წარმოების მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შესაბამისი ორგანო მიიჩნევს, რომ ასეთმა დისციპლინურმა წარმოებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სისხლის სამართლის პროცესს. ასეთ შემთხვევებში არ არის საჭირო სისხლისსამართლებრივი დევნის სამსახურის ამ პროცესში მონაწილეობა.<sup>20</sup> ჩვეულებრივი, საქმის წარმოების შედეგია დისციპლინური სახდელის დაკისრება შესაბამისი პოლიციის ორგანოს მიერ, დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების საფუძველზე.<sup>21</sup>

როგორც ეს ჩრდილოეთ ირლანდიიდან მოცემული სფეროს პრაქტიკოსმა დაადასტურა, პრაქტიკაში სისხლის სამართლის გამოძიების და ეთიკური გადაცდომების გამოძიების/მოკვლევის ფუნქციების გაერთიანება უაღრესად ხელსაყრელია დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოს ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოების ნდობის მოპოვებისთვის მართლმსაჯულების სისტემისადმი, არამედ ეს ასევე ხელს უწყობს იმ აღქმის დამკვიდრებას, რომ პოლიციელთა მხრიდან ყველა სახის გადაცდომები სათანადოდ იქნება გამოძიებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, და ასევე იმის გარანტიას იძლევა, რომ შესაბამისი საგამომიებო ორგანო ნებისმიერი ინციდენტის გამოძიების/მოკვლევის პროცესში (საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით წამოწყებული) საწყის ეტაპზევე იქნება ჩართული, ანუ მაშინაც კი, სანამ არ არის დადგენილი, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა გავრცელდეს.<sup>22</sup>

<sup>20</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაჰან მეერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 1.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> ინტერვიუ ბატონ დანიელ ჰოლდერთან, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია (2020 წლის 21 აპრილი).

დამატებითი მანდატის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ასევე გამოიკვეთა გამოკვლევულ ქვეყნებში, არის პოლიციის და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ *ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციების გაცემა* ინდივიდუალური გამოძიებების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით. IOPC ინგლისსა და უელსში და SIU ონტარიოში განსაკუთრებით აქტიურები არიან ამ თვალსაზრისით (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული). ეს მიდგომა ემყარება კანონით დადგენილ უფლებამოსილებებს და ასევე დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ანგარიშვალდებულების ფუნქციის განხორციელებას და შესაბამის ინსტიტუტებსა და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და თანამშრომლობას.

დამატებითი მანდატის კონტექსტში, ასევე, საინტერესოა ავსტრიის ფედერალური ანტიკორუფციული ბიუროს (BAK) მაგალითი, რომელიც გარდა პოლიციის გადაცდომების გამოძიების მანდატისა, ასევე პასუხისმგებელია სასწავლო პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარებაზე კორუფციის პრევენციის მიზნით. როგორც წესი, ფედერალური ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებს ლექციების წასაკითხად იწვევენ ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და კონფერენციებზე. ბიურო მოქმედებს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტაქტო ოფისი ყველა ანტიკორუფციულ საკითხთან დაკავშირებით და იგი თავის თანამშრომლებს მიავლენს ავსტრიელი და საერთაშორისო ექსპერტების შეხვედრებზე. გარდა ამისა, იგი თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ანტიკორუფციულ საქმიანობაში ჩართულ დაინტერესებულ ჯგუფებთან.<sup>23</sup>

### **თანამშრომლობა პროკურატურის ორგანოებთან**

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელ საგამომიებო ორგანოებსა და პროკურატურას შორის ურთიერთქმედების კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არსებული განსხვავებები. ჩვენ შევისწავლეთ როგორც საერთო სამართლის იურისდიქციები, ასევე ინკვიზიციური (საგამომიებო) სისხლის სამართლის იურისდიქციები. ზოგიერთი სისტემა შეიძლება შერეული ხასიათის იყოს. ცალკეული სისხლის სამართლის სისტემა შეიძლება დაფუძნებული იყოს საგამომიებო ორგანოს მიერ ჩატარებული გამოძიების მიდგომაზე, და მას შემდეგ, რაც ეს ორგანოები „დაასრულებენ“ გამოძიებას (და პირისთვის ბრალის წაყენების საფუძველის არსებობის შემთხვევაში), პირის მიმართ ოფიციალურ დევნას პროკურატურა ახორციელებს (მაგ. კლასიკური მოდელი ინგლისსა და უელსში, დიდი ბრიტანეთი). სხვა სისტემები (ძირითადად კონტინენტურ ევროპაში) გულისხმობს პროკურორის ოფიციალურ მონაწილეობას სისხლის სამართლის გამოძიების საწყის ეტაპებზე, რაც საქართველოში არსებული *გამომიებაზე პროკურატურის ზედამხედველობის სისტემის* მსგავსია. სისხლის სამართლის გამოძიებებისა და დევნის ამგვარი ეროვნული სისტემების არსებობა აუცილებლად ახდენს გავლენას დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოების ფუნქციონირებაზე. თუმცა, არსებობს გამონაკლისები ზოგადი წესიდან და მკვლევარმა ასევე გამოავლინა ასეთი განსაკუთრებული მიდგომები გარკვეულ პროცედურებთან მიმართებაში.

<sup>23</sup> იხილეთ <https://www.bak.gv.at/en/101/start.aspx>; ასევე იხილეთ <https://polis.osce.org/country-profiles/austria#criminal-justice-system-9903>; და <https://polis.osce.org/country-profiles/austria#criminal-justice-system-990>.

ეროვნული სისხლის სამართლის სისტემიდან გამომდინარე, პოლიციის ქვეყნის დამოუკიდებელი ოფისის (IOPC, ინგლისი და უელსი, გაერთიანებული სამეფო) შემთხვევაში, გამოძიების შედეგი არის დასკვნა, რომ შესაძლოა დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევებში საქმე გადაეცემა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სამსახურს (CPS). CPS-ის და არა IOPC-ის უფლებამოსილებაში შედის იმის დადგენა, არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და პოლიციელის დევნისთვის (მტკიცებულებების და საზოგადოებრივი ინტერესის ტესტის საფუძველზე).<sup>24</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, IOPC უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს პოლიციის მიერ ჩატარებულ გამოძიებას. ასეთ შემთხვევებში, IOPC-ის მოუწოდებენ რჩევებისთვის მაქსიმალურად მიმართოს CPS-ს საოპერაციო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მაგალითად, იმის თაობაზე, უნდა გამოიძიოს თუ არა საჩივარი თავად ამ სამსახურმა (რა თქმა უნდა, თუ შესაბამისი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად და არა დისციპლინურ გადაცდომად).<sup>25</sup>

მსგავსად ინგლისისა და უელსისა, ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენს (PONI) არ გააჩნია დევნის უფლებამოსილება და გამოძიების დასრულების შემდეგ, საქმე პროკურატურას გადაეცემა. პროკურატურას არ შეუძლია PONI-ს გამოძიებაში მონაწილეობის მიღება. შოტლანდიის პოლიციის გამოძიებების შესწავლასა და გადასინჯვაზე პასუხისმგებელ კომისარს (PIRC), ასევე, არ გააჩნია დევნის უფლებამოსილება. თუ PIRC-ი განიხილავს საჩივარს და დაადგენს, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები, იგი ვალდებულია შეაჩეროს გამოძიება და აცნობოს ამის თაობაზე სისხლის სამართლის და ფინანსური დანაშაულების შემსწავლელი პროკურორის სამსახურს (COPFS) და დაელოდოს ინსტრუქციას გამოძიების შემდგომ გაგრძელებასთან დაკავშირებით.<sup>26</sup>

დანის პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების შემსწავლელი დამოუკიდებელი ორგანოს (IPCA) შემთხვევაში, გამოძიების დასრულების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე გადაეგზავნება შესაბამის რაიონულ პროკურორს ბრალის წაყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ ბრალი არ იქნება წაყენებული, მომჩივანს ან IPCA-ს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალმძებლის ოფისის ხელმძღვანელთან.<sup>27</sup>

ონტარიოში, კანადა, გამოძიების დასრულებისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, სპეციალური საგამოძიებო განყოფილების (SIU) დირექტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, მტკიცებულებებიდან გამომდინარე არსებობს თუ არა ბრალის წაყენების

<sup>24</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაკან მერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 1.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იხილეთ <https://pirc.scot/investigations/more-about-investigations/>.

<sup>27</sup> იხილეთ ევროპის საბჭოს ქვეყნებში პოლიციაზე ზედამხედველობის შესახებ ანგარიში, ჯონი ბირნი, უილიამ პრესლი, (2015 წლის სექტემბერი), განახლებულია 2017 წლის თებერვალში უილიამ პრესლის მიერ, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, გვ. 25.

საფუძველი. მას შემდეგ, რაც SIU პოლიციელს ბრალს წაუყენებს, იგი საქმეს გენერალური პროკურატურის სისხლის სამართლის სამმართველოს გადასცემს, რომელიც სისხლის სამართლის დევნას განახორციელებს. SIU, როგორც საგამომიებო სააგენტო, არ არის ჩართული როგორც ბრალდების მხარე, თუმცა იგი მონაწილეობს ამ პროცესში საბრალდებო აქტის მომზადების და სახელმწიფო პროკურატურისთვის დახმარების გაწევის გზით სასამართლოსთვის წარსადგენად საქმის მომზადებაში. აღსანიშნავია, რომ როდესაც SIU საჯაროდ აცხადებს, რომ მან ბრალი წაუყენა პოლიციელს (რაც არ არის დაკავშირებული სახელმწიფო პროკურატურის მიერ დევნის წამოწყების გადაწყვეტილებასთან), იგი მოკლე ინფორმაციას აქვეყნებს ამ ბრალდების საფუძველთან დაკავშირებით, რათა დაიცვას პოლიციელის მიმართ სამართლიანი სასამართლო პროცესის და საზოგადოებრივი ინტერესები.

გამომიების პროცესის საწყის ეტაპზე, უფრო ინტენსიური საპროკურორო ზედამხედველობის/მართვის თვალსაზრისით, საინტერესოა შვედეთის მაგალითი. პოლიციის ორგანოს სპეციალური საგამომიებო დეპარტამენტი (SU)<sup>28</sup> სპეციალური პროკურატურის მითითებებით ხელმძღვანელობს: პროკურორი გადაწყვეტს, უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება. პროკურორი ხელმძღვანელობს გამოძიებას მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყება<sup>29</sup>. პროკურორი განსაზღვრავს თითოეულ საგამომიებო მოქმედებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას იღებს იმის თაობაზე, უნდა მოხდეს თუ არა მომჩივანის გამოკითხვა, უნდა იყოს თუ არა მოპოვებული ინციდენტის შესახებ რაიმე სამედიცინო ჩანაწერები, და უნდა ჩაუტარდეს თუ არა სავარაუდო დაზარალებულს სასამართლო ექსპერტიზა. SU-ს არა აქვს უფლება განახორციელოს რაიმე საგამომიებო ზომები პროკურორის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში მტკიცებულება შეიძლება დაიკარგოს ან განადგურდეს. ასეთ შემთხვევებში, დეპარტამენტი მიიღებს პროკურორის თანხმობას ამ ზომების განხორციელების შემდეგ.<sup>30</sup>

*ისრაელის პოლიციის შიდა საგამომიებო დეპარტამენტის (MachaSh) შემთხვევაში, იურისტებს პოლიციელების და პროკურორების თანაბარი უფლებამოსილებები გააჩნიათ. სახელმწიფო პროკურორი დევნაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მონაწილეობს, თუ დანაშაული, რომლის გამოძიება მიმდინარეობს, 7 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.*

ევროპული სისტემების იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ორი ქვეყანა იმსახურებს ჩვენს ყურადღებას ამ სფეროში მსოფლიო დონეზე აღიარებული წარმატებების გამო: *იამაიკა და*

<sup>28</sup> იხილეთ <https://polisen.se/en/the-swedish-police/the-swedish-police-authority/>.

<sup>29</sup> იხილეთ ევროპის საბჭოს ქვეყნებში პოლიციაზე ზედამხედველობის შესახებ ანგარიში, ჯონი ბირნი, უილიამ პრესლი, (2015 წლის სექტემბერი), განახლებულია 2017 წლის თებერვალში უილიამ პრესლის მიერ, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, გვ. 56.

<sup>30</sup> იხილეთ წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ შვედეთის მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში შვედეთში ვიზიტის შესახებ 2015 წლის 18-დან 28 მაისამდე, 2016 წლის 17 თებერვალს, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680697f60>, პარ. 23.

გვატემალა. იამაიკის დამოუკიდებელი საგამომიებო კომისია (INDECOM)<sup>31</sup> არის საპარლამენტო კომისია, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ საგამომიებო ფუნქციები გააჩნდა, და უზენაესი სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილებით INDECOM-ს სისხლისსამართლებრივი დევნის წამოწყების და განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა (თუმცა, სახელმწიფო ბრალდების ოფისის დირექტორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს დევნა, ან შეწყვიტოს იგი). გვატემალა უნიკალური მაგალითია, და გვატემალაში დაუსჯელობასთან ბრძოლის საერთაშორისო კომისია (CICIG)<sup>32</sup> საერთაშორისო ორგანოების (გაერო) უშუალო მონაწილეობით და დაფინანსებით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს. CICIG-ის უნიკალური მანდატი მოიცავს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და დევნის უფლებამოსილებას.

### ურთიერთქმედება პოლიციასთან და სხვა საგამომიებო ორგანოებთან

აშკარაა, რომ ევროპაში დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოები არ მოქმედებენ პოლიციისგან და სხვა საგამომიებო ორგანოებისგან იზოლირებულად. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთელ რიგ იურისდიქციებში (მაგ., ინგლისისა და უელსის IOPC-ის შემთხვევაში), ასეთი ორგანოები არა მხოლოდ თავად აწარმოებენ გამოძიებას, არამედ ასევე მოქმედებენ როგორც მონიტორინგის ორგანოები პოლიციის მიერ ჩატარებულ გამოძიებებთან მიმართებაში. პოლიციასთან და სხვა საგამომიებო ორგანოებთან ურთიერთქმედების საკითხი დაკავშირებულია დამოუკიდებლობის, ისევე როგორც დამოუკიდებელი გამოძიების ეფექტურობის საკითხთან.

ჩრდილოეთ ირლანდიაში PONI სხვა საგამომიებო ორგანოებისგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს, საკუთარი ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებში. ამ პრინციპის დაცვის მიზნით, მთავრობას არ უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რომელი საქმეები უნდა იყოს გამოძიებული, როგორ ხდება მათი გამოძიება, ან რა უნდა იყოს გამოძიების შედეგი. საპოლიციო ორგანოებს კანონით ევალებათ PONI-ს მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის მისთვის მიწოდება, მაგრამ PONI-ს ასეთი ვალდებულება არ გააჩნია.<sup>33</sup> მიუხედავად ასეთი მიდგომისა, პრაქტიკაში PONI-ს და საპოლიციო ორგანოებს მემორანდუმები აქვთ გაფორმებული, რათა ხელი შეუწყონ PONI-სთვის გამოძიებასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის გაზიარებას.<sup>34</sup> როგორც PONI-ს 2019 წლის წლიური ანგარიშშია მითითებული, გარდა სტატისტიკური მონაცემების და დაინტერესებული ჯგუფებისთვის ანგარიშების პერიოდულად გამოქვეყნებისა, ოფისი ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს ამზადებს პოლიციის სააგენტოებისთვის, რაც ეხმარება მათ რეგულარულ ინფორმირებას პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების წარდგენის თვალსაზრისით არსებული

<sup>31</sup> იხილეთ <https://www.indecom.gov.jm>.

<sup>32</sup> იხილეთ <https://www.un.org/undpa/es/node/183334>.

<sup>33</sup> იხილეთ კვლევის საბოლოო დასკვნები, წამების პრევენციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებების მიერ ადამიანის უფლებების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სტანდარტების დანერგვის ადვოკატირების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამა, იხილეთ ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის პროგრამა ყირგიზეთის რესპუბლიკისთვის, გვ. 21.

<sup>34</sup> იქვე.

ტენდენციების შესახებ, და ასევე ხელს უწყობს ისეთი საკითხების იდენტიფიცირებას, რომელთა გადაწყვეტაა საჭირო. გარდა ამისა, დამატებითი ანგარიშები წარედგინება ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის საბჭოს, სადაც ასახულია ინფორმაცია წარდგენილი საჩივრების ხასიათის შესახებ. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი წელიწადში ორჯერ ხვდება საბჭოს ამ თემების განსახილველად.<sup>35</sup> ამ იურისდიქციაში მომუშავე პრაქტიკოსების შესაბამისად, მთლიანობაში, მიმდინარე გამოძიებების კონტექსტში PONI-ს და პოლიციის უწყებებს შორის თანამშრომლობა ჯანსაღი და კონსტრუქციულია. ისტორიულად, უფრო მეტი დამაბულობა არსებობს PONI-ს სპეციალურ იურისდიქციასთან დაკავშირებით, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში პოლიციელების (და სამხედროების) მიერ წარსულში, ჩადენილი გადაცდომების ფაქტების გამოძიებას შეეხება, რაც მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან 1998 წელს „დიდი პარასკევის“ შეთანხმების მიღებამდე პერიოდს მოიცავს.<sup>36</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინგლისსა და უელსში უფრო ინტენსიური ურთიერთქმედება არსებობს IOPC-სა და საპოლიციო უწყებებს შორის სხვადასხვა დონეზე. IOPC აღიარებს იმ ფაქტს, რომ ინგლისსა და უელსში არსებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომპლექსურ სისტემაში მრავალი მონაწილე მხარე არსებობს, რომლებთანაც ურთიერთქმედება და თანამშრომლობაა საჭირო.<sup>37</sup> PONI-ს შემთხვევაში, დეტალური ნორმატიული ჩარჩოს არსებობის მიუხედავად, IOPC-მ შეიმუშავა მემორანდუმი პოლიციის ორგანოებთან და სხვა შესაბამის ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო უწყებებთან ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით.<sup>38</sup>

შვედეთში პოლიციის გამოძიებებში უფრო აქტიური ჩართულობა არსებობს. IU-ს თანამშრომლები ახორციელებენ ფაქტობრივად საგამოძიებო მოქმედებებს და დანაყოფს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, ამ პროცესში პოლიციის ოფიცრები ჩართოს. პრაქტიკაში, IU-ს გამოძიებებს როგორც წესი, პოლიციის ის რაიონული განყოფილებები ატარებენ, სადაც სავარაუდო დანაშაულია ჩადენილი. სპეციალიზირებული გამოძიებლები იძიებენ კონკრეტული ტიპის დანაშაულს, მაგალითად როგორცაა ეკონომიკური დანაშაული.

აღსანიშნავია, რომ CPT-მ გააკრიტიკა ამგვარი პრაქტიკა და აღნიშნა, რომ იგი ნეგატიურად აისახება საგამოძიებო ორგანოს დამოუკიდებლობის აღქმაზე.<sup>39</sup>

---

<sup>35</sup> იხილეთ 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით წლიური ანგარიში, ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენი, იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/04/048d82dd-0255-414f-8af4-b47b692e9cc1.pdf>.

<sup>36</sup> ინტერვიუ ბატონ დანიელ ჰოლდერთან, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია (2020 წლის 21 აპრილი).

<sup>37</sup> იხილეთ „მაიკლ ლოკუუდი ჩვენს მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, IOPC-ს მიერ მომზადებული მოკლე ვიდეო: <https://www.youtube.com/watch?v=-QtD0COpwJU>.

<sup>38</sup> მემორანდუმები საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://pirc.scot/publications/?cat=our%20business&category=memoranda%20of%20%20understanding&p=1>.

<sup>39</sup> იხილეთ წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ შვედეთის მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში შვედეთში ვიზიტის შესახებ 2015

## ბ. ეფექტური ფუნქციონირების გარანტიები (გამოძიება)

### წვდომა სასამართლო ექსპერტიზის და ვიდეო/აუდიო ჩანაწერების სახით არსებულ მტკიცებულებებზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოძიების ეფექტურობა ისეთივე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოებისთვის, როგორც დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი. გამოძიების ეფექტურობა დაკავშირებულია მკაფიო მანდატთან, რესურსებთან და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობასთან როგორც კანონის მიხედვით, ასევე პრაქტიკაში. ჩვენი ინტერესის სფეროში მოქცეული ინსტიტუტების შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა უფლებამოსილება აქვთ პროკურორებს სააგენტოების მიერ განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებაში (როგორც ზემოთ აღინიშნა). როგორც ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან და პრაქტიკოსებთან დისკუსიების შედეგად იკვეთება, ეს ინსტიტუტები გამოძიებას ახორციელებენ ეროვნული სისხლის სამართლის და დისციპლინური დებულებების საფუძველზე, და სხვა საგამოძიებო ორგანოებთან მიმართებაში თანაბარი უფლებები გააჩნიათ. ამ კვლევის ფარგლებში და გამოძიების კონკრეტული ელემენტების მიმართ ჩვენი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ შევისწავლეთ *სასამართლო ექსპერტიზის და ვიდეო/აუდიო ჩანაწერების სახით არსებული მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება*.

შესწავლილ სისტემებს შორის არცერთ ინსტიტუტს არ ჰქონდა პრობლემები დაწესებულებაში, ან მის ფარგლებს გარეთ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე, ან დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტების ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე წვდომის თვალსაზრისით. PONI-ს (ჩრდილოეთ ირლანდია) გამოძიებლებს შესაძლებლობა აქვთ მოიწვიონ დამოუკიდებელი მეცნიერები და სამედიცინო ექსპერტები, და დაესწრონ სახელმწიფო პათოლოგ-ანატომების მიერ ჩატარებულ აუტოფსიებს.<sup>40</sup> PIRC-ს (შოტლანდია) და IOPC-ს (ინგლისი და უელსი) მსგავსი უფლებამოსილებები გააჩნიათ.<sup>41</sup>

SIU-ს (ონტარიო, კანადა) სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების და საექსპერტო დასკვნების მოპოვების მიზნით სასამართლო ექსპერტებთან მიმართვის ფართო უფლებამოსილება გააჩნია. SIU-ს საკუთარი სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია გააჩნია<sup>42</sup> და განყოფილებაში ექსპერტი გამოძიებლები არიან დასაქმებულები.<sup>43</sup> მანამდე SIU პოლიციის სასამართლო

---

წლის 18-დან 28 მაისამდე, 2016 წლის 17 თებერვალს, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680697f60>, პარ. 21.

<sup>40</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაჰან მეერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 6.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იხილეთ მოკლე ვიდეო მოცემულ თემაზე: SIU ვიდეო: მტკიცებულებები: <https://www.siu.on.ca/en/video.php?vidid=8>; დანაშაულის ადგილზე გასვლა: <https://www.siu.on.ca/en/video.php?vidid=6>.

<sup>43</sup> იხილეთ ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: [https://www.siu.on.ca/en/org\\_chart.php](https://www.siu.on.ca/en/org_chart.php).



ექსპერტიზის შედეგებს ეყრდნობოდა. გარდა ამისა, SIU-ს გამომძიებლები უფლებამოსილი არიან ამოიღონ პოლიციის აღჭურვილობა სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად.<sup>44</sup> SIU-ს ასევე ონტარიოს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრთან (რომელიც წარმოადგენს ონტარიოს სახელმწიფო დაწესებულებას, და არა პოლიციის დაწესებულებას) პრიორიტეტული დაშვების შეთანხმება აქვს გაფორმებული გაკვეთის, სისხლის, დნმ-ის, ბალისტიკური და ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად და ა.შ. გარდა ამისა, SIU ფინანსთა სამინისტროსგან იღებს მხარდაჭერას ვიდეო და ფოტო ანალიზების განხორციელებასთან დაკავშირებით.<sup>45</sup> ამ სააგენტოებში სასამართლო ექსპერტიზის დაფინანსება შესაბამისი აღმასრულებელი სამინისტროს ბიუჯეტიდან ხდება.<sup>46</sup>

*შესწავლილი დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმების უმრავლესობას შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია - მოითხოვონ და მიიღონ ნებისმიერი აუდიო/ვიდეო ჩანაწერები გამომძიებლის მიზნებისთვის. გარდა ამისა, სააგენტოებს შეუძლიათ მიმართონ შესაბამის სასამართლო ორგანოებს ჩხრეკისა და ამოღების ორდერის გაცემის მოთხოვნით. გადამწყვეტი ფაქტორია შესაბამის ინსტიტუტებში ამ ჩანაწერების ხელმისაწვდომობა და სათანადო ხარისხი.*

ვიდეო და აუდიო მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის შეფასებისას, გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ამჟამად ფართოდ მიღებული სტანდარტი, რომლის თანახმად, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან წამების და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აღკვეთა და ეფექტიანად გამოძიება შესაძლებელია, თუ დაკავების დაწესებულებებში, დაკითხვის ადგილებში და სხვა საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების ადგილებში ვიდეო და აუდიო ჩამწერი მოწყობილობებია დამონტაჟებული და ასეთი ჩანაწერები გონივრული ვადის განმავლობაში ინახება. ამავე დროს, ეს საკითხი ასევე დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების დაცვასთან და საჭიროა სათანადო ბალანსის დაცვა დანაშაულის აღკვეთისა და გამომძიებლის საზოგადოებრივ ინტერესსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვას შორის. ეს არის სტანდარტი, რომელიც აღიარებულია და მხარდაჭერილია CPT-ს და UN CAT-ის მიერ.<sup>47</sup>

საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნულ დონეზე ადვოკატირების საფუძველზე, სხვადასხვა იურისდიქციები განსხვავებულად არეგულირებს ამ საკითხს. 2000 წელს გაერთიანებულმა სამეფომ დამატებითი მარეგულირებელი ჩარჩო მიიღო დაკითხვების პროცესში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების წარმოების თაობაზე, UN CAT და OPCAT სტანდარტების განხორციელების

---

<sup>44</sup> იხილეთ კვლევის საბოლოო დასკვნები, წამების პრევენციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებების მიერ ადამიანის უფლებების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სტანდარტების დანერგვის ადვოკატირების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამა, იხილეთ ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის პროგრამა ყირგიზეთის რესპუბლიკისთვის, გვ. 74.

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> იხილეთ ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომძიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

<sup>47</sup> იხილეთ პოლიციის დაკავების ადგილების მონიტორინგი - პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამოქვეყნებულია 2013 წლის იანვარში წამების პრევენციის ასოციაციის მიერ (APT), გვ.144: [https://www.apr.ch/content/files/res/monitoring-police-custody\\_en.pdf](https://www.apr.ch/content/files/res/monitoring-police-custody_en.pdf).

ხელშესაწყობად.<sup>48</sup> დამატებითი რეგულაციები და პოლიტიკა მიღებულია სხვადასხვა შენობებში და პოლიციელების მიერ სხეულის კამერებით (BWV) ვიდეოჩაწერის წარმოების დასარეგულირებლად.

ამასთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა IOPC-ს (ინგლისი და უელსი) პოლიტიკა, რომელიც მან 2006 წელს გამოაქვეყნა - *პოზიციის განაცხადი სხეულის კამერებით ვიდეოჩაწერის თაობაზე*.<sup>49</sup> ამ პოლიტიკის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, შემდეგია:

- ხშირ შემთხვევებში, BWV ჩანაწერები სისხლის სამართლის გამოძიებების ხელშესაწყობად გამოიყენება, რაც პრაქტიკულად თვითმხილველი მოწმის ფუნქციას ასრულებს იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციელი ინციდენტის ადგილას იმყოფებოდა, ან კამერების გამოყენება ჩვენებების ჩამორთმევისას ხდება. ეს ამცირებს დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების ხანგრძლივობას;
- პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელს კანონით ეკისრება საჩივრებთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოპოვება და დაცვა, და გადაცდომებისა და გარდაცვალების და მძიმე დაზიანებების (DSI) შემთხვევების შესწავლა. BWV ჩანაწერები დადგენილი წესით უნდა იყოს წარმოებული და დაცული; თუ არ გამოვლენილა საჩივარი, გადაცდომები ან გარდაცვალების და მძიმე დაზიანებების (DSI) შემთხვევები, საპოლიციო ძალების პოლიტიკა უნდა იძლეოდეს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას BWV-ს ჩანაწერების დაცვის შესახებ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებული გარემოებების შესაბამისად. მაგალითად, ჩანაწერი შეიძლება შენახული იქნას, თუ პირი განაცხადებს, რომ იგი საჩივრის შეტანას აპირებს, ან იმის გამო, რომ დაზიანება იქნა მიყენებული, და ჯერ არ არის ცნობილი, თუ რამდენად სერიოზულია იგი. ასეთი გადაწყვეტილებები გადასინჯვას უნდა ექვემდებარებოდეს და ჩანაწერები არ უნდა ინახებოდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს საჭიროა;
- მიუხედავად იმისა, რომ BWV შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს, ეს არ არის სრული პასუხი. BWV-ს საშუალებით წარმოებული ჩანაწერები ინციდენტის შესახებ მხოლოდ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა; ეს ჩანაწერები მხოლოდ გარკვეული კუთხით იღებს ინციდენტს; ჩანაწერებში არ არის ასახული, თუ რა შეიძლება ხდებოდეს კამერის ან იმ ოფიცრის უკან, რომელიც ინციდენტს იწერს; კამერა არ იწერს სუნს, დამაბულობის ან ინციდენტის გარშემო არსებულ ატმოსფეროს. ... ყველაზე უარეს შემთხვევაში, ჩანაწერს შეუძლია დადებითი თვალსაზრისით შეცდომაში შემყვანი წარმოდგენა შეგიქმნათ მთელი სიტუაციის თაობაზე;
- საჩივრების განხილვისა და გამოძიების თვალსაზრისით, პირველადი წერილობითი ანგარიშები სასარგებლოა, რადგან ისინი ბევრად უფრო მეტი დეტალების აღწერის საშუალებას იძლევა, მათ შორის, შეიძლება ასახავდეს ოფიცრის აღქმას კონკრეტული

<sup>48</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაკან მეერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 1.

<sup>49</sup> იხილეთ IPCC-ს [ყოფილი IOPC-ი] პოზიციაზე სხეულის კამერების შესახებ, 2016, იხილეთ შემდეგ ბმულზე: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/Our-Policies/IPCC\\_position\\_statement\\_on\\_body\\_worn\\_video.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/Our-Policies/IPCC_position_statement_on_body_worn_video.pdf).

ინციდენტის შესახებ, და იმას, თუ რა გავლენა მოახდინა ამ აღქმამ მათ ქმედებებზე. ეს ინფორმაცია შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს იმის შეფასებისას, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ქმედება. თუ ოფიცრები, როგორც წესი, ეცნობიან BWV ჩანაწერს თავდაპირველი წერილობითი ანგარიშის წარდგენამდე, არსებობს იმის რისკი, რომ ანგარიშში ასახული განცხადებები შეიძლება წარმოადგენდეს უბრალოდ კომენტარს კადრებზე, ნაცვლად ოფიცრის საკუთარი შეხედულებებისა და მსჯელობისა. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ BWV კადრების ყურებამ შეიძლება შეგნებულად ან არაცნობიერად გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რა ახსოვს ოფიცერს ინციდენტის შესახებ;

- თუ საჩივარი პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგაა წარდგენილი და არსებობს BWV ჩანაწერი, მაგრამ პოლიციის ოფიცრებს ჯერ არ აქვს ნანახი ეს ჩანაწერი, მათ არ უნდა ნახონ იგი, სანამ გამოძიებელი ან პირი, რომელიც ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებელია საჩივრის განხილვაზე არ დაკმაყოფილდება, რომ მას საკმარისი ინფორმაცია აქვს პოლიციის ოფიცრების ვერსიაზე იმის თაობაზე, თუ რა მოხდა ... პოლიციის ოფიცერმა ჩანაწერი მხოლოდ თავდაპირველი ანგარიშის წარდგენამდე უნდა ნახოს, თუ ამისთვის საკმარისი საფუძველი არსებობს, და ეს საფუძველი ნათლად უნდა იყოს მითითებული ანგარიშში;
- ხშირ შემთხვევაში, საჩივრის წარდგენა არ ხდება დაუყოვნებლივ ინციდენტის შემდეგ, და პოლიციის ოფიცერს შეიძლება ნანახი ჰქონდეს BWV ჩანაწერი საჩივრის წარდგენამდე. იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციის ოფიცერს ნანახი აქვს BWV კადრები მანამდე, სანამ მომხდარის თაობაზე თავის პოზიციას გამოხატავს, ანგარიშში მითითებული უნდა იყოს, რომ იგი გაეცნო ჩანაწერს. გარდა ამისა, ასევე მითითებული უნდა იყოს ამის განმაპირობებელი მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს, თუ რას აცხადებს იგი მის გულწრფელ რწმენაზე დაყრდნობით და რას აცხადებს ნანახ ჩანაწერზე დაყრდნობით.<sup>50</sup>

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კვლევისთვის აქტუალურია, შეეხება იმას, გააჩნია თუ არა დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოებს უფლებამოსილება განახორციელონ ფარული საგამოძიებო მოქმედებები (ტელეფონით მიყურადება და ა.შ.).<sup>51</sup> შესწავლილი სისტემების უმრავლესობა ამასთან დაკავშირებით მათ იურისდიქციაში არსებული სხვა საგამოძიებო უწყებების მსგავს საგამოძიებო უფლებამოსილებას ითვალისწინებს. შესწავლილი სააგენტოებიდან არცერთი არ ასრულებს თავად ტექნიკურ ღონისძიებებს შესაბამისი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში (ტელეფონით მიყურადება, კომუნიკაციის გადაჭერა და ა.შ.) და თუ უწყებას ასეთი დახმარება ესაჭიროება, შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართავს.

<sup>50</sup> იქვე

<sup>51</sup> PONI (ჩრდილოეთ ირლანდია), IOPC (ინგლისი და უელსი), PIRC (შოტლანდია), GSOC (ირლანდია), BAK (ავსტრია), SIU (ონტარიო) და სხვა.

ამავე დროს, პრაქტიკოსების შესაბამისად, ასეთი საგამომიებო ორგანოები ძალიან იშვიათად მიმართავენ ფარულ საგამომიებო მოქმედებებს.<sup>52</sup>

## გ. შეტყობინების/საჩივრების წარდგენის მექანიზმები და მსხვერპლებთან და მოწმებთან ურთიერთქმედება

შესწავლილ ქვეყნებსა და იურისდიქციებში საჩივრების ან ინფორმაციის მიღების მრავალი გზა არსებობს, რაზე დაყრდნობითაც გამოძიების დაწყება ხდება: *პირის მიერ საჩივრის წარდგენა; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილება წარადგინონ თხოვნა გამოძიების დაწყების თაობაზე; პოლიციის ან სხვა სახელმწიფო უწყების მიერ საქმის გადამისამართება; სააგენტოს მიერ გამოძიების პროცესის წამოწყება საკუთარი ინიციატივით, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე (PONI, SIU, ნორვეგიის პოლიციის საქმეთა გამოძიების ბიურო, GSOC).*

*PONI (ჩრდილოეთ ირლანდია)* - საზოგადოების წარმომადგენელს შეუძლია საჩივრის წარდგენა პირადად, წერილობით ან ტელეფონით. საჩივრები ასევე შეიძლება უშუალოდ პოლიციის ოფიცრებს წარედგინოს, რომლებიც ვალდებული არიან PONI-ს შეატყობინონ ამის თაობაზე. საზოგადოების წევრებს ინციდენტიდან ერთი წლის განმავლობაში შეუძლიათ საჩივრის წარდგენა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პოლიციის ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ საჩივარი მძიმე დარღვევას შეეხება ან გამონაკლისი ხასიათისაა. სააგენტოს კანონით ევალება ნებისმიერი საჩივრის ასლის პოლიციისთვის, ან იდენტიფიცირებულ პოლიციის წარმომადგენლისთვის გაგზავნა.

*PONI-ს* გააჩნია სპეციალური დანაყოფი - საოჯახო საკითხებზე საკონტაქტო ოფისი, რომელიც მუშაობს დაზარალებულებთან და ოჯახის წევრებთან მძიმე ინციდენტების, ანუ გარდაცვალების ან მძიმე დაზიანებების შემთხვევაში.<sup>53</sup> საოჯახო საკითხებზე საკონტაქტო ოფიცერი მუდმივად აწვდის ინფორმაციას დაზარალებულებს და ოჯახის წევრებს და ეხმარება მათ ამ სამსახურთან კომუნიკაციაში. ყველა სხვა შემთხვევაში, გარდა ზემოთხსენებული სერიოზული ინციდენტებისა, „მოსარჩელის ინფორმირების შეთანხმება“<sup>54</sup> არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც გამოძიების თანამშრომლები კომუნიკაციაში არიან მომჩივანთან გამოძიების მიმდინარეობის პროცესში. გამოძიების დაწყებისთანავე, გამომძიებელი ოფიცერი ყურადღებით განიხილავს „მოსარჩელის ინფორმირების შეთანხმებას“ გამოძიების სტრატეგიის შესაბამისად. შეთანხმების მიზანია მომჩივანისთვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება გამოძიების პროცესში მისი ინფორმირებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. გამოძიების ოფიცრის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოფის

<sup>52</sup> ინტერვიუ ბატონ დანიელ ჰოლდერთან, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია (2020 წლის 21 აპრილი); ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

<sup>53</sup> დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/Information-for-Police-Officers/Information-for-Police-Officers-FAQs/FAQs-Investigations>.

<sup>54</sup> იხილეთ მიმდინარე გამოძიებების დირექტორატის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები მომჩივანებისთვის, 2014 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/7c/7cc84e0c-ad6a-4f2f-8d20-12270a849082.pdf>.

განმცხადებელთან ეფექტური და შინაარსიანი ურთიერთობა პირველი კონტაქტის მომენტიდან და გამოძიების დასრულებამდე. პრაქტიკაში, გამოძიების ხელმძღვანელმა ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი ინფორმაციის და დეტალების მიწოდება მომჩივანისთვის PONI-ს უფლებამოსილების, პროცესის, და გამოძიების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ.<sup>55</sup>

*IOPC (ინგლისი, უელსი)* - სააგენტოს გააჩნია სპეციალური საინფორმაციო სექცია მის ვებგვერდზე პოტენციური მომჩივანებისთვის.<sup>56</sup> საჩივარი შეიძლება წარდგენილი იქნეს პირადად, ინტერნეტით ან სხვა პირის მეშვეობით, მომჩივანის სახელით, უშუალოდ IOPC-ში, მაგრამ როგორც წესი, საჩივარი პირველ რიგში წარედგინება შესაბამისი საპოლიციო განყოფილების პროფესიული სტანდარტების დეპარტამენტს (PSD). PSD-მ სერიოზული საჩივრების შესახებ (მაგალითად, თავდასხმა, გარდაცვალება, სექსუალური ძალადობა და ა.შ.) ინფორმაცია უნდა მიაწოდოს IOPC-ს. PSD-ის ევალუა საზოგადოების წარმომადგენლისგან მიღებული საჩივრების, ან თავად საპოლიციო ძალების მხრიდან სავარაუდო გადაცდომების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის აღრიცხვა და გამოძიება.<sup>57</sup> კერძო პირებისგან მიღებულ საჩივრებთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის ვადა არ არის შეზღუდული. თუ ინციდენტს (ან უკანასკნელ ინციდენტს) და თქვენი საჩივრის წარდგენის თარიღს შორის 12 თვეზე მეტი გავიდა, შესაბამისმა ორგანომ შეიძლება არ გამოიძიოს იგი. თუ საჩივარი წარდგენილი იქნა ინციდენტიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ, მომჩივანმა უნდა განმარტოს დაგვიანებით წარდგენის მიზეზი.<sup>58</sup> საჩივრის წარდგენა შესაძლებელია როგორც ინგლისურ, ასევე სხვა ენებზე.

აღსანიშნავია, რომ IOPC-ს აქვს სპეციალური მექანიზმი სახელწოდებით „სპეციალური საჩივრები“ (Super-Complaints), რომელიც 2018 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა და მას სამეფო საპოლიციო და ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო სამსახურის ინსპექტორატი მართავს (HMICFRS). სისტემა საშუალებას აძლევს „სპეციალურად განსაზღვრულ ორგანიზაციებს“ (მაგალითად საქველმოქმედო ორგანიზაციები) დააყენონ ფართო ან სისტემური საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საზოგადოების ნდობაზე პოლიციის მიმართ, მაგალითად, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების თვალსაზრისით. საჩივრების განხილვის ეს სპეციალური მექანიზმი არ წარმოადგენს ქცევის საკითხთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის ალტერნატიულ საშუალებას, არამედ მოცემული მექანიზმი საპოლიციო საქმიანობის კონკრეტულ სფეროში არსებული პრობლემებისადმი ყურადღების მიქცევის საშუალებაა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სტანდარტების გადასინჯვა პოლიციის კოლეჯის მიერ, შემოწმება HMICFRS-ის მიერ, ან ერთ ან

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> იხილეთ ვებგვერდის შესაბამისი ნაწილი: <https://www.policeconduct.gov.uk/complaints-and-appeals/make-complaint>.

<sup>57</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელენორ ჰილი-ბირთი, ჯაკან მეერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 1.

<sup>58</sup> იხილეთ მეტი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <https://policeconduct.gov.uk/complaints-reviews-and-appeals/frequently-asked-questions>.

მეტ საპოლიციო დანაყოფში არსებული პრაქტიკის შეცვლის რეკომენდაცია<sup>59</sup>. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ IOPC-მ შემოიღო სპეციალური საკომუნიკაციო ინსტრუმენტი „ჩუმი განგაშის კამპანია“ – რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს გამოიყენონ სპეციალური გადაუდებელი დახმარების ხაზი, აკრიფონ ნომერი და დუმილით შეატყობინონ ინციდენტის შესახებ და ითხოვონ სააგენტოს მხრიდან გადაუდებელი ჩარევა.<sup>60</sup>

*PIRC-ს (შოტლანდია) ვებგვერდზე ასევე მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები პოტენციური მომჩივანებისთვის.<sup>61</sup> საჩივრის წარდგენა შეუძლია საზოგადოების ნებისმიერ წევრს, რომელიც რომელიმე ქვემოთ მითითებულ კატეგორიას მიეკუთვნება: პირი, რომლის მიმართაც ადგილი ჰქონდა გადაცდომას, ქმედებების ან უმოქმედობის გამო; ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც აცხადებს, რომ მასზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სავარაუდო ქმედებამ ან უმოქმედობამ; ნებისმიერი პირი, რომელიც აცხადებს, რომ შეესწრო სავარაუდო ქმედებას ან უმოქმედობას; ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს ზემოთ ჩამოთვლილთა სახელით. PIRC სახელმძღვანელო მითითებებს უზრუნველყოფს ოჯახებისთვის<sup>62</sup> სააგენტოს როლის შესახებ, და სააგენტოს ასევე ჰყავს სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის წარმომადგენლები - PIRC-ს ოჯახთან სამეკავშირე ოფიცრები (FLO).<sup>63</sup> FLO-ს პასუხისმგებლობაში შედის რეგულარული ორმხრივი კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება მსხვერპლებისა და ოჯახის წევრებისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. PIRC-ს საინტერესო სახელმძღვანელო მითითებები აქვს მსხვერპლების/ოჯახის წევრებს მედიასთან ურთიერთქმედების შესახებ:*

*„შეიძლება არსებობდეს მედიის ინტერესი ადამიანის გარდაცვალებისა და გამოძიებისადმი. მედიის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეიძლება ძნელი იყოს. ამასთან, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ზოგჯერ მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გამოძიებაში. შეიძლება არ გინდოდეთ მედიასთან საუბარი, ან შეიძლება მათი ინტერესის დონე იმდენად მაღალია, რომ მასთან გამკლავება გიჭირთ, ან მედია არ არის სენსიტიური. თუ თქვენ ვერ უმკლავდებით ასეთ ყურადღებას, უნდა გაესაუბროთ FLO-ს, რომელსაც შეუძლია დახმარების გაწევა თქვენი მედიასთან კონტაქტის დონის შემცირებაში. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მედიისთვის მოკლე განცხადების გაკეთება, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის გარდაცვალებისადმი ინტერესის დონის მართვას. FLO-ს ერთობლიობაში PIRC-ის კომუნიკაციის გუნდთან, შეუძლია ამ პროცესში ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევა. FLO-მ შეიძლება გთხოვოთ აირჩიოთ დალუპული ადამიანის ფოტო მისი მედიასთან გასაზიარებლად. ეს თავიდან აგაცილებთ*

<sup>59</sup> იხილეთ მეტი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <https://www.policeconduct.gov.uk/complaints-and-appeals/super-complaints-and-working-other-policing-oversight-bodies>.

<sup>60</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ 2018-2019 წლების წლიური ანგარიში: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC\\_Impact\\_Report\\_201819.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC_Impact_Report_201819.pdf).

<sup>61</sup> იხილეთ PIRC-ის შესახებ სპეციალური ბროშურა: [https://pirc.scot/media/4907/pirc\\_guide\\_for\\_police\\_and\\_staff\\_web.pdf](https://pirc.scot/media/4907/pirc_guide_for_police_and_staff_web.pdf).

<sup>62</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: <https://pirc.scot/investigations/a-guide-for-families-on-the-role-of-the-pirc>.

<sup>63</sup> იხილეთ FLO-ს შესახებ სპეციალური ბროშურა: [https://pirc.scot/media/4904/pirc\\_a\\_guide\\_for\\_families\\_web.pdf](https://pirc.scot/media/4904/pirc_a_guide_for_families_web.pdf).

იმას, რომ მედიამ სხვა წყაროებიდან მოიძიოს ფოტო და საშუალებას მოგვცემთ გააკონტროლოთ, თუ რა ფოტოები იქნება გამოყენებული. FLO უზრუნველყოფს ფოტოსურათის ასლების დამზადებას და მედიისთვის მისი ეგზემპლარების გადაცემას, თუ ამის საჭიროება არსებობს და თქვენ თანხმობა გაქვთ გაცემული“.<sup>64</sup>

GSOC (ირლანდია) - არასათანადო მოპყრობის ფაქტობრივი მსხვერპლის გარდა, ამგვარი ქცევის უშუალო მოწმეებმა შეიძლება ასევე შეიტანონ საჩივარი GSOC-ში. ასევე მიიღება მესამე მხარეების მიერ დაზარალებულის სახელით წარდგენილი საჩივრები, თუ საჩივარი დაზარალებულის ნებართვითაა შეტანილი. საჩივარი ინციდენტიდან 12 თვის განმავლობაში უნდა იყოს წარდგენილი, მაგრამ ომბუდსმენს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა, თუ იგი მიჩნევს, რომ ამის საფუძველი არსებობს.<sup>65</sup> საზოგადოებრივი ინტერესის საგამოძიებო უფლებამოსილების შესაბამისად, GSOC-ს შეუძლია გამოიძიოს საპოლიციო ძალების ქცევასთან დაკავშირებული საქმეები (Gardaí), როდესაც ეს საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს, მაშინაც კი, თუ საჩივარი არ იქნა მიღებული. სააგენტო უფლებამოსილია გადაწყვიტოს ასეთი გამოძიების საკუთარი ინიციატივით წამოწყება, ან მას შეიძლება გამოძიების დაწყების თხოვნით საპოლიციო ორგანომ ან იუსტიციის და თანასწორობის მინისტრმა მიმართოს. საპოლიციო ორგანოს ან მინისტრს ასევე შეუძლია ეს საკითხი განსახილველად კომისიას წარუდგინოს, რათა კომისიამ გადაწყვიტოს უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე.<sup>66</sup> აღსანიშნავია, რომ GSOC-მ ცალკე პოლიტიკა გასაჯაროვა ამ საკითხზე, დასათაურებით „რა ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია GSOC-ს გამოძიების შესახებ?“<sup>67</sup> რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ასევე არეგულირებს სააგენტოს კომუნიკაციას მომჩივანთან, და იმას, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა იყოს მოწოდებული პერიოდულად. GSOC-ს აგრეთვე პოლიტიკის ცალკე ინსტრუმენტი აქვს დაზარალებულებთან დაკავშირებით - დანაშაულის მსხვერპლთან დაკავშირებული რეგულაციები<sup>68</sup>. ამ ინსტრუმენტის თანახმად, სამსახურმა საჩივრის მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაადასტუროს საჩივრის წარმოებაში მიღება. მომჩივანს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შესაბამისი მხარდაჭერის სერვისების შესახებ, რომელთა მიღება მას სხვა უწყებებისგან შეუძლია, რაც ემოციური მხარდაჭერის, იურიდიული სერვისების და სხვა სახის დახმარებას მოიცავს. დაზარალებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმის შესახებ, თუ რა ტიპის გამოძიება ჩატარდება. თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ გამოძიება არ იქნება წამოწყებული, დაზარალებულს უნდა ეცნობოს ამის მიზეზების შესახებ. გარდა ამისა, დაზარალებულს უნდა ეცნობოს გამოძიების შედეგი და ბრალის წაყენების შესახებ გადაწყვეტილება და, აგრეთვე, სხვა

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> იხილეთ ევროპის საბჭოს ქვეყნებში პოლიციაზე ზედამხედველობის შესახებ ანგარიში, ჯონი ბირნი, უილიამ პრესლი, (2015 წლის სექტემბერი), განახლებულია 2017 წლის თებერვალში უილიამ პრესლის მიერ, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, გვ. 31.

<sup>66</sup> იხილეთ: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/gsoc-functions/>.

<sup>67</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/faqs/what-information-can-gsoc-disclose-about-its-investigations/?download=file&file=3139>.

<sup>68</sup> იხილეთ პოლიტიკის ინსტრუმენტის ტექსტი: <https://www.gardaombudsman.ie/make-a-complaint/before-you-complain/how-we-deal-with-complaints/victims-of-crime/?download=file&file=3158>.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქმის წარმოების სასამართლო განხილვის საპროცესო ეტაპების შესახებ.

*ნორვეგიის პოლიციის საქმეთა საგამოძიებო ბიურო* იღებს საჩივრებს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლებისგან, საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ადვოკატებისა და საპოლიციო უწყებებისგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიება შეიძლება დაიწყოს მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.<sup>69</sup> ბიუროს კანონით ევალება წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია მომჩივანს/დაზარალებულს გამოძიების მთელი პროცესისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმავლობაში. *IPCA (დანია)* სპეციალურ სახელმძღვანელო მითითებებს აწვდის პოტენციურ მომჩივანებს ვებგვერდზე განთავსებული ბროშურის მეშვეობით.<sup>70</sup> საჩივარი შესაბამისი ინციდენტთან 6 თვის ვადაში უნდა იყოს წარდგენილი წერილობითი ფორმით, მაგრამ ასევე დაშვებულია ზეპირი შეტყობინება. მსგავსად ზემოაღნიშნული უწყებებისა, საჩივრის მიღების შემთხვევაში მისი ასლი ეგზავნება პოლიციელს, რომელთანაც დაკავშირებით საჩივარი იქნა წარდგენილი. მას უფლება აქვს კომენტარები გააკეთოს საჩივართან დაკავშირებით.<sup>71</sup>

*SIU-ს (ონტარიო, კანადა)*, მსგავსად ზემოხსენებული განვითარებული სისტემებისა, შეტყობინებების/საჩივრების წარდგენის და მომჩივანთან კომუნიკაციის კარგად განვითარებული სისტემა გააჩნია. *ონტარიოს პოლიციის* ყველა სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს SIU-ს სერიოზული დაზიანებების, სექსუალური ძალადობის ბრალდების ან პოლიციის ოფიცრების მონაწილეობით ინციდენტების შესახებ, რასაც ადამიანის გარდაცვალება მოყვა. SIU-ს მანდატის ფარგლებში არსებული ინციდენტების შესახებ იმ პოლიციის სამსახურმა უნდა აცნობოს, რომელიც ინციდენტში იყო ჩართული, ან/და SIU-ს ინციდენტის შესახებ ასევე შეიძლება აცნობოს მომჩივანმა ან ნებისმიერმა სხვა პირმა. SIU-ს ასევე ინციდენტის შესახებ შეიძლება აცნობონ თავად მომჩივნებმა ან მათი ოჯახების წევრებმა, მედიის წარმომადგენლებმა, ადვოკატებმა, გამომძიებლებმა და სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლებმა.

SIU-ს ვებგვერდზე მოცემულია დამატებითი მითითებები სერვისების ფართო საზოგადოებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (PWD) ხელმისაწვდომობის შესახებ (PWDs).<sup>72</sup> SIU-ს სპეციალური პროგრამა აქვს *ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის*.<sup>73</sup> სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში, ეს პროგრამა უზრუნველყოფს მხარდაჭერის სერვისებს *მომჩივანებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის და სხვა პირებისთვის*, როგორცაა მაგალითად, სამოქალაქო მოწმეები, რომლებიც შეიძლება ინციდენტის ადგილას

<sup>69</sup> იხილეთ წლიური ანგარიში, 2018: <http://www.spesialenheten.no/Portals/0/Årsrapporter/Annual%20report%202018.pdf>.

<sup>70</sup> იხილეთ [http://www.politiklagemyndigheden.dk/media/6447/booklet\\_-\\_do\\_you\\_want\\_to\\_complain\\_about\\_the\\_police.pdf](http://www.politiklagemyndigheden.dk/media/6447/booklet_-_do_you_want_to_complain_about_the_police.pdf).

<sup>71</sup> იქვე

<sup>72</sup> იხილეთ შესაბამისი ინფორმაცია ვებგვერდზე: <https://www.siu.on.ca/en/accessibility.php>; ასევე იხილეთ სპეციალური მოკლე ვიდეო - *SIU-ს შეტყობინების პროცესი*: <https://www.siu.on.ca/en/video.php?vidid=5>.

<sup>73</sup> იხილეთ შესაბამისი ინფორმაცია ვებგვერდზე: <https://www.siu.on.ca/en/apc.php>.



იმყოფებოდნენ. პროგრამის მიზანია ეფექტური რეაგირება იმ პირთა ემოციურ და პრაქტიკულ საჭიროებებზე, რომლებზეც გავლენას ახდენს SIU-ს გამოძიებები.<sup>74</sup> ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კოორდინატორი (APC) გამომძიებლებთანაა კომუნიკაციაში მომჭივანების ან/და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჭიროებების დასადგენად.

APC უკავშირდება დაზარალებულ პირს(ებს) პირადად ან ტელეფონით. მომსახურებებში მოიაზრება: კრიზისზე რეაგირება და ინტერვენცია; პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება, ემოციური მხარდაჭერა; პრაქტიკული დახმარება, მათ შორის, ინფორმაციისა და მითითებების მიწოდება SIU-ს მანდატის და საგამომძიებო პროცესის შესახებ, გადაუდებელ ფინანსურ დახმარებაზე წვდომა, უსაფრთხოების დაგეგმვა, დაკრძალვის დაფინანსება და დაგეგმვა; რეფერალი და ადვოკატირება: დახმარება სოციალური დახმარების და მართლმსაჯულების სისტემებში გარკვევისა და მიმართვის სფეროში, შესაბამის სათემო რესურსებზე წვდომა, იურიდიული და სამედიცინო დახმარება, მსხვერპლთა დახმარების პროგრამები; სასამართლოს მხარდაჭერა: დაზარალებულის/მოწმის ცოდნის გაღრმავება და დახმარების გაწევა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით საქმესთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების, სასამართლოსთვის მომზადების და ბრიფინგების ჩატარების, თანხლების უზრუნველყოფის და დაზარალებულზე ზეგავლენის შესახებ განცხადებების შედგენაში დახმარების გზით. 2018 წელს SIU-ს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების პროგრამის მეშვეობით 101 ადამიანს გაეწია დახმარება.<sup>75</sup>

## დ. ინსტიტუციური მოწყობა და გამომძიებლების დაქირავება და შესაძლებლობების განვითარება

### შიდა სტრუქტურა და მართვისა და დაფინანსების საკითხები

ამ კვლევის ძირითად ინტერესს წარმოადგენს დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმების შიდა სტრუქტურული მოწყობის ძირითადი პრინციპების გაგება. ყველაზე წარმატებული სისტემების ოპერაციები ემყარება მენეჯმენტის სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრულია ნორმატიული რეგულაციებით, და, ასევე, ინსტიტუციური განვითარების გამოცდილებას. მკვლევარის მიზანს წარმოადგენდა საუკეთესო მაგალითების და შესწავლილი ინსტიტუტების წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და იმის დადგენა, თუ რა შეიძლება იყოს გამოყენებული ჩვენს შემთხვევაში მომავალი განვითარებისათვის.

პირველ რიგში, კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყნების და იურისდიქციების მექანიზმები ერთმანეთისგან განსხვავდება ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით. იურისდიქციების უმეტესობაში მართვის სისტემები დაფუძნებულია პოლიტიკური ორგანოების მიერ დანიშნული

<sup>74</sup> იქვე

<sup>75</sup> ამ პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 2018 წლის ანგარიშში, გვ. 17: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

მთავარი მონაწილე მხარეების გარშემო, როგორცაა ომბუდსმენი, კომისარი, დირექტორი (PONI, IOPC, PIRC, SIU). ამასთანავე, არსებობს სისტემები, სადაც კოლეგიური ორგანოები ასრულებენ ამ როლს, როგორცაა კომისია, საბჭო და ა.შ. (მაგ. GSOC). მენეჯმენტის სისტემები და სტრუქტურული მოწყობა საჯარო სამსახურის კულტურის და თითოეული იურისდიქციის მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად განისაზღვრება. ყველა სისტემას ერთი საერთო ელემენტი ახასიათებს - ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია *სამოქალაქო ზედამხედველობის კულტურაზე* და არ იმეორებს სამართალდამცავი სტრუქტურების ტრადიციულ მოდელებს.

*PONI-ს (ჩრდილოეთ ირლანდია) გააჩნია შიდა პოლიტიკის დოკუმენტი სახელწოდებით კორპორატიული მართვის ღონისძიებები (2016).<sup>76</sup> ამ დოკუმენტში მოცემულია ოფისის კორპორატიული მართვის პრინციპებთან დაკავშირებული დეტალები. იგი გვაწვდის ინფორმაციას იმ სტრუქტურული მოწყობის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა ოფისის საქმეთა სწორი და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. მმართველობის პრინციპებია: ღიაობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება. ყველა თანამშრომელი და თანამდებობის პირი ვალდებულია დაიცვას საზოგადოებრივი ცხოვრების შვიდი პრინციპი (ნოლანის პრინციპები).<sup>77</sup>*

იმისდა მიუხედავად, რომ PONI-ს საქმიანობას ოფიციალურად არჩეული ომბუდსმენი ხელმძღვანელობს, ოფისის ეფექტური კორპორატიული მმართველობა ემყარება ორგანიზაციის ოთხ მთავარ ფუნქციას და შესაბამის სტრუქტურებს: პოლიციის ომბუდსმენი, რომელიც მოქმედებს როგორც ერთპიროვნული იურიდიული პირი; მთავარი აღმასრულებელი დირექტორი/ზულალტერი; უფროსი მენეჯმენტის გუნდი; აუდიტისა და რისკების კომიტეტი. ზემოხსენებული კორპორატიული მართვის სქემის ამსახველ დოკუმენტში ასევე ასახულია ყველა ჩართული სახელმწიფო უწყების ძირითადი მანდატი და ფუნქციები. მიმდინარე ოპერაციებს (მათ შორის, გამოძიებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების ჩათვლით) ხელმძღვანელობს უფროსი მენეჯმენტის გუნდი (SMT), რომელსაც მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს და რომლის შემადგენლობაში შემდეგი სამსახურების დირექტორები შედიან: *საგამოძიებო (მიმდინარე), საგამოძიებო (წარსული), კორპორატიული მომსახურება, საინფორმაციო და იურიდიული მომსახურება*. SMT მოქმედებს, როგორც კოლეგიალური ფორუმი ყოველდღიური საკითხების განსახილველად, და იგი ზედამხედველობს ოფისის მიერ მისი კორპორატიული მიზნების დაგეგმვას, კომუნიკაციას და მონიტორინგს. SMT მოქმედებს, როგორც ომბუდსმენის სამრჩველო ორგანო. საგამოძიებო (მიმდინარე) დირექტორატი შედგება სამი გუნდისგან, სულ 75 თანამშრომელი. გუნდებში შედიან პირველადი საჩივრებისა და გამოძიების ჯგუფი, მთავარი საგამოძიებო ჯგუფი და მნიშვნელოვანი საქმეების საგამოძიებო ჯგუფი. ეს უკანასკნელი რთულ ან სერიოზულ საკითხებზეა პასუხისმგებელი, მათ შორის ზოგიერთი საჩივრის გამოძიებაზე, რომლებიც შეეხება ერთ წელზე მეტი ხნის წინ მომხდარ ინციდენტებს. ეს არის საჩივრები, რომლებსაც პოლიციის ომბუდსმენი მიიმე და გამოწვევის საჩივრებად მიიჩნევს, და ისინი შეეხება ინციდენტებს, რომლებიც 1968-1998 წლებში მოხდა.

<sup>76</sup> იხილეთ შემდეგი ბმული ვებგვერდზე: <https://www.policeombudsman.org/About-Us/Corporate-Governance>.

<sup>77</sup> იხილეთ დოკუმენტის დანართი A: *თავდაუზოგაობა, კეთილსინდისიერება, ობიექტურობა, პასუხისმგებლობა, ღიაობა, პატიოსნება, ლიდერობა*.

გარდა ზემოაღნიშნული კორპორაციული მართვის პოლიტიკისა, PONI-ს შემდეგი შიდა პოლიტიკა/რეგლამენტი აქვს შემუშავებული და საჯაროდ გამოქვეყნებული მის ვებგვერდზე: *ეთიკის კოდექსი; ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა; გამოძიების სახელმძღვანელო; სახელმწიფოს წარმომადგენლების ქმედებებით გამოწვეული გარდაცვალებების გამოძიების პოლიტიკა; მოწმესთან დაკავშირებული პოლიტიკა; თაღლითობასთან დაკავშირებული პოლიტიკა; სადისციპლინო პოლიტიკა; საჩუქრებისა და სტუმართმოყვარეობის პოლიტიკა; მამხილებლებთან დაკავშირებული პოლიტიკა; შესყიდვების პოლიტიკა და ა.შ.*<sup>78</sup>

კიდევ ერთი ინსტიტუციონალურად ძლიერი სისტემა, რომელიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, არის IOPC (ინგლისი და უელსი). ამ სააგენტომ ძირეული ინსტიტუციური რეფორმირება გაიარა 2018 წელს<sup>79</sup> და იგი ამჟამად მოქმედებს გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს *აღმასრულებელ გუნდს* და *IOPC-ს საბჭოს თავმჯდომარეობს*, რომლის შემადგენლობაში ექვსი არა-აღმასრულებელი დირექტორი შედის.<sup>80</sup> გენერალურ დირექტორს მის საქმიანობაში მხარს უჭერს ორი მოადგილე - გენერალური დირექტორის მოადგილე (ოპერატიულ სფეროში), რომელიც ხელმძღვანელობს ოპერატიულ გუნდს, მათ შორის, რეგიონალური დირექტორების და უელსის დირექტორის შემადგენლობით, და გენერალური დირექტორის მოადგილე (სტრატეგიისა და კორპორატიული მომსახურების საკითხებზე), რომელიც პასუხისმგებელია ყველა IOPC-ს არაოპერატიულ ფუნქციებზე. კანონის შესაბამისად, გენერალურ დირექტორს არასოდეს უნდა ემუშავა პოლიციაში. ასევე, ამჟამად IOPC-ის არცერთ აღმასრულებელი გუნდის წევრს, რეგიონალურ დირექტორს ან უელსის დირექტორს არ უმუშავია პოლიციაში. IOPC-ის აღმასრულებელი გუნდის შემადგენლობაში შედიან: *გენერალური დირექტორი; გენერალური დირექტორის მოადგილე ოპერატიულ საკითხებზე; გენერალური დირექტორის მოადგილე სტრატეგიისა და კორპორატიული მომსახურების საკითხებზე; დირექტორი სტრატეგიისა და ზემოქმედების საკითხებზე; დირექტორი ადამიანური რესურსების საკითხებზე (HR).*<sup>81</sup> IOPC-ს ჰყავს დაახლოებით 80 გამომძიებელი, ადმინისტრატორები, საქმეებზე მიმავრებული თანამშრომლები და იურისტები.

<sup>78</sup> იხილეთ შესაბამისი დოკუმენტები შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/About-Us/Publications/Policy-and-corporate-governance-documents>.

<sup>79</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: <https://policeconduct.gov.uk/becoming-iopc>.

<sup>80</sup> ამჟამინდელი დირექტორები არიან: უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი, რომელიც საჯარო სამსახურიდან პენსიაზე გავიდა; სხვა დირექტორები ამჟამად მუშაობენ ადგილობრივი მმართველობების ორგანოებში, არაკომერციულ ორგანიზაციებში, ბიზნესის სფეროში, პრობაციის სამსახურის ყოფილი მენეჯერის პოზიციაზე და ა.შ. მეტი ინფორმაციისთვის მიმდინარე ხელმძღვანელობისა და მათი როლის შესახებ იხილეთ: <https://www.policeconduct.gov.uk/who-we-are/our-people>.

<sup>81</sup> *ოქვე*

როგორც PONI-ს შემთხვევაში, IOPC-ს ნორმატიული რეგულაციების გარდა, ასევე გააჩნია შიდა პოლიტიკის ფართო სპექტრი, რომლებიც საჯაროდ ქვეყნდება მის ვებგვერდზე.<sup>82</sup> პოლიტიკა შეეხება გამოძიებას,<sup>83</sup> კომუნიკაციას,<sup>84</sup> სხვა უწყებებთან თანამშრომლობას.<sup>85</sup>

PIRC-ს (შოტლანდია) ხელმძღვანელობს კომისარი. აღმასრულებელი გუნდის შემადგენლობაში შედიან კომისარი და ოპერაციების დირექტორი.<sup>86</sup> აღმასრულებელ ჯგუფის მუშაობას მხარს უჭერენ დეპარტამენტების ჯგუფის ხელმძღვანელები: გადასინჯვისა და პოლიტიკის ხელმძღვანელი, გამოძიებების ხელმძღვანელი და ადამიანური რესურსების და კორპორატიული სერვისების ხელმძღვანელი. PIRC-ის ვებგვერდზე მოცემულია ორგანიზაციის სქემა.<sup>87</sup> ამ სქემის მიხედვით, საგამოძიებო მიმართულებას ხელმძღვანელობს შესაბამისი უფროსი და იგი მოიცავს: უფროს გამომძიებლებს, უფროსი გამომძიებლების მოადგილეებს, გამომძიებლებს, ტექნიკურ გამომძიებლებს, სტაჟიორ გამომძიებლებს და ადმინისტრაციულ გუნდს.<sup>88</sup>

PIRC-ი ასევე აქვს პოლიტიკის მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი.<sup>89</sup> მისი პოლიტიკა, *inter alia*, შემდეგ საკითხებს ეხება: ინფორმაციის თავისუფლება; დოკუმენტების მართვა; მონაცემთა დაცვა; მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, დაქირავებისა და შერჩევის პოლიტიკა, მიუღებელი ქმედებების პოლიტიკა. ამ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით უნიკალურია მიუღებელი ქმედებების პოლიტიკა.<sup>90</sup> პოლიტიკის თანახმად: „მოცემული პოლიტიკა განსაზღვრავს პოლიციის გამოძიებებისა და გადასინჯვის კომისრის (PIRC) მიდგომებს ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფის მიმართ, რომელთა ქმედებები ან ქცევა მიუღებლად მიგვაჩნია“. პოლიტიკის მიზანია: „თითოეული ადამიანისთვის, რომლებიც ჩვენს ოფისთან პირველად მოდიან შეხებაში, და ასევე შემდგომი ურთიერთქმედების პროცესში, იმის ნათლად განმარტება, თუ რის გაკეთება შეუძლია, ან არ შეუძლია PIRC-ს მათ თხოვნასთან

<sup>82</sup> იხილეთ შესაბამისი პოლიტიკები შემდეგ ბმულზე: <https://www.policeconduct.gov.uk/who-we-are/accountability-and-performance/our-policies>.

<sup>83</sup> საკითხები მოიცავს: პოლიციელის დისციპლინური რომელმაც სამსახური დატოვა; გამოძიების განახლების შესახებ; ჩვენი პოზიცია პოლიციელის მიერ სხულის ვიდეოკამერის გამოყენების შესახებ; IPCC-ს მუშაობის მიმოხილვა გარდაცვალების შემთხვევების გამოძიების სფეროში.

<sup>84</sup> საკითხები მოიცავს: ჩვენთან ურთიერთობა სოციალური მედით; გასაჯაროების პოლიტიკა; პოლიციის ოფიცრებისა და პოლიციის თანამშრომლების მართვის პოლიტიკა; IOPC-ს და ეროვნული პოლიციის უფროსების საბჭოს მედია პროტოკოლი; ზეპირი და წერილობითი თარგმნის პოლიტიკა.

<sup>85</sup> სხვადასხვა მემორანდუმში და დაკავშირებული დოკუმენტები.

<sup>86</sup> იხილეთ შემდეგი ბმული ვებგვერდზე: <https://pirc.scot/about-us/who-we-are/>.

<sup>87</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <https://pirc.scot/media/4962/pirc-structure-aug-19.pdf>.

<sup>88</sup> იქვე. ასევე იხილეთ: <https://pirc.scot/about-us/our-organisation/>.

<sup>89</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <https://pirc.scot/publications/?cat=our%20business&category=policies%20and%20procedures>.

<sup>90</sup> პოლიტიკის ტექსტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://pirc.scot/publications/?cat=our%20business&category=policies%20and%20procedures>.

დაკავშირებით. ამით, ჩვენ მიზნად ვისახავთ ვიყოთ ღია და არ გავუჩინოთ ადამიანებს იმედები ან მოლოდინი, რასაც ვერ დავაკმაყოფილებთ“.

GSOC-ს (ირლანდია) სამი კომისარი ხელმძღვანელობს (ერთი თავმჯდომარე და ორი კომისარი)<sup>91</sup>. კორპორატიული მართვა ემყარება ნორმატიულ ინსტრუმენტებსა და GSOC-ს კორპორატიული მართვის უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებას 2018-2020 წლებისთვის.<sup>92</sup> ამ ინსტრუმენტის თანახმად, კომისიის სამი წევრიდან მინიმუმ ერთი უნდა იყოს მამაკაცი და მინიმუმ ერთი უნდა იყოს ქალი. კომისიის წევრები პასუხისმგებელნი არიან GSOC-ს ერთობლივად ხელმძღვანელობასა და მართვაზე. თავმჯდომარის პასუხისმგებლობაში შედის ზოგადად ორგანიზაციის ოფიცრების მართვა და კონტროლი, ადმინისტრირება და ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვა.

ნორვეგიის პოლიციის საქმეთა საგამომიებო ბიურო შედარებით მცირე დაწესებულებაა, სადაც დაახლოებით 40-მდე თანამშრომელია დასაქმებული (მათი უმრავლესობა გამომძიებლები, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები იურისტები, ფსიქოლოგები და ადმინისტრაციული პერსონალია). ბიუროს ხელმძღვანელობენ დირექტორი და რეგიონალური საგამომიებო სამმართველოს 3 ხელმძღვანელი.<sup>93</sup>

დანის პოლიციის საჩივრების დამოუკიდებელი ორგანოს (IPCA) ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს პოლიციის საჩივრების საბჭოს, როგორც წამყვან ორგანოს, და მთავარ აღმასრულებელ დირექტორს.<sup>94</sup> პოლიციის საჩივრების საბჭო არის მოცემული ინსტიტუტის უმაღლესი მმართველი ორგანო და იგი შედგება თავმჯდომარისაგან, რომელიც უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ადვოკატისგან, რომელიც უნდა იყოს იურისპრუდენციის პროფესორი, და საზოგადოების ორი წარმომადგენლისგან. მთავარი აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია პოლიციის საჩივრების ორგანოს ყოველდღიურ საქმიანობაზე, რომლის მართვა პოლიციის საჩივრების საბჭოს მიერ გაცემული მითითებებისა და ხელმძღვანელობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. პოლიციის საჩივრების ორგანოს ასევე ჰყავს რამდენიმე გამომძიებელი, და იურიდიული და ადმინისტრაციული პერსონალი.<sup>95</sup>

P კომიტეტს (ბელგია) აქვს საგამომიებო დეპარტამენტი P, როგორც ოპერატიული მიმართულება, რომელიც ახორციელებს საკუთარ მოკვლევას და საჩივრებთან დაკავშირებით გარკვეულ გამოძიებებს.<sup>96</sup> P საგამომიებო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი,

<sup>91</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/ombudsman-commissioners/>.

<sup>92</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/gsoc-administration/>. ასევე იხილეთ: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/gsoc-administration/?download=file&file=2545>.

<sup>93</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <http://www.spesialenheten.no/English/Information/Aboutus.aspx>.

<sup>94</sup> იხილეთ ბმული სააგენტოს ვებგვერდიდან: <http://www.politiklagemyndigheden.dk/english/independent-police-complaints-authority>; ასევე იხილეთ: <https://ipcan.org/members/the-danish-independent-police-complaints-authority>.

<sup>95</sup> იქვე

<sup>96</sup> იხილეთ P კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი ბროშურა: <https://comitep.be/document/doc-download/INFORMATION%20BROCHURE%20Comite%20P.pdf>.

რომელსაც ორი მოადგილე ჰყავს. მათ ნიშნავს მუდმივმოქმედი P კომიტეტი ხუთი წლის ვადით, და ისინი შეიძლება განმეორებითი ვადით დაინიშნონ. გენერალური დირექტორი, მისი ორი მოადგილე და P საგამომიებო დეპარტამენტის წევრები წოდების მიხედვით არიან „სასამართლო პოლიციის ოფიცრები, პროკურორის თანაშემწეები“. გენერალური დირექტორი ამ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს კოლეგიალური უფლებამოსილებით, მუდმივმოქმედი P კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით. *საგამომიებო დეპარტამენტს 60-მდე თანამშრომელი ჰყავს და ყველა მათგანს „კომისარი-აუდიტორის“ წოდება აქვს, მიუხედავად მათი დონის ან რანგისა. მივლინებული წევრები ასევე ხუთი წლის ვადით ინიშნებიან, რომელიც შეიძლება განახლდეს.*<sup>97</sup>

SIU-ს (ონტარიო, კანადა) ხელმძღვანელობს დირექტორი და მას დაახლოებით 90 თანამშრომელი ჰყავს, რომელთა შემადგენლობაში შედის თხუთმეტი *წამყვანი სამოქალაქო გამომძიებელი*.<sup>98</sup> გარდა სამტატო გამომძიებლისა, SIU-ს ჰყავს გამომძიებლები (40-მდე), რომლებიც „საჭიროების შესაბამისად“ მუშაობენ სააგენტოზე ონტარიოს პროვინციის დიდი ტერიტორიის სხვადასხვა რეგიონში, და მათ დახმარებისთვის მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ სამტატო თანამშრომლები არ არიან ადგილზე ხელმისაწვდომი გამომძიებლის მომენტისთვის. ჩვეულებრივ, სარეზერვო გამომძიებლები პენსიაზე მყოფი გამომძიებლები არიან. როგორც ზემოთ აღინიშნა, SIU-ს დირექტორს გამომძიებლის დასრულების შემდეგ ბრალის წაყენების უფლებამოსილება გააჩნია. SIU-ს მის საქმიანობაში ასევე მხარს უჭერს: *დირექტორის მოადგილე; აღმასრულებელი დირექტორი; მრჩეველი, ბიზნეს ოპერაციების მენეჯერი; გამომძიებლის მენეჯერები; დაზარალებული პირების მენეჯერი; სასამართლო ექსპერტიზის მენეჯერები; კომუნიკაციების კოორდინატორი; ურთიერთობების კოორდინატორი; ტრენინგის კოორდინატორი; და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც შედგება სტენოგრაფისტებისგან; ცენტრალური რეგისტრის რეგისტრატორი; ბიუჯეტის და ინვენტარიზაციის მწარმოებელი; ინფორმაციული ტექნოლოგიების ანალიტიკოსი და ადმინისტრაციული ასისტენტები.*<sup>99</sup> მსგავსად ზემოთ განხილული მექანიზმებისა, SIU-მ შეიმუშავა შიდა პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია ნორმატიულ რეგულაციებზე და საკუთარ პრაქტიკასა და მუშაობის სტანდარტებზე.<sup>100</sup> *ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა; სამუშაო ადგილას დისკრიმინაციისა და შევიწროების პრევენცია; არა-სექსისტური ენის გამოყენება, ოფისის პროტოკოლის პოლიტიკა (ოფისის მუშაობის სტანდარტები); საჩივრების პოლიტიკა (SIU-ს პერსონალის შესრულების შესახებ) და ა.შ.*

დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმების ფუნქციონირების კვლევისას გამოვლინდა საინფორმაციო ტექნოლოგიის ფართოდ გამოყენების მთელი რიგი შემთხვევა. ასეთი IT

<sup>97</sup> იქვე

<sup>98</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ SIU-ს ვებგვერდი: [https://www.siu.on.ca/en/org\\_chart.php](https://www.siu.on.ca/en/org_chart.php); ასევე იხილეთ ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

<sup>99</sup> იქვე. ასევე იხილეთ SIU-ს საორგანიზაციო სქემა, წლიური ანგარიში, 2018-2019, გვ. 59: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

<sup>100</sup> მასალები მოწოდებულია საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის მიერ.

ინსტრუმენტების მიზანია მენეჯმენტის პროცესების მხარდაჭერა და მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ერთ-ერთი ასეთი ტექნოლოგია, რომელსაც PONI იყენებს, არის *პოლიციის ომბუდსმენის საქმეთა მართვის სისტემა*.<sup>101</sup> სხვადასხვა ინსტიტუტებს სხვადასხვა IT ინსტრუმენტები გააჩნიათ გამოძიების, სასამართლო და სხვა ექსპერტიზის, და მონაცემთა ანალიზისთვის.<sup>102</sup> IOPC (ინგლისი და უელსი) და GSOC (ირლანდია) თავიანთ ყოველწლიურ ანგარიშებსა და სტრატეგიებში ასახავენ ინფორმაციას მათ ინსტიტუტებში IT რესურსების შემდგომ გაუმჯობესებაზე მიმართულ ძალისხმევაზე. IOPC-ის წლიურ ანგარიშში საუბარია ინსტიტუტის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ტრანსფორმირებაზე: *”ჩვენ ვცდილობთ უზრუნველყოთ საუკეთესო ციფრული ტექნოლოგია ჩვენი თანამშრომლებისთვის. ჩვენ მნიშვნელოვანი სამუშაოები გავწიეთ 2018/19 წლების განმავლობაში ჩვენი ICT-ს ტრანსფორმაციის ფარგლებში და ყველა ჩვენი ოფისის თანამშრომლები საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი პაკეტებით აღჭურვით, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მოქნილად იმუშაონ. ახალ ICT პარტნიორებთან თანამშრომლობით, ჩვენ დავენერგეთ სხვადასხვა სისტემა ხმოვანი და ვიდეო ზარების, ელექტრონული ფოსტის და ციფრული თანამშრომლობის მართვისთვის განსხვავებული სისტემები“*.<sup>103</sup>

გარდა ინსტიტუციური მოწყობის შესწავლისა, წინამდებარე კვლევა, ასევე, მიზნად ისახავს ამ სისტემების დაფინანსების გზების შესწავლას. გამოკვლევული მექანიზმების უმეტესი ნაწილის შემთხვევაში დაფინანსებას შესაბამისი აღმასრულებელი სამთავრობო უწყებები გამოყოფენ. PONI (ჩრდილოეთ ირლანდია) იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ფინანსდება;<sup>104</sup> IOPC-ს (ინგლისი და უელსი) შინაგან საქმეთა სამინისტრო აფინანსებს;<sup>105</sup> ნორვეგიის ბიუროს ბიუჯეტს იუსტიციის სამინისტრო ამტკიცებს; SU-ს (შვედეთი) ბიუჯეტს მთავრობა ადგენს და სააგენტოს პოლიციის სხვა დანაყოფების ბიუჯეტისგან ცალკე ბიუჯეტი აქვს; SIU-ს (ონტარიო კანადა) გენერალური პროკურორის სამინისტრო აფინანსებს.<sup>106</sup> პრაქტიკოსების მოსაზრებით, დაფინანსების ასეთი მოდელი მისაღებია<sup>107</sup> და იგი განპირობებულია კონკრეტული იურისდიქციის მმართველობის კულტურით. კვლევისას არ გამოვლენილა არცერთი სისტემა, სადაც კანონით იქნებოდა

<sup>101</sup> იხილეთ შესაბამისი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/06/06442f1c-039c-49f8-8555-1199dec1a5c0.pdf>.

<sup>102</sup> იხილეთ PONI-ს მიერ მომზადებული ვიდეო: <https://www.policeombudsman.org/Video-Audio/Video/An-introduction-to-the-Police-Ombudsman-s-Office>; ასევე იხილეთ SIU-ს მიერ მომზადებული ვიდეო: <https://www.siu.on.ca/en/video.php?vidid=8>; დანაშაულის ადგილზე გასვლა: <https://www.siu.on.ca/en/video.php?vidid=6>.

<sup>103</sup> იხილეთ IOPC-ს წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიში, 2018-2019, p.27: ასევე იხილეთ GSOC-ის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის, 3.2 *ეფექტიანობის გაუმჯობესება*; 3. *ტექნოლოგიების გამოყენება*: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/gsoc-administration/?download=file&file=3098>.

<sup>104</sup> 2019/20 ბიუჯეტი 9.29 მილიონ ფუნტს შეადგენს.

<sup>105</sup> 2019/20 IOPC დაფინანსების სახით 64.145 მილიონ ფუნტს მიიღებს.

<sup>106</sup> კანადის ყოველწლიური ხარჯები ფინანსური წლისთვის, რომელიც 2019 წლის 21 მარტს დასრულდება, დაახლოებით \$ 10,161,280 კანადურ დოლარს შეადგენს.

<sup>107</sup> იხილეთ ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამოძიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

განსაზღვრული წინა წელთან შედარებით დაწესებულებისთვის დაფინანსების შემცირების აკრძალვა მასთან შეთანხმების გარეშე. შესწავლილი სისტემებიდან თითქმის არცერთ სისტემაში არ გამოვლენილა დაფინანსების ინსტრუმენტის გამოყენება პოლიტიკურ ინტერესებში ზეწოლის მექანიზმის სახით. ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისია PONI, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით მისი საქმიანობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მთლიანობაში დადებითად არის შეფასებული, ძირითადი წინააღმდეგობები დაკავშირებულია *წარსულ გამოძიებებთან* (XX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში პოლიციის მიერ ძალადობრივი ქმედებების შემთხვევები, რომლებიც ცნობილია როგორც „პრობლემატური გამოძიებები“<sup>108</sup>) და რადგან ამ ორი ტიპის გამოძიების დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან ხდება, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით პერიოდულად ადგილი აქვს დაფინანსებაში შეფერხებებს ან შემცირებას.<sup>109</sup> უფრო მყიდვე დემოკრატიების შემთხვევაში დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოები უშუალოდ ეროვნული პარლამენტების (იამაიკა) და საერთაშორისო ორგანიზაციების (გვატემალა) მიერ ფინანსდება.

მიუხედავად იმისა, რომ მომავალში შეიძლება გაგრძელდეს ამგვარი ინსტიტუტების დაფინანსებასთან დაკავშირებული დეტალების ანალიზები, ამ ეტაპზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამ დაწესებულებების ბიუჯეტის დიდი ნაწილი *თანამშრომლების ხელფასებზე იხარჯება* (და თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი გამომძიებლები არიან). 2013 წლიდან და შემდგომ პერიოდში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ IOPC-ს შემთხვევაში (ამ პერიოდისთვის ინსტიტუტს IPCC ერქვა) საშუალო დამოუკიდებელი გამოძიების ღირებულება დაახლოებით 45,000-დან 300,000 მდე ფუნტს შეადგენს.<sup>110</sup>

### **დაქირავების პრაქტიკა, მუშაობის გამოცდილება და მოთხოვნები**

ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციური მახასიათებლების შესწავლის შედეგად ჩვენ *ძირითადი ელემენტი გამოყვავით* - ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია *სამოქალაქო ზედამხედველობის კულტურაზე* და არ იმეორებს ტრადიციული სამართალდამცავი სტრუქტურების მოდელს. ეს პრინციპი კიდევ უფრო გამყარებულია ასეთი დაწესებულებებისთვის თანამშრომლების დაქირავების კონტექსტში. *უმეტეს შემთხვევებში*, შესწავლილი ინსტიტუტების ომბუდსმენებს, ინსპექტორებს, კომისიის წევრებს და დირექტორებს კანონით ეკრძალებათ რომ პოლიციის ყოფილი თანამშრომლები იყვნენ, ან არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მათი ამ ჯგუფიდან შერჩევა არ ხდება. ამ შეზღუდვის მიზანია ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და ფართო საზოგადოებაში ასეთი დამოუკიდებლობის აღქმის შენარჩუნება. მრავალფეროვანი პრაქტიკა არსებობს გამომძიებლების და სხვა თანამშრომლების დაქირავების სფეროში.

<sup>108</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: <https://www.britannica.com/event/The-Troubles-Northern-Ireland-history>.

<sup>109</sup> ინტერვიუ ბატონ დანიელ ჰოლდერთან, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია (2020 წლის 21 აპრილი).

<sup>110</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაჰან მეერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 1.



თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ ინსტიტუტებში თანამშრომლების შერჩევის დამოუკიდებელი და დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესი ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს, როგორც ინტერპრეტირებულია CPT-ს და UN CAT-ის მიერ. CPT-ს მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც კვიპროსის დამოუკიდებელ საგამომიებო მექანიზმს (IAIACAP) შეეხება, შემდეგი შეფასებაა ასახული:

*„რაც შეეხება ინსტიტუტის დამოუკიდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ IAIACAP არ არის დაკავშირებული იერარქიულად ან ინსტიტუციურად კვიპროსის პოლიციასთან, მისი წევრების შერჩევის პროცესი არც ღია და არც გამჭვირვალეა, რადგან ხუთივე წევრს ნიშნავს მინისტრთა საბჭო. რაც მთავარია, სისხლის სამართლის გამომძიებლების კონტინგენტის უმეტესობა, რომელთა მომსახურებაზეა დამოკიდებული ძირითადად ეს ინსტიტუტი, პოლიციის ყოფილი თანამშრომლები არიან. CPT-ს სურს კვლავ აღნიშნოს, რომ იმისათვის, რომ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების გამომძიებამ საზოგადოების ნდობა მოიპოვოს და ეფექტური იყოს, პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების მექანიზმი უნდა იყოს, და უნდა აღიქმებოდეს სრულიად დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მექანიზმად. ყოფილი პოლიციელების დაქირავების პრაქტიკა მათი ყოფილი კოლეგების წინააღმდეგ ბრალდებების გამოსაძიებლად, ამ მხრივ პრობლემურია. IAIACAP-ის ყოფილი პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როგორც ჩანს, სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებლების უმრავლესობას არ გაუცნობიერებიათ სათანადოდ, რომ ისინი აღარ არიან პოლიციის წევრები, არამედ სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებლები არიან [IAIACAP].“<sup>111</sup>*

PONI-ს (ჩრდილოეთ ირლანდია) პერსონალის შემადგენლობაში შედიან პენსიაზე გასული პოლიციელები და სამოქალაქო სამართლის იურისტები. პოლიცია დროებითი სპეციალური ღონისძიების შესაბამისად მოქმედებდა, და პერსონალის 50%-50% უმცირესობათა და უმრავლესობის ჯგუფებიდან უნდა ყოფილიყო დაქირავებული. ეს პროცენტული თანაფარდობა მხოლოდ ახლახან შეიცვალა, და უმცირესობათა ჯგუფიდან წარმომადგენლებმა 30%-ი უნდა შეადგინონ.<sup>112</sup> ბოლო ათწლეულის განმავლობაში PONI-ს გამომძიებლების 25-30% ყოფილი პოლიციელები იყვნენ და არცერთი მათგანი არ მუშაობდა ჩრდილოეთ ირლანდიაში (ეს ძირითადად ისტორიული გამომძიებებით არის განპირობებული<sup>113</sup>). მიუხედავად იმისა, რომ PONI

<sup>111</sup> იხილეთ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ კვიპროსის მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში კვიპროსში ვიზიტის შესახებ 2018 წლის 2-დან 9 თებერვლამდე, 2018 წლის 26 აპრილს, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/16807bf7b4>; იხილეთ მსგავსი გამოწვევები ჩეხეთის რესპუბლიკის შესაბამისი სააგენტოს შემთხვევაში - იხილეთ ევროპაში პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამომძიება, ევროკავშირის შვიდი ქვეყნის შედარებითი კვლევა, უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, 2017, გვ.50.

<sup>112</sup> იხილეთ კვლევის საბოლოო დასკვნები, წამების პრევენციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებების მიერ ადამიანის უფლებების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სტანდარტების დანერგვის ადვოკატირების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამა, იხილეთ ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის პროგრამა ყირგიზეთის რესპუბლიკისთვის, გვ. 80.

<sup>113</sup> იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამომძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაჰან მეგრანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 6.

აცნობიერებს ყოფილი პოლიციელების გამომძიებლებად მუშაობის სარგებელს, იგი თანდათანობით აღმოფხვრის ამ პრაქტიკას ინსტიტუტის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად.

სააგენტომ შეიმუშავა *გამომძიებლების ტრენინგის (სტაჟირების) პროგრამა* და სამოქალაქო გამომძიებლების ახალი კადრების მომზადება ხდება, რომლებიც PONI-ში იქნებიან დასაქმებული.<sup>114</sup> PONI-ში გამომძიებლებისა და სხვა პერსონალის დანიშვნა *საჯარო სამსახურში დასაქმების კოდექსის შესაბამისად ხდება*, რომელიც მოითხოვს, რომ პერსონალის დანიშვნა დამსახურებაზე დაყრდნობით და სამართლიანი და ღია კონკურსის საფუძველზე მოხდეს, მაგრამ კოდექსი ასევე განსაზღვრავს იმ გარემოებებს, როდესაც პერსონალის დანიშვნა შეიძლება სხვაგვარად მოხდეს.<sup>115</sup> თანამდებობის პირები განუსაზღვრელი ვადის მქონე კონტრაქტების საფუძველზე ინიშნებიან. კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადაცდომების გამო ხდება, პირს კომპენსაცია უნდა მიეცეს, როგორც ეს გათვალისწინებულია *საჯარო სამსახურის კომპენსაციის სქემაში*.<sup>116</sup> PONI-ს გამომძიებლები ნარინჯისფერ ქურთუკებს ატარებენ მათი პოლიციისგან განსხვავების მიზნით.

*IOPC (ინგლისი და უელსი)* PONI-ს გამოცდილების გათვალისწინებით მოქმედებს, და მიუხედავად იმისა, რომ გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი გუნდის წევრები არ არიან კავშირში პოლიციასთან, სააგენტოს პერსონალის ნაწილი ყოფილი პოლიციის ოფიცრები (თანამშრომელთა დაახლოებით 30-35%) ან პოლიციის სამოქალაქო თანამშრომლები არიან. ყოფილი პოლიციის ოფიცრების დაქირავების შემთხვევაში, *IOPC შესაბამის ზომებს იღებს მიკერძოების შესაძლო შედეგების შესამცირებლად*, მაგალითად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყოფილი პოლიციის თანამშრომლები არ გამოიძიებენ იმ პოლიციის განყოფილების პერსონალის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარს, სადაც თავად იყვნენ დასაქმებული.<sup>117</sup>

მსგავსად PONI-სა, IOPC-შიც მოქმედებს სტაჟიორი გამომძიებლის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდა სპეციალისტების 12-18 თვიან პროგრამაში ჩარიცხვა ხდება, რომლის მიზანია უნარების და ცოდნის განვითარება როგორც ტრენინგის, ასევე სამუშაო ადგილზე მომზადების გზით (როგორც საგამომძიებო ჯგუფის წევრი, სტაჟიორი მონაწილეობას იღებს გამოკითხვაში, მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზში, ესწრება აუტოფსიას, ამზადებს მასალებს სასამართლო პროცესისთვის ან მოკვლევისთვის). პროგრამის დასრულების შემდეგ

---

<sup>114</sup> იხილეთ კვლევის საბოლოო დასკვნები, წამების პრევენციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებების მიერ ადამიანის უფლებების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სტანდარტების დანერგვის ადვოკატირების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამა, იხილეთ ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის პროგრამა ყირგიზეთის რესპუბლიკისთვის, გვ. 21.

<sup>115</sup> იხილეთ 2019 წლის ანგარიში: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/04/048d82dd-0255-414f-8af4-b47b692e9cc1.pdf>; აგრეთვე, მეტი ინფორმაციისთვის საჯარო სამსახურის შესახებ შემდეგ ბმულზე: [www.nicscommissioners.org](http://www.nicscommissioners.org).

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> იხილეთ ევროპაში პოლიციის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება, ევროკავშირის შვიდი ქვეყნის შედარებითი კვლევა, უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, 2017, 64.

წარმატებული სტაჟორები აკრედიტებული გამომძიებლები გახდებიან და გამომძიებლის პოზიციაზე დაინიშნებიან.<sup>118</sup>

IOPC ვებგვერდი ამომწურავ ინფორმაციას აწვდის დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ასევე, აღწერილია სხვადასხვა საგამომძიებო პოზიცია:<sup>119</sup>

- *სტაჟიორი გამომძიებელი*: პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარსადგენად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2: 2 დონის ან ექვივალენტური ხარისხი ნებისმიერ დისციპლინაში, და „ანალიტიკური გონება, სწორი პასუხების ძიების სურვილი და გამომძიების დიპლომატიურად და ობიექტურად წარმართვის უნარი“;
- *გამომძიებელი*: გარდა ზემოაღნიშნული სტაჟორების პროგრამის კურსდამთავრებულებისა, განაცხადის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს გარკვეული საგამომძიებო გამოცდილება, ან ინსპექტირების, მარეგულირებლის, აღმასრულებლის ან სხვა მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
- *მთავარი გამომძიებელი*: საჭიროა ნებისმიერ სექტორში გამომძიების ჩატარების გამოცდილება, როგორცაა სოციალური სამსახური, პრობაციის სამსახურები, ადგილობრივი ხელისუფლების სააღსრულებო ან მარეგულირებელი სამსახურები, თაღლითობის ან სისხლის სამართლის გამომძიება, აგრეთვე საზოგადოებასთან მუშაობის გამოცდილება; გარდა გამომძიებლის მოვალეობის შესრულებისა, მთავარი გამომძიებელი შეიმუშავებს და შეათანხმებს გამომძიებების ტექნიკურ დავალებას და გამომძიებების მიმდინარეობის შესახებ აცნობებს ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელს, ყურადღების გამახვილებით პოტენციურ რისკებსა და რესურსების თვალსაზრისით არსებულ საჭიროებებზე. რადგან მთავარი გამომძიებელი პასუხისმგებელი იქნება მომჩივანებთან, მათ ოჯახებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციაზე, იგი უნდა იყოს თავდაჯერებული და გააჩნდეს კარგი კომუნიკაციის უნარი, უნდა შეეძლოს სიმშვიდის და კონცენტრაციის შენარჩუნება დიდი ზეწოლის ქვეშ მუშაობისას. მომავალ გამომძიებელს უნდა გააჩნდეს ანალიტიკური უნარები სავარაუდოდ ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციალური მომსახურება, ვაჭრობის სტანდარტები, რისკი, აუდიტი, პრობაცია ან აღსრულება. კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2: 2 დონის ან ექვივალენტური ხარისხი;
- *ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი*:<sup>120</sup> ძირითადი ფუნქციაა საგამომძიებო პერსონალის გუნდის მართვა, რაც მოიცავს პერსონალის დატრენინგებას, პრობლემების მოგვარებას, პერსონალის შესრულების მართვას და გამონაკლის შემთხვევაში, რთული საგამომძიებო მოქმედებების განხორციელებას. ვებგვერდის თანახმად: „თუ თქვენ გაქვთ სტრატეგიული აზროვნების უნარი, გამძლეობა და გამომძიების უნარი, რათა ჩვენს გუნდებს

<sup>118</sup> მეთი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: <https://policeconduct.gov.uk/who-we-are/working-us/investigative-roles>;

<sup>119</sup> იხილეთ შესაბამისი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <https://policeconduct.gov.uk/who-we-are/working-us>; ასევე იხილეთ ბმული მოკლე საინფორმაციო ვიდეოებით თითოეული პოზიციის შესახებ: <https://policeconduct.gov.uk/who-we-are/working-us/investigative-roles>.

<sup>120</sup> იხილეთ საინტერესო ვიდეო ამჟამინდელი ოპერატიული გუნდის ხელმძღვანელის შესახებ: <https://youtu.be/BENmukQUKTW>.

უხელმძღვანელოთ გახმაურებული საქმეების გამოძიებების პროცესში, ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა თქვენი მენეჯმენტის კარიერის განვითარებისა და სოციალურ სამართლიანობაზე გავლენის მოხდენისთვის. თქვენ უნდა გქონდეთ გუნდის და გამოძიებების ხელმძღვანელობის წინა გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციალური მომსახურება, ვაჭრობის სტანდარტები, რისკი, აუდიტი, პრობაცია ან აღსრულება. სასურველია გქონდეთ მინიმუმ 2: 2 დონის ან ექვივალენტური ხარისხი“;

- *ოპერაციების მენეჯერი*: მანდატი მოიცავს სხვადასხვა საგამოძიებო და სხვა სერვისების კოორდინაციას სათანადო შესრულების, პროდუქტიულობის, ხარისხისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. საჭიროა ძლიერი ანალიტიკური და ლიდერობის უნარი. ამ პოზიციისთვის საჭიროა რთული პროცესების მართვის უნარი. კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2: 2 დონის ან ექვივალენტური ხარისხი.

ზემოაღნიშნული თანამდებობების დაკომპლექტების პროცესი მოიცავს განცხადების პირველად განხილვას, სატელეფონო ინტერვიუს და შეფასების ცენტრში გამოცხადებას საბოლოო ინტერვიუს ჩასატარებლად.<sup>121</sup> IOPC ვებგვერდზე ასევე მოცემულია თვითშეფასების ონლაინ ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ პოტენციურ კანდიდატს შეუძლია განცხადების წარდგენამდე რეალობასთან შეაჯეროს მისი სამსახურში მუშაობის ძირითადი მოტივაცია და მოლოდინები.<sup>122</sup>

*PIRC-ში (შოტლანდია)* დასაქმებულია პოლიციაში და სხვა უწყებებში მუშაობის გამოცდილების მქონე პერსონალი. 2019 წელს, PIRC-ს თანამშრომელთა 60%-ს არ ჰქონდა მანამდე პოლიციის ოფიცრად მუშაობის გამოცდილება, ხოლო დანარჩენი 40%-ი მანამდე პოლიციაში იყო დასაქმებული. ამჟამად, საგამოძიებო ჯგუფის თანამშრომელთა 54% ადრე მსახურობდა შოტლანდიის ყოფილი რვა სამხედრო დანაყოფიდან ერთ-ერთის შემადგენლობაში. საგამოძიებო ჯგუფის პერსონალის შემადგენლობის დანარჩენ 46%-ს სხვადასხვა საგამოძიებო გამოცდილება გააჩნია, მათ შორის სახანძრო და სამხველო სამსახურში, გაერთიანებული სამეფოს ყოფილ საზღვრის დაცვის სააგენტოში, ვაჭრობის სტანდარტებისა და შეიარაღებულ ძალებში მუშაობის გამოცდილება.<sup>123</sup> PIRC-ს გააჩნია *დასაქმების და შერჩევის პოლიტიკა*, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და განმარტავს დამსახურების საფუძველზე შერჩევის პროცედურის ძირითად პრინციპებს.<sup>124</sup>

*SIU-ს (ონტარიო, კანადა)*, მსგავსად ზემოთხსენებული იურისდიქციებისა, სხვადასხვა სფეროებში მუშაობის გამოცდილების მქონე გამომძიებლები ჰყავს. ამჟამად დასაქმებული 15 უფროსი

<sup>121</sup> უფრო დეტალურად იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების ნაწილი: <https://policeconduct.gov.uk/who-we-are/working-us/investigative-roles/frequently-asked-question-investigation-roles>.

<sup>122</sup> შესაბამისი ონლაინ ინსტრუმენტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://policeconduct.gov.uk/who-we-are/working-us/investigative-roles/self-assessment-tool>.

<sup>123</sup> იხილეთ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში გაერთიანებულ სამეფოში 2018 წლის 17-დან 25 ოქტომბრამდე, და 2019 წლის 11 ოქტომბერს შემდგარი ვიზიტის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680982a3e>, პარ. 26.

<sup>124</sup> იხილეთ პოლიტიკის ტექსტი შემდეგ ბმულზე: <https://pire.scot/media/4655/recruitment-selection-policy.pdf>.

გამომძიებელიდან 8-ს არა აქვს პოლიციაში მანამდე მუშაობის გამოცდილება. მათი საგამომძიებო უნარები და ცოდნა გამომძიებლის ისეთ სფეროებში მუშაობის გამოცდილებიდან, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა, იმიგრაცია, იურიდიული პროფესია, დასაქმების ადგილზე ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და პროფესიების რეგულირება. გარდა ამისა, დამატებით 40 რეგიონალური გამომძიებელი და 10 სასამართლო ექსპერტი გამომძიებელი პროვინციის მასშტაბით უწევს დახმარებას სააგენტოს საჭიროების შემთხვევაში<sup>125</sup>. გამომძიებლებს ოფიციალურად უწოდებენ „მშვიდობის ოფიცრებს“, ხოლო პოლიციის თანამშრომლებს, რომელთა მიმართ გამოძიება მიმდინარეობს, „გამომძიებლის სუბიექტებად“ მოიხსენიებენ. ყოფილი პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც SIU-ში მუშაობენ, კანონით ეკრძალებათ გამოძიებაში მონაწილეობა იმ სუბიექტის წინააღმდეგ, რომელიც იმ პოლიციის განყოფილებაში ან უწყებაში მუშაობს, სადაც ადრე გამომძიებელი იყო დასაქმებული.

SIU-ს მსგავსად PONI და IOPC მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ინსტიტუტმა თავისი მომავალი გამომძიებლები მოამზადოს, რათა არ მოუწიოს პოლიციის ყოფილ ოფიცრებზე ზედმეტად დაყრდნობა. ამ მიზნით, მათ გააჩნიათ სტაჟირების პროგრამა, რომელიც წარმატებულად ეხმარება სამსახურს ახალი სამოქალაქო გამომძიებლების მომზადებასა და დაქირავებაში.<sup>126</sup> გამომძიებლების დაქირავება ხორციელდება საჯარო სამსახურში დაქირავების პროცედურის შესაბამისად. გარდა ამისა, რამდენიმე წამყვანი პოლიციის შემთხვევაში თანამშრომლები გადიან *დასაქმებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას (ESRA)*, რაც მოიცავს უსაფრთხოების გაძლიერებულ სკრინინგს (რომელიც ითვალისწინებს ნასამართლეობის შესახებ ჩანაწერების (CPIC) შემოწმებას, ადგილობრივი პოლიციის ჩანაწერების შემოწმებას, ონტარიოს პროვინციის პოლიციის (OPP) გამომძიებლის შემოწმებას და საკრედიტო ისტორიის შემოწმებას) და კანდიდატებმა ამ პოლიციაზე დანიშვნამდე წარმატებით უნდა გაიარონ შემოწმება. პოლიციაზე დანიშვნის შემდეგ გამომძიებლებმა უნდა გაიარონ ხუთკვირიანი ტრენინგი და ექვსთვიანი ინსტრუქტაჟი.<sup>127</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, SIU-ში სხვადასხვა სფეროს პროფესიონალები არიან დასაქმებული, რომლებიც დაკავებულნი არიან გამოძიებით. კვლევის შედეგად SIU-ს გამომძიებლის მიმართ შემდეგი მოთხოვნები გამოიკვეთა:<sup>128</sup>

- *ცოდნა*: ცოდნის შეძენის და გამოყენების უნარი შემდეგ სფეროებში: გამოძიების მეთოდები, ტექნიკა და პროცედურები, გამოძიების ჩასატარებლად დანაშაულის ადგილას მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება, მოწმეების იდენტიფიცირება, გამოკითხვა, და/ან მოწმეების დაკითხვა, სპეციალიზებული დახმარების ორგანიზება, როგორცაა ტექნიკური ექსპერტები, ან სპეციალური აღჭურვილობის გამოყენება; ძალის გამოყენების

<sup>125</sup> იხილეთ საინფორმაციო ვიდეო SIU-ს გამომძიებლების შესახებ: <https://www.siu.on.ca/en/video.php?vidid=7>.

<sup>126</sup> იხილეთ ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომძიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

<sup>127</sup> იხილეთ SIU-ს წლიური ანგარიში 2018-2019, გვ. 19: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

<sup>128</sup> მასალები მიღებულია საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილისგან. აქ მოყვანილია ამონარიდები საილუსტრაციო მიზნებში, დეტალური შესწავლისთვის იხილეთ სამუშაოს აღწერილობის სრული ტექსტი.

პრინციპები, თეორიები და პრაქტიკა; დაპატიმრების უფლებამოსილება და პოლიციის უფლებამოსილება; სასამართლო პროცესები და მტკიცებულების წესები; კანონმდებლობა და შინაგანაწესი (მტკიცებულების შესახებ კანადის კანონი, პოლიციის სამსახურის შესახებ კანონი, კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, მტკიცებულების შესახებ ონტარიოს კანონი; ძირითადი თეორიები, რათა დადგინდეს გამოძიების მოთხოვნები მტკიცებულებათა სავარაუდო და პოტენციური წყაროების გამოვლენის გზით, დანაშაულის ადგილას პოლიციის პერსონალისთვის მითითების მიწოდება, სასამართლო პროცესებზე ჩვენების მიცემა; ბიზნეს/პოლიციის ჩანაწერების წარმოება და სათანადო დოკუმენტირების უზრუნველყოფა და ჩანაწერებისა და მტკიცებულებების დროებითი შენახვა; მტკიცებულებების შეფასება ჩანაწერების შემოწმების გზით და შეუსაბამობების გამოვლენა და გამოძიებისთვის შესაძლო მნიშვნელობის დადგენა; საგამოძიებო აღჭურვილობის მუშაობის და ტექნიკური ექსპლუატაციის ცოდნა, აღჭურვილობის გამოყენება მტკიცებულებების შეგროვების მიზნით;

- უნარები:* საღი აზრი, ანალიტიკური და მსჯელობის უნარი შემდეგ მიზნებში: გამოძიების ჩატარება, მტკიცებულებების იდენტიფიცირება და ინტერპრეტაცია, დანაშაულის ადგილის შესწავლა, ჩანაწერების წარმოება და მოწმის გამოკითხვა, საჭირო აღჭურვილობის ან სპეციალური დახმარების საჭიროების დადგენა, მაგალითად, კორონერის ოფისის დახმარება; ანალიტიკური და შეფასების უნარი, რაც დაეხმარება იმის დადგენაში, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ დანაშაულებრივ ქმედებებს ჰქონდა ადგილი; მსჯელობის უნარი; კომუნიკაციის უნარი შემდეგი მიზნით: მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში და მოკვლევისას, მტკიცებულებების, გამოძიებებთან დაკავშირებული დასკვნების და ტექნიკური ინფორმაციის გადმოცემის უნარი და კანონმდებლობის/პოლიტიკის გამოყენების უნარი; საბრალდებო აქტის და გამოძიების დროს შეკრებილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ანგარიშების შედგენა; ლექციების ჩატარება პროვინციის მასშტაბით საგამოძიებო ტექნიკის საკითხებზე; ინტერპერსონალური უნარები; თანაგრძნობის, შემწყნარებლობის, მოთმინების, საგამოძიებო პროცესში ჩართული პირების და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობის გააზრების მზაობა SIU-ს განვითარების ხელშესაწყობად. ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის და ინსტრუქციების შესრულების უნარი;
- მოქმედების თავისუფლება:* „გამოძიებებთან დაკავშირებული სამუშაო ხორციელდება ამ დანაყოფების პროცედურული კონტროლის (სამინისტროს/მთავრობის პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები, დირექტივები ან დადგენილი პრაქტიკა ან პროცედურები) და გამოძიებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის/რეგულაციების შესაბამისად (პოლიციის საქმიანობის შესახებ კანონი, სისხლის სამართლის კოდექსი, მტკიცებულებების შესახებ კანადის კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონი). სამუშაო გულისხმობს მოქმედების მნიშვნელოვან თავისუფლებას შემდეგ სფეროებში: გამოძიების მოთხოვნების განსაზღვრა (მათ შორის, მოწმეების იდენტიფიცირება და გამოკითხვა, სპეციალური/ტექნიკური მომსახურებების გამოყენება); გამოძიების მიმართულების განსაზღვრა, მათ შორის, მტკიცებულებების და ანალიზების/გამოკვლევების მნიშვნელობის დადგენა, რომლებიც საჭიროა

მტკიცებულებებთან დაკავშირებული თეორიების/ინტერპრეტაციის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, მითითებების მიწოდება იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო ინტერპრეტაციის მხარდასაჭერად; მტკიცებულებებიდან გამომდინარე შემდგომი რეკომენდაციების მიწოდება (მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნა). შესრულებული სამუშაოს, პოლიტიკის დაცვის, გამოძიების დროულად ჩატარების და ხარისხის და შეფასება ზედამხედველის წინაშე სტანდარტული ანგარიშგების პროცესების მეშვეობით ხორციელდება. სამუშაო მოითხოვს ამ პოლიტიკის დაცვას და პოლიტიკიდან გამონაკლისების თაობაზე ზედამხედველის შეტყობინებას“.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამომძიებლებისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების პოლიტიკის საკითხი იქნა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს, შემდეგი მახასიათებლები გამოიკვეთა:

- *PONI (ჩრდილოეთ ირლანდია)*: პოლიციის ომბუდსმენის ანაზღაურება მოსამართლის სახელფასო შკალის შესაბამისად განისაზღვრება. მოსამართლის სახელფასო შკალა ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების განმხილველი საბჭოს (SSRB) რეკომენდაციებს ეფუძნება. მთავარი აღმასრულებელი დირექტორის და გამოძიებების ხელმძღვანელის ანაზღაურება ხელმძღვანელი საჯარო მოხელეების სახელფასო შკალის მიხედვით ხდება. ოფისის მმართველი გუნდის წევრებისა და ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება ჩრდილოეთ ირლანდიის საჯარო სამსახურის (NICS) ანაზღაურების სტრუქტურის შესაბამისად განისაზღვრება. ხელმძღვანელი საჯარო მოხელეების (SCS) ანაზღაურების სისტემა დაფუძნებულია თითოეული რანგის შესაბამის ანაზღაურების შკალაზე, რომელიც ითვალისწინებს დიაპაზონს მინიმალური ანაზღაურებიდან მაქსიმალურ ანაზღაურებამდე, რაც შესრულების შედეგებთანაა მიბმული და მინიმალურიდან პროგრესულად მაქსიმალურ ანაზღაურებაზე გადასვლის საშუალებას იძლევა. PONI არ უხდის მის პერსონალს ბონუსებს მათი მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე. შრომის ანაზღაურების დონე იცვლება იმ თანამდებობის შესაბამისად, რომელზეც პირი ინიშნება. შრომის ანაზღაურების დიაპაზონი სრულ განაკვეთზე მუშაობისას 20,692 ფუნტიდან 7 137,685 ფუნტამდე მერყეობს. ოფისში თანამშრომლების საშუალო ხელფასი 32,221 ფუნტს შეადგენს;<sup>129</sup>
- *IOPC (ინგლისი და უელსი)*: ოფისში 14 რანგისგან შემდგარი სისტემა ფუნქციონირებს, რომელიც სამუშაოს შეფასების ანალიტიკურ სქემაზეა დაფუძნებული. ანაზღაურების პოლიტიკაში ან დაფინანსებაში ნებისმიერი ცვლილება ადამიანური რესურსებისა და შრომის ანაზღაურების კომიტეტის (შინაგან საქმეთა სამინისტროსთან) მიერ უნდა დამტკიცდეს. IOPC მინისტრთა კაბინეტის და ხაზინის ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ შემუშავებული *საჯარო სამსახურის ანაზღაურების ინსტრუქციებით ხელმძღვანელობს*. დირექტორების შრომის ანაზღაურება *უფროსი ხელმძღვანელობის სახელფასო ანაზღაურების შეფასების ორგანოს* რეკომენდაციების შესაბამისად

<sup>129</sup> იხილეთ 2018-2019 წლების პერიოდის წლიური ანგარიში: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/04/048d82dd-0255-414f-8af4-b47b692e9cc1.pdf>.

განისაზღვრება. გენერალური დირექტორისთვის და სხვა უფროსი მენეჯერებისთვის ბონუსები არ არის გათვალისწინებული.<sup>130</sup>

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილი იქნა დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოების მიერ დაქირავებული გამომძიებლების და სხვა პერსონალის პროფესიული ეთიკის საკითხები და ამ მიზნებისთვის შემუშავებული დისციპლინური/გასაჩივრების მექანიზმები:

- *PONI* - შიდა პოლიტიკის ინსტრუმენტების ფარგლებში *PONI*-ს ეთიკის კოდექსი<sup>131</sup> აქვს შემუშავებული. ეთიკის კოდექსის თანახმად:
  - „პოლიციის ომბუდსმენის თანამშრომლები ვალდებული არიან შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ეთიკის კოდექსის დაცვით და გაითვალისწინონ, რომ შესაბამის გარემოებებში დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიციის მიერ სისხლისსამართლებრივი გამოძიება ან პოლიციის ომბუდსმენის ოფისის მიერ დისციპლინური გამოძიება;“
  - იმ შემთხვევებში, როდესაც ეთიკის კოდექსი წინააღმდეგობაში მოდის პოლიციის ომბუდსმენის ინსტრუქციებთან, პოლიტიკასთან, მითითებებთან, ან პროცედურებთან, პერსონალი ვალდებულია დაიცვას კოდექსის დებულებები“.

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს შესაბამის ეთიკის სტანდარტებს შემდეგ სფეროებში: პროფესიული ვალდებულება; ეთიკა საგამომიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში; კონფიდენციალურობა და პირადი ცხოვრება; დაკავებულთა მიმართ მოპყრობა; თანასწორობა; კეთილსინდისიერება; სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისთვის შესაბამისობა; ანგარიშვალდებულება. ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ქვეყნის მინიმალურ სტანდარტებს და კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს *PONI*-ის დისციპლინური პოლიტიკის და პროცედურების დარღვევა და დისციპლინური წარმოების წამოწყება.

- *IOPC* - მსგავსად *PONI*-ისა, *IOPC*-ს საკუთარი ქვეყნის კოდექსი აქვს *IOPC*-ს თანამშრომლებისთვის.<sup>132</sup> კოდექსის თანახმად: „კანონის შესაბამისად, *IOPC*-ს ძირითადი მიზანი მდგომარეობს ინგლისში და უელსში პოლიციელთა წინააღმდეგ საჩივრების განხილვის სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფაში. რადგან ჩვენ სისტემის დამოუკიდებელი გუშაგები ვართ, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საზოგადოების აღქმა და ნდობა იმისადმი, თუ როგორ ვიქცევით ჩვენ, როგორც საჯარო მოხელეები.“ კოდექსი არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი და იგი შემდეგ საკითხებს მოიცავს: *IOPC*-ს ღირებულებები; ქვეყნის

<sup>130</sup> იხილეთ 2018-2019 წლების პერიოდის წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიში: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC annual report and accounts 2018-19.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC%20annual%20report%20and%20accounts%202018-19.pdf).

<sup>131</sup> იხილეთ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის ეთიკის კოდექსი შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/4e/4e945199-fa39-4327-a0d9-9ca425f3aa4c.pdf>.

<sup>132</sup> იხილეთ ქვეყნის კოდექსის ტექსტი შემდეგ ბმულზე: [https://www.whatdotheyknow.com/request/619871/response/1483838/attach/3/1008033%20IOPC%20Code%20of%20Conduct.pdf?cookie\\_passthrough=1](https://www.whatdotheyknow.com/request/619871/response/1483838/attach/3/1008033%20IOPC%20Code%20of%20Conduct.pdf?cookie_passthrough=1).



სტანდარტები; ანგარიშვალდებულება; მრავალფეროვნების დაფასება; კეთილსინდისიერება (ინტერესთა კონფლიქტი); IOPC-ს წარმომადგენლობა (მედიასთან კონტაქტი, პარლამენტარებთან კონტაქტი); სამუშაოს ფარგლებს გარეთ ქცევა (სოციალური მედია, სხვა დასაქმება, პოლიტიკური საქმიანობა); ქცევის კოდექსის დარღვევა (სამუშაოსთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი, თანამშრომელთა ჩართულობა და მენეჯმენტის მიმართულება).

IOPC ასევე სახელმძღვანელო მითითებებს აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეებს სააგენტოსა და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის გზებთან დაკავშირებით<sup>133</sup>. IOPC-ს თანამშრომლებთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების განხილვის ოფიციალური პროცედურა პოლიციის მიმართ საჩივრების დამოუკიდებელი კომისიის (პერსონალის ქცევის შესახებ) დებულებით რეგულირდება (2004 წელი).<sup>134</sup> გარდა ამისა, IOPC-ს აქვს შესაბამისი შიდა პოლიტიკის ინსტრუმენტი - დისციპლინური წარმოების და გათავისუფლების პროცედურა (2009 წლის სექტემბერი),<sup>135</sup> რომლის მიხედვითაც:

- „მენეჯმენტი გამოიყენებს ოფიციალურად დადგენილ დისციპლინურ პროცესს იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდოდ, ქცევის სტანდარტები არ აკმაყოფილებს საჭირო დონეს, და როდესაც ტრენინგი ან არაფორმალური კონსულტაცია წარუმატებელი აღმოჩნდა, ან არ არის მიზანშეწონილი;
- დირექტორის პოზიციის ქვემდგომ პოზიციებზე მყოფი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური პროცედურების გამოყენება უშუალო მენეჯერის ან დირექტორის უფლებამოსილებაში შედის (დირექტორთან პირდაპირი დაქვემდებარების შემთხვევაში);
- პოლიტიკა ადგენს პროცესის პრინციპებს: დისკრიმინაციის დაუშვებლობა; იმ პერსონალის გამიჯვნა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გადაცდომების გამოძიებაზე და დისციპლინური განხილვის ჩატარებაზე; დისციპლინური ქმედება არ იქნება განხორციელებული, სანამ თანამშრომელს არ ეცნობება სავარაუდო გადაცდომის დეტალების და მტკიცებულებების თაობაზე და არ მიეცემა ბრალდებებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა; თანამშრომლის უფლება, თან ახლდეს პროფკავშირის წარმომადგენელი მთელი პროცესის განმავლობაში; თანამშრომლის დათხოვნა დაუშვებელია, გარდა უხეში გადაცდომებისა; პროცესის მაქსიმალური დაჩქარება; თანამშრომლის გასაჩივრების უფლება; ყველა შეხვედრა, მოსმენა და სამოქმედო გეგმა სრულად დოკუმენტირებული უნდა იყოს და კონფიდენციალურად იყოს შენახული მონაწილე მხარეების მიერ;

<sup>133</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული:  
[http://www.ipcc.gov.uk/sites/default/files/Documents/Complaint\\_forms/Feedback\\_and\\_Complaints\\_Policy.pdf](http://www.ipcc.gov.uk/sites/default/files/Documents/Complaint_forms/Feedback_and_Complaints_Policy.pdf).

<sup>134</sup> ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.legislation.gov.uk/ukxi/2004/660/made>.

<sup>135</sup> იხილეთ IPCC-ს დისციპლინური წარმოების და გათავისუფლების პროცედურა, რომელსაც IOPC იყენებს, რომელიც IOPC FOIA-ს ოფიცერმა მოგვაწოდა.

- IOPC-ს შეუძლია შეაჩეროს ნებისმიერი თანამშრომლის უფლებამოსილება, რომლის მიმართ სერიოზული პრეტენზიაა გამოხატული (უხეში გადაცდომა), თუ იგი მიიჩნევს, რომ ამ ზომის მიღება აუცილებელია IOPC-ს ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის, ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- სხვადასხვა მიმართულებების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, რაც გულისხმობს შესაძლო გადაცდომების იდენტიფიცირებას რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და მსგავსი ქმედებების თავიდან აცილების ხელშეწყობას; პირველი ეტაპი - ხელმძღვანელის მიერ არაფორმალური მოქმედებების გატარება და დოკუმენტირება: პოლიტიკა დეტალურ მითითებებს შეიცავს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს არაფორმალური შეხვედრა; არაფორმალური შეხვედრის შედეგებს არ გააჩნია დისციპლინური სანქციის ძალა, თუმცა შედეგები დოკუმენტირებული იქნება და „ძალაში რჩება“ 6 თვის განმავლობაში; მეორე ეტაპი (საჭიროების შემთხვევაში) - ფორმალური მოქმედება: მენეჯმენტის მიერ გამოძიება. მენეჯმენტის გამოძიების ჩატარება სავალდებულოა იმ შემთხვევებში, როდესაც მენეჯერი დაადგენს, რომ საკითხი:
  - გადაცდომის ან უხეში გადაცდომის ტოლფასია, რაც მოითხოვს მენეჯმენტის მიერ გამოძიებას IOPC-ს დისციპლინური წარმოების და გათავისუფლების პოლიტიკის შესაბამისად; ან/და
  - წარმოადგენს „სერიოზულ საჩივარს“ თანამშრომელთა ქცევის წესების შესაბამისად. საჩივარი სერიოზული ხასიათის საჩივრად მიიჩნევა, თუ დამტკიცდება, რომ მან შესაძლოა გამოიწვიოს პირის თანამდებობიდან გათავისუფლება ან გადადგომის მოთხოვნა.
- დასრულებული გამოძიების შედეგი: წარმოების შეწყვეტა; დისციპლინური განხილვის მოწყობა;
- პოლიტიკა დეტალურად არეგულირებს დისციპლინურ განხილვას, კერძოდ, იგი მოიცავს შემდეგს: განხილვის პროცედურა; იურიდიული რჩევები; დისციპლინური კოლეგია; დასწრება; მოწმის ჩვენება; მოსმენის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება. პოლიტიკა ასევე შეიცავს დეტალურ რეგულაციებს დისციპლინურ სანქციებთან და გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით.
- GSOC<sup>136</sup> – GSOC-ს გამომძიებლები და სხვა თანამშრომლები განიხილებიან, როგორც საჯარო მოხელეები და ისინი ვალდებული არიან დაიცვან სტანდარტები და ქცევა, რომელიც გათვალისწინებულია საჯარო სამსახურის სტანდარტებისა და ქცევის კოდექსით.<sup>137</sup> ამ დოკუმენტში მოცემულია სტანდარტები, რომლებიც ყველა საჯარო

<sup>136</sup> მეტი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემდეგ ბმულს: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/customer-service/>.

<sup>137</sup> იხილეთ სტანდარტების და ქცევის საჯარო სამსახურის კოდექსი (2004) შემდეგ ბმულზე: <https://circulars.gov.ie/pdf/circular/finance/2004/26.pdf>.

მოსამსახურისთვის სავალდებულოა შესასრულებლად. კოდექსი განსაზღვრავს, რომ საჯარო მოხელეებმა უნდა დაიცვან სამსახურის მაღალი სტანდარტები საზოგადოებასთან ურთიერთობისას. ამ ინსტრუმენტზე დაყრდნობით GSOC-მ შეიმუშავა საკუთარი *ეთიკის კოდექსი*.<sup>138</sup> კოდექსი შემდეგ საკითხებს არეგულირებს: *თანასწორობა და პატივისცემა; დამოუკიდებლობა და ნდობის მოპოვება; კეთილსინდისიერება; პირადი ქცევა; GSOC-ს გამოძიებები და ოპერაციები; სისხლისსამართლებრივი მსჯავრი*.

GSOC-ს შიდა საჩივრების განხილვის პროცესი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური ქმედება პერსონალის მიმართ, შემუშავებულია *საჯარო სამსახურის დისციპლინური კოდექსის* საფუძველზე, რომელიც ყველა საჯარო მოსამსახურეზე ვრცელდება.<sup>139</sup> GSOC-ს პერსონალის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების განხილვას და დისციპლინური ზომების დაკისრების საკითხს უშუალო მენეჯერები ხელმძღვანელობენ. ამასთან, ნებისმიერ პირს, ვინც უკმაყოფილოა სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით დანიშნული ოფიცრის ქცევით, შეუძლია ასევე მიმართოს მინისტრს იუსტიციის და თანასწორობის საკითხებზე. მინისტრი უფლებამოსილია მიმართოს თავმჯდომარე მოსამართლეს თხოვნით შეისწავლოს იმ ოფიცრის საქმე, რომლის მიმართ პრეტენზიაა გამოხატული. მოკვლევის დასრულების შემდეგ, დანიშნული მოსამართლე თავის შედეგებს წარუდგენს მინისტრს, რომელიც დასკვნის ასლს GSOC-ს წარუდგენს, რათა მან ისეთი ქმედებები გაატაროს, რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ კონკრეტულ გარემოებებში. საჯარო სამსახურის დისციპლინური კოდექსის ზემოაღნიშნული პროცედურების გარდა, GSOC-ს საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით შემდეგი წესები აქვს განსაზღვრული:

- ყველა საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი (სიტყვიერი საჩივრის შემდეგ შესაბამისი ფორმა უნდა იყოს შევსებული). საჩივრის მიღება დადასტურებული უნდა იყოს;
  - საჩივრის ფორმა 10 სამუშაო დღის განმავლობაში ეგზავნება შესაბამისი სფეროს/დანაყოფის მენეჯერს. კორპორატიული სამსახური აღრიცხავს, თუ როდის გადაეგზავნა საჩივარი შესაბამის მენეჯერს და იტოვებს საჩივრის ასლს;
  - მენეჯერი დადგენილ ვადაში განიხილავს საჩივარს, მათ შორის, აწარმოებს მიმოწერას მომჩივანთან. მენეჯერი აცნობებს კორპორატიულ სამსახურს საჩივრის განხილვისა და საქმის დასრულების შესახებ.
- *SIU* – დანაყოფის გამომძიებლები და სხვა თანამშრომლები ონტარიოს საჯარო მოხელეებად ითვლებიან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, რეგულირდება *ონტარიოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონით*.<sup>140</sup> ეს სისტემა განსხვავებულია პროვინციის პოლიციის თანამშრომლების

<sup>138</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/customer-service/>.

<sup>139</sup> იხილეთ საჯარო სამსახურის დისციპლინური კოდექსი (2016) შემდეგ ბმულზე: <https://circulars.gov.ie/pdf/circular/per/2016/19.pdf>.

<sup>140</sup> იხილეთ კანონი შემდეგ ბმულზე: <https://www.ontario.ca/laws/statute/06p35#BK72>.

შემთხვევაში, რომელთა შრომითი ურთიერთობის საკითხებსაც პოლიციის სამსახურების შესახებ კანონი არეგულირებს.<sup>141</sup> საჯარო სამსახურის შესახებ კანონი სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს სტანდარტებს, რომლებიც ეხება: *ინტერესთა კონფლიქტს; ეთიკის აღმასრულებლის დანიშვნას შესაბამის საჯარო ორგანოში; ინტერესთა კონფლიქტის დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციებს, დისციპლინურ ზომებს, უფლებამოსილების შეჩერების ან თანამდებობიდან გადაყენების ჩათვლით; პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის წესებს.*

კანონი ცალკე თავს შეიცავს (VI), რომელიც ეხება არამართლზომიერი ქმედებების გამჟღავნებას და გამოძიებას, რომლის თანახმად, „არამართლზომიერი ქმედება“ *inter alia* ნიშნავს:

- „საჯარო მოსამსახურის, მინისტრის ან საპარლამენტო თანამშრომლის მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, ან გარემოს, როდესაც საფრთხე არაგონივრულია მისი მოვალეობების, უფლებამოსილებისა და ფუნქციების, და ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით.“
- „ონტარიოს საჯარო სამსახურის მოხელის, მინისტრის ან საპარლამენტო თანამშრომლის უხეში გადაცდომა“.

კანონი შეიცავს დეტალურ წესებს, რომლებიც ავალდებულებენ საჯარო მოსამსახურეებს არამართლზომიერი ქმედებების გამჟღავნებას, და ამასთან დაკავშირებით ადგენს კონკრეტულ წესებს შესაბამის თანამდებობის პირებთან დაკავშირებით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნებული იქნას *კეთილსინდისიერების კომისიისთვის*, რომელსაც თავად შეუძლია განახორციელოს არამართლზომიერი ქმედებების გამოძიება.

ზემოაღნიშნული კანონის გარდა, SIU-ს გამომძიებლების და პერსონალის ქცევას ასევე არეგულირებს ონტარიოს *381/07 დებულება საჯარო მოხელეების (სამინისტრო) და ყოფილი საჯარო მოსამსახურეების (სამინისტრო) ინტერესთა შეუთავსებლობის წესები*.<sup>142</sup> გასათვალისწინებელია, რომ SIU-ს თანამშრომლები ითვლებიან პროვინციის შესაბამის სამინისტროში დასაქმებულ მოხელეებად. კანონი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: *საკუთარ, მეუღლის ან შვილების ინტერესებში სარგებლის მიღება; საჩუქრების მიღება; კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება; პრეფერენციების მინიჭება; ოჯახის წევრების დაქირავება; ბიზნესში ჩართვა; გარკვეული ფინანსური ინტერესების გაცხადების ვალდებულება; გარკვეული შესყიდვების აკრძალვა; ყოფილ საჯარო მოხელეებზე გავრცელებული წესები და ა.შ.*

<sup>141</sup> დამატებითი გასაუბრება ბატონ იან სკოტთან (2020 წლის 26 მაისი).

<sup>142</sup> მასალები მოწოდებულია საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის მიერ.

ინტერესთა კონფლიქტის წესები ასევე რეგულირდება SIU-ს შიდა პოლიტიკის ინსტრუმენტით - ზოგადი პოლიტიკა 001, ინტერესთა კონფლიქტი - ონტარიოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონით.<sup>143</sup> მოცემული პოლიტიკა შეიცავს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ წესებს, რომლებიც ზემოხსენებული ნორმატიული ინსტრუმენტების საფუძველზეა შემუშავებული. პოლიტიკის თანახმად:

- საჯარო მოხელე, რომელიც მასზე გავრცელებულ ინტერესთა კონფლიქტის წესებს ან მითითებებს დაარღვევს (როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული), ექვემდებარება დისციპლინურ ზომებს, მათ შორის შეჩერებას და თანამდებობიდან გათავისუფლებას;
- SIU-ს წევრებისთვის „ეთიკის აღმასრულებელი“ არის გენერალური პროკურორის მოადგილე;
- საჯარო მოხელის ზედამხედველს შეუძლია მოითხოვოს, რომ საჯარო მოსამსახურის ეთიკის აღმასრულებელმა გადაწყვეტილება მიიღოს საჯარო მოსამსახურის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის წესების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- საჯარო მოხელე ან ყოფილი საჯარო მოხელე უნდა შეესატყვისებოდეს ეთიკის აღმასრულებლის ან ინტერესთა კონფლიქტის კომისრის მითითებებს.

## სამუშაო ადგილზე ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული სხვა ინიციატივები

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა გამომძიებლებისა და დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმების სხვა წარმომადგენლების სამუშაო ადგილზე ტრენინგთან დაკავშირებული შესაძლებლობების საკითხი. შესწავლილ ქვეყნებში და სისტემებში საგამომძიებო ორგანოებისა და პროფესიონალების მოსამზადებლად არსებული ზოგადი ტრენინგის და შესაძლებლობების განვითარების მექანიზმებს იყენებენ. თუმცა, განვითარებული სისტემების სააგენტოები თავიანთ შიდა ტრენინგებს და შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართულ სხვა სერვისებს უზრუნველყოფენ (გარდა სტაჟიორების მოსამზადებელი პროგრამებისა, რომელიც ზემოთ იყო განხილული). ამავე დროს, კვლევის ფარგლებში არ იყო გამოვლენილი სააგენტოებთან არსებული სპეციალური სასწავლო ცენტრების არსებობის შემთხვევები.

- *PONI* (ჩრდილოეთ ირლანდია): წლიურ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პერიოდული ტრენინგების შესახებ, რომლებიც მრავალფეროვან თემებს მოიცავენ, მათ შორის: ელექტრონული და ციფრული მტკიცებულებების შეგროვება; სასამართლო ექსპერტიზის შესახებ ინფორმაცია და მტკიცებულებების მართვა; გამჟღავნების და დასაქმების კანონის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე მიმართული ტრენინგი; საგამომძიებო უფლებამოსილების მქონე ორგანოების რეგულირების შესახებ კანონი (*RIPA*); ინსტრუქტაჟი; IT სისტემები და პროგრამები. გარდა ამისა, სააგენტო საკუთარ

<sup>143</sup> მასალები მოწოდებულია საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის მიერ.

გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მცირე მოდულებს მომავალი გამომძიებლების და ახლი პერსონალის მოსამზადებლად.<sup>144</sup>

- *GSOC* (ირლანდია): სააგენტოს ჰყავს საკუთარი ტრენინგისა და განვითარების მენეჯერი (*L&D მენეჯერი*), რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე ტრენინგების ორგანიზებასა და განვითარების შესაძლებლობებზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებაზე. საკუთარი შიდა სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების გარდა, GSOC-ს თანამშრომლებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ სასწავლო პროგრამებით, რომლებიც ცენტრალიზებული გზით იმართება *გაზიარებული სწავლების სამსახურის* მიერ, რომელიც საჯარო სამსახურის გადახალისების 2014 წლის გეგმის მიხედვით ფუნქციონირებს. 2018 წელს, L&D განყოფილებამ 26 სხვადასხვა ტრენინგ კურსები ან პროგრამები შესთავაზა GSOC-ს პერსონალს, საიდანაც 15 ტრენინგი ერთიანი სწავლების ჩარჩოს ფარგლებში იყო მიწოდებული. 95 თანამშრომლიდან (მათ შორის სამი კომისარი), 73-მა გაიარა ერთი ან მეტი ტრენინგი. ტრენინგები შემდეგ თემებს მოიცავდა: *ბავშვთა საკითხებზე ინფორმირებულობის ტრენინგი; დანიშნული საკონტაქტო პირის (DLP) ტრენინგი; საგამოძიებო გამოკითხვის საკითხებზე ტრენინგი; ტრავმის ფოტოდოკუმენტირების ტრენინგი; მონაცემთა დაცვის საკითხზე ტრენინგი მონაცემთა კონტროლზე პასუხისმგებელი პირებისთვის; ITIL საბაზისო სასწავლო კურსი; SharePoint 2013 საიტის მფლობელის ტრენინგი; 2018 წელს GSOC-ს მიმართულებების მენეჯერებმა გაიარეს აღმასრულებელი ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის განვითარების ტრენინგები. გარდა ამისა, GSOC-ს მთელი რიგი თანამშრომლები საკუთარი ინიციატივით გადიან საგანმანათლებლო და სასწავლო კურსებს მათთვის ხელსაყრელ დროს და ტრენინგების საფასურის ანაზღაურების სქემის შესაბამისად.<sup>145</sup>*
- *SIU* (ონტარიო, კანადა): სააგენტო ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს და სწავლის სხვა შესაძლებლობებს სთავაზობს თავის პერსონალს. 2018 წლის წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წლის განმავლობაში SIU-ს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგისა და განვითარების ინიციატივებში, რაც ჯამში 5,300 საათზე მეტს შეადგენს, და ამ ტრენინგების 85%-ზე მეტი განკუთვნილი იყო საგამოძიებო პერსონალისთვის. SIU ასევე აგზავნის თავის თანამშრომლებს ონტარიოს პოლიციის კოლეჯის და კანადის პოლიციის კოლეჯის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სასწავლო კურსებზე, რომლებიც საუკეთესო ეროვნულ სასწავლო დაწესებულებებადაა მიჩნეული სისხლის სამართლის სფეროს სპეციალისტებისთვის (პერსონალის მივლინება ამ სასწავლო დაწესებულებებში შემდეგ კურსებზე დასასწრებად ხდება: *სისხლის სამართლის გამოძიების სფეროში ტრენინგი და განათლება; სექსუალური ძალადობის გამოძიება; საგამოძიებო გამოკითხვის P.E.A.C.E. მოდელი; სამოძიებო საგამოძიებო გამოკითხვა; საგამოძიებო გამოკითხვის ტექნიკა და მკვლევლობის გამოძიების კურსი*). გარდა ამისა, SIU ატარებს შიდა ტრენინგებს გამომძიებლებისთვის, რაც მოიცავს კოლეჯების მიერ

<sup>144</sup> იხილეთ წლიური ანგარიში 2018-2019 წლებისთვის: იხილეთ 2019 წლის ანგარიში: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/04/048d82dd-0255-414f-8af4-b47b692e9cc1.pdf>.

<sup>145</sup> იხილეთ GSOC-ს წლიური ანგარიში 2018 წლისთვის: <https://www.gardaombudsman.ie/publications/statutory-reports/?download=file&file=3161>.

ჩატარებული გამოძიების მიმოხილვას, ტექნიკურ და ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ პრევენტივებს (ცეცხლსასროლი იარაღის შესწავლა, GPS/AVL პროგრამული უზრუნველყოფის მიმოხილვა და ა.შ.), და მიზნობრივ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტრენინგებს (ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისას პირველი დახმარების გაწევის შესავალი კურსი, ნალოქსონის საკითხზე ტრენინგი და ა.შ.). 2018-2019წლებში SIU-ს ტრენინგის ხარჯები მისი ბიუჯეტის 3.14%-ს.<sup>146</sup>

## ე. ანგარიშგება, ზემოქმედების შეფასება და საზოგადოებასთან კომუნიკაცია

### დამოუკიდებლობის პრინციპი

დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოების მუშაობის ძირითადი მიზანია სამართალდამცავ ორგანოებში დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა. შესაბამისად, ამ ინსტიტუტების ანგარიშვალდებულება მათი ოპერირების უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპია. ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისას მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი უწყების დამოუკიდებლობა კანონმდებლობით იყოს დადგენილი, და იგი პრაქტიკაში დამოუკიდებლად აღიქმებოდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი ინსტიტუტების მანდატი, სტრუქტურა და პროცედურული უფლებამოსილებები განისაზღვრება ეროვნული მთავრობების მიერ სამართლებრივი სისტემების, კულტურისა და საჭიროებების საფუძველზე. იმავდროულად, დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვა წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ცალკეულ ქვეყნების და იურისდიქციების შესწავლისას, ჩვენი მთავარი სარეფერენციო წყარო იყო CPT-ს, UN CAT-ის და UN HRC-ს შესაბამისი ანგარიშების შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი საგამოძიებო ორგანოების დამოუკიდებლობის საკითხი უფრო სიღრმისეულ შესწავლას და ანალიზს საჭიროებს, მოცემული კვლევის ფარგლებში ჩვენ გარკვეული ელემენტები გამოვავლინეთ შესწავლილ ქვეყნებსა და იურისდიქციებთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოა PONI. დამოუკიდებლობის ფუძემდებლური ელემენტები განსაზღვრულია 1998 წლის დიდი პარასკევის ხელშეკრულებით და შემდგომში მიღებული ნორმატიული აქტებით. ასევე აღსანიშნავია, რომ PONI-ს ძლიერი პოზიცია გააჩნია პოლიციის ინსტიტუტებთან მიმართებაში. ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოების ინსტიტუტისადმი მაღალი ნდობა და მიმღებლობა კიდევ ერთი მძლავრ საფუძველს წარმოადგენს ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.<sup>147</sup> იმავდროულად, როგორც ამ დაწესებულების შექმნის დღიდან და დღემდე

<sup>146</sup> იხილეთ SIU -ს წლიური ანგარიში 2018 წლისთვის: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

<sup>147</sup> ინტერვიუ ბატონ დანიელ ჰოლდერთან, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია (2020 წლის 21 აპრილი); იხილეთ კვლევის საბოლოო დასკვნები, წამების პრევენციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებების მიერ ადამიანის უფლებების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სტანდარტების დანერგვის ადვოკატების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიმართული

პრაქტიკოსების მიერ მომზადებული სხვადასხვა ანგარიშებიდან და ინფორმაციიდან ხდება ნათელი, სხვადასხვა პერიოდში მოცემული სააგენტო ზეწოლას განიცდიდა პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საპირისპირო ინტერესებით, რომლებიც დაკავშირებულია „ისტორიული საქმეების“ გამოძიებასთან.<sup>148</sup> 2011 წელს პოლიციის ომბუდსმენი გადადგა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის სამსახური ანგარიშებს ეცნობოდა და აფასებდა მანამდე, სანამ მათი გასაჯაროება ხდებოდა. პოლიციის სამსახურს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოლიციის ოფიცრებსა და ომბუდსმენს შორის ურთიერთქმედებაზე, და ხშირად იგი პირველია, ვინც ბრიფინგებს უტარებს პოლიციის ოფიცრებს.<sup>149</sup> PONI-ს დამოუკიდებლობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემური საკითხია დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხრიდან დაფინანსების ზეგავლენა, და ასევე მიმდინარე სასამართლო განხილვა გამოძიების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ზემოთ უკვე ნახსენები იყო შოტლანდიის სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები და CPT-ს მხრიდან მისი კრიტიკული შეფასება. გარდა ამისა, CPT-ს კრიტიკის შედეგად შვედეთმა შედარებით ცოტა ხნის წინ ასევე დაიწყო თავისი სისტემის რეფორმირების პროცესი, რომლის მიზანია მისი ინსტიტუტის დამოუკიდებლობის გაძლიერება არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ ასევე დაინტერესებული მხარეების აღქმის თვალსაზრისით.<sup>150</sup> CPT-მ მსგავსი კრიტიკა გამოხატა ავსტრიაში ანტიკორუფციული ფედერალური ბიუროს (BAK) ფაქტობრივი გამოძიების დამოუკიდებლობის აღქმის არარსებობის გამო.<sup>151</sup>

ჩვენთვის ასევე საინტერესოა კანადის გამოცდილება სხვადასხვა პროვინციებში დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოების ეტაპობრივად შექმნის სფეროში. ონტარიოში მოქმედი SIU-ს გარდა,

---

პროგრამა, იხილეთ ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის პროგრამა ყირგიზეთის რესპუბლიკისთვის, გვ. 21.

<sup>148</sup> იქვე.

<sup>149</sup> იხილეთ საჯარო მოხელეების მხრიდან წამებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მექანიზმები, მემორანდუმი, გვ. 4; ხელმისაწვდომია: [www.justiceinitiative.org](http://www.justiceinitiative.org); ასევე იხილეთ: პოლიციის ომბუდსმენი უნდა გადადგეს, აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ირლანდიის ადამიანის უფლებათა მეთვალყურე, პრეს რილიზი, 2013, <http://www.rwuk.org/new/wp-content/uploads/2013/01/OPONI-press-release-20-oct-2011.pdf>.

<sup>150</sup> იხილეთ წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ შვედეთის მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში შვედეთში ვიზიტის შესახებ 2015 წლის 18-დან 28 მაისამდე, 2016 წლის 17 თებერვალს, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680697f60>; ასევე იხილეთ შვედეთის მთავრობის პასუხი წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ შვედეთის მთავრობის საყურადღებოდ მომზადებულ ანგარიშზე შვედეთში ვიზიტის შესახებ 2015 წლის 18-დან 28 მაისამდე, 2016 წლის 9 ივნისი, CPT, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680697f61>.

<sup>151</sup> იხილეთ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ ავსტრიის მთავრობის საყურადღებოდ მომზადებული ანგარიში ავსტრიაში ვიზიტის შესახებ 2014 წლის 22 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, 2015 წლის 6 ნოემბერს, CPT, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680653ec7>.



მსგავსი დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოები შეიქმნა ქვეყნის სხვა პროვინციებში (ბრიტანეთის კოლუმბია, ახალი შოტლანდია, კვებეკი და ა.შ.).<sup>152</sup>

### ანგარიშების სისტემა და ზემოქმედების შეფასება

დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმებს კანონმდებლობით ევალუატი შესაბამისი საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ინსტიტუტების წინაშე ანგარიშება. ეს ჩვეულებრივ შესაბამის დაწესებულებებში ყოველწლიური ანგარიშების წარდგენის და მათი გასაჯაროების გზით ხორციელდება. იმავდროულად, სხვადასხვა ქვეყნებისა და იურისდიქციების გამოცდილებიდან ცხადი ხდება, რომ დამატებითი ინსტრუმენტები არსებობს, რომლებიც გამოიყენება სათანადო პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად და თანამშრომლობის ხელშესაწყობად სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საპოლიციო ინსტიტუტებთან, პროფესიულ ჯგუფებთან და ფართო საზოგადოებასთან. შესწავლილ სისტემებთან მიმართებაში მომზადებული სხვადასხვა ანგარიშებისა და ანალიზის კვლევის გზით ავტორმა სცადა დაედგინა, თუ რომელი ინსტრუმენტებია გამოყენებული ამგვარი მექანიზმების *მუშაობის ზეგავლენის* გასაზომად. გამოკვლეულ სისტემებს შორის, ამ მხრივ IOPC-ს ყველაზე მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი ინსტრუმენტები გააჩნია.<sup>153</sup>

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნა შემდეგი ინსტიტუტების ბოლო წლიური ანგარიშები: PONI (ჩრდილოეთ ირლანდია),<sup>154</sup> IOPC (ინგლისი და უელსი)<sup>155</sup>, PIRC (შოტლანდია)<sup>156</sup>, GSOC (ირლანდია),<sup>157</sup> ნორვეგიის პოლიციის საქმეთა გამომიების ბიურო,<sup>158</sup> SIU (ონტარიო, კანადა)<sup>159</sup>. ყველა ანგარიში განსხვავდება ფორმალობის, დეტალების და მიზნობრივი აუდიტორიის თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი საერთო და უნიკალური მახასიათებლები:

---

<sup>152</sup> იხილეთ შემაჯამებელი დაკვირვებები კანადის მეშვიდე პერიოდული ანგარიშის შესახებ, UN CAT, 2018 წლის 21 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2fPPRiCAqhKb7yhsglSZMQd1BoEakgym8DLljp%2ftVZwAcP32UhcceEv6s9EFDnHa%2fflXxFR9KNVY4qkr3X7%2faP5eVqCmw6nDLJyD3dA5iGzIWJ0XfsLEbi0yIvz>.

<sup>153</sup> იხილეთ შესაბამისი ნაწილი IOPC-ს ვებგვერდზე: <https://www.policeconduct.gov.uk/who-we-are/accountability-and-performance>.

<sup>154</sup> იხილეთ წლიური ანგარიში 2019 წლისთვის: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/04/048d82dd-0255-414f-8af4-b47b692e9cc1.pdf>

<sup>155</sup> იხილეთ 2018-2019 წლების ანგარიში და ფინანსური ანგარიში: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC\\_annual\\_report\\_and\\_accounts\\_2018-19.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC_annual_report_and_accounts_2018-19.pdf).

<sup>156</sup> იხილეთ კომისრის ანგარიში 2018-2019 წლებისთვის: <https://pirc.scot/media/5058/pirc-commissioner-report-2018-19-single-pages.pdf>.

<sup>157</sup> მშვიდობის მცველების ომბუდსმენის კომისიის 2018 წლის ანგარიში: <https://www.gardaombudsman.ie/publications/statutory-reports/?download=file&file=3161>.

<sup>158</sup> See 2018 annual report: <http://www.spesialenheten.no/Portals/0/Årsrapporter/Annual%20report%202018.pdf>.

<sup>159</sup> See SIU Annual report 2018: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

- წლიური ანგარიშების უმეტესი ნაწილი ოფიციალურად წარედგინება ეროვნულ პარლამენტებს ან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სამინისტროებს;
- *PONI-ს* და *IOPC-ს* ანგარიშებში ხაზგასმითაა აღნიშნული გარკვეული რისკების წყება, რომლებიც ანგარიშების მომენტისთვის ზეგავლენას ახდენს ინსტიტუტების ეფექტურ და დამოუკიდებელ მუშაობაზე. *PONI* შემთხვევაში რისკებია: ა) არასაკმარისი საბიუჯეტო ასიგნებები; ბ) ისტორიული გამოძიების განყოფილების პერსონალის მაღალი დენადობა; გ) ოფისის გამოწვევა გამოძიების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. *IOPC-ს* შემთხვევაში ეს რისკებია: ა) საკანონმდებლო ცვლილებების შემოღება; ბ) GDPR-ს სტანდარტებთან შესაბამისობა; გ) პერსონალისთვის საპენსიო შენატანების მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი; დ) არასაკმარისი ICT რესურსები; ე) ინფორმაციული უზრუნველყოფის არაეფექტური პროცესების რისკი;
- წლის ძირითადი სტატისტიკა ორგანიზაციის მუშაობის ძირითად ტენდენციებსა და ზეგავლენაზე ყურადღების გამახვილებით. თითქმის ყველა გაანალიზებულ ანგარიშში მონაცემები შთამბეჭდავი ვიზუალური სახითაა წარმოდგენილი;
- თითქმის ყველა გაანალიზებული ანგარიში შეიცავს კაზუსებს, რომლებიც ემყარება ინდივიდუალურ გამოძიებებს ან გამოძიებული ფაქტობრივი საქმეების მოკლე შეჯამებებს;
- საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანოებისთვის წარდგენილი რამდენიმე ოფიციალური ანგარიში შეიცავს ფინანსურ ანგარიშებს და აუდიტის დასკვნებს;
- გარკვეული ანგარიშები მოიცავენ კომპლექსური ბიზნეს გეგმის/სტრატეგიის განხორციელების მიზნებს, შეფასების შედეგებს და ზეგავლენის/შედეგების ანალიზს.

შესწავლილ წლიურ ანგარიშებში წარმოდგენილია შემაჯამებელი ანალიზი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწესებულებების მუშაობის ზეგავლენის შესახებ. ამავე დროს, სხვადასხვა შესწავლილი ინსტიტუტი ზემოქმედების ანალიზის სხვა ინსტრუმენტებს იყენებს.

ინსტიტუტების მუშაობის ზემოქმედების გაზომვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საგამოძიებო ორგანოების მუშაობის ნორმატიული წესებით დადგენილი გეგმიური და საგანგებო მიმოხილვები. ასეთი მიმოხილვები ნორმატიული წესებითაა გათვალისწინებული და შეიძლება იყოს პერიოდული წლიური განხილვის ნაწილი, ან წარმოადგენს საკანონმდებლო ან სხვა სახელმწიფო ორგანოების ინიციატივებით განხორციელებული მიმოხილვა. ასეთი მიმოხილვის ერთ-ერთი მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ *PONI-ს* შემთხვევაში, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ გადის კანონით დადგენილ განხილვის პროცესს და ანგარიშს წარუდგენს ჩრდილოეთ ირლანდიის სახელმწიფო მდივანს. ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია და შეეხება საკანონმდებლო ჩარჩოსა და სააგენტოს მუშაობის ყველა ასპექტს. იგი შეიცავს დეტალურ რეკომენდაციებს.<sup>160</sup> კიდევ ერთი მაგალითის ნახვა შეიძლება *SIU-ს* შემთხვევაში. თავისი არსებობის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, *SIU-მ* მრავალი გარეშე შეფასება გაიარა, რაზე

<sup>160</sup> იხილეთ ანგარიშის მაგალითი: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/33/3334bb9d-7a5f-4122-b031-718235e8ad20.pdf>.

დაყრდნობითაც ანგარიშები იქნა მომზადებული, რომლებშიც განხილული იყო SIU-ს თანამშრომლობა პოლიციასთან, შეზღუდული რესურსები და ოპერატიული ეფექტურობა. რამდენიმე შემთხვევაში ამ ანგარიშებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ორგანიზაციის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში.<sup>161</sup> ამ მხრივ საგანგებო შეფასების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია *პოლიციის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის 2017 წლის მიმოხილვა, რომელიც ონტარიოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ჩაატარა.*<sup>162</sup>

შესწავლილი სისტემების მიერ გამოყენებული *ზემოქმედების გაზომვის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი*ა ბიზნეს გეგმების ან/და განვითარების სტრატეგიების შემუშავება, აგრეთვე ხარისხობრივი და რაოდენობრივი და სტატისტიკური მონაცემების გამოყენება.

PONI-ს შემთხვევაში, სააგენტოს კანონით ევალება წლიურ ანგარიშთან ერთად ყოველწლიური კორპორატიული/ბიზნეს გეგმის შედგენა. წლიური ანგარიში მოიცავს ზეგავლენის შეფასების კონკრეტულ ინდიკატორებს და განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს. მიმდინარე წლის კორპორატიული/ბიზნეს გეგმა შემდეგი ოთხი ძირითად მიზანს განსაზღვრავს: გამოძიებების მაღალი ხარისხით ჩატარება; საჩივრების განხილვისას მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება; ჩვენს მიერ მიწოდებული მომსახურების სტანდარტების შემუშავება და განხორციელება; და ძალისხმევის წარმართვა საპოლიციო საქმიანობის გაუმჯობესებაზე.<sup>163</sup> როგორც წლიური ანგარიშიდან ვხედავთ, კონკრეტული ინდიკატორების გაზომვა წინა წლის წლიური ანგარიშის შედეგებთან შეჯერებით ხორციელდება.<sup>164</sup> კონკრეტული ინდიკატორების გარდა, PONI-ს წლიურ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია ძირითადი ტენდენციების შესახებ და მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდისთვის (ოფისის იურისდიქციის თითოეული სფეროსთვის): „2018/19 წლების პერიოდის განმავლობაში ოფისმა მიიღო 2,627 საჩივარი, რაც წარმოადგენს 2%-იან ზრდას 2017/18 წლების პერიოდთან შედარებით, როდესაც 2,561 საჩივარი იქნა წარდგენილი. ეს მიუთითებს ტენდენციის ცვლილებაზე, რომელიც 2013/14 წლებიდან მოყოლებული არსებობდა, როდესაც ყოველწლიურად მცირდებოდა პოლიციელების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების რაოდენობა.“<sup>165</sup> გარდა ამისა, ანგარიშში მოცემულია დეტალური ინფორმაცია საქმეების ცალკეული კატეგორიების შესახებ.

<sup>161</sup> იხილეთ [https://www.siu.on.ca/en/special\\_reports.php](https://www.siu.on.ca/en/special_reports.php).

<sup>162</sup> იხილეთ ანგარიში შემდეგ ბმულზე: [https://www.siu.on.ca/pdfs/report\\_of\\_the\\_independent\\_police\\_oversight\\_review.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/report_of_the_independent_police_oversight_review.pdf).

<sup>163</sup> იხილეთ PONI-ს წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიში 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, გვ. 9. ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/04/048d82dd-0255-414f-8af4-b47b692e9cc1.pdf>; ასევე იხილეთ PICR-ის (შოტლანდია) ბიზნეს გეგმა 2019–20, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიებები და მიმოხილვები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://pirc.scot/media/4875/pirc-business-plan-2019-20.pdf>; და სტრატეგიული გეგმა 2019–22 წლებისთვის, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიებები და მიმოხილვები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://pirc.scot/media/4839/pirc\\_strategic-plan\\_2019\\_single-pages.pdf](https://pirc.scot/media/4839/pirc_strategic-plan_2019_single-pages.pdf).

<sup>164</sup> *იქვე*. ასევე იხილეთ პოლიციის მხრიდან ძალადობის დამოუკიდებელი გამოძიების შესახებ ანგარიში, რიჩარდ კოსტიდელი, ესმე კროუფტონი, ელეონორ ჰილი-ბირთი, ჯაკან მყერანი და ლანა ნილი, ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა 2013-2014, ბრისტოლის უნივერსიტეტი, გვ. 6.

<sup>165</sup> *იქვე*, გვ.12.

*IOPC-ს* (ინგლისი და უელსი) ასევე კარგად განვითარებული ზეგავლენის გაზომვის სისტემა აქვს. ამჟამად დაწესებულებას სტრატეგიული გეგმა აქვს შემუშავებული 2018-2022 წლებისთვის,<sup>166</sup> რომელშიც მოცემულია შემდეგი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი ქმედებების ჩამონათვალი: *სხვებთან თანამშრომლობა პოლიციის საჩივრების სისტემის გასაუმჯობესებლად; საპოლიციო საქმიანობის გაუმჯობესება ჩვენი საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილების გაზიარების გზით; პოლიციის ანგარიშვალდებულებისადმი ნდობის ამაღლება; ეფექტურ და ეფექტიან ორგანიზაციად ჩამოყალიბება*. გარდა წლიური ანგარიშებისა, როლებიც შეიცავენ ორგანიზაციის მუშაობის ზეგავლენის შესახებ ინფორმაციას და ანალიზს, IOPC აქვეყნებს ზემოქმედების წლიურ ანგარიშებს.<sup>167</sup> ანგარიშები ყოვლისმომცველია და მომხმარებელს სასარგებლო და დეტალურ ინფორმაციას აწვდის (და ასევე შთამბეჭდავ ინფორმაციას შეიცავს).<sup>168</sup> IOPC ახორციელებს ზემოაღნიშნული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელების მონიტორინგს და ყოველთვიურ ანგარიშებს ამზადებს განხორციელების მიმდინარეობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც თავის ვებგვერდზე ასაჯაროებს.<sup>169</sup> დაბოლოს, როგორც PONI-ს შემთხვევაში, IOPC თავის წლიურ და სხვა ანგარიშებში მოცულობით სტატისტიკურ მონაცემებს და მთავარ ტენდენციებს ასახავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევამ აჩვენა, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმები მოიაზრება როგორც საჯარო ზედამხედველობის სააგენტოები<sup>170</sup>, რადგან ამ სააგენტოებში დასაქმებულ ადამიანურ რესურსებს (განსაკუთრებით ხელმძღვანელი მენეჯმენტი) როგორც წესი, არ აქვთ პირდაპირი კავშირი სამართალდამცავ ორგანოებთან, და ასევე ინსტიტუციურად ისინი მიზნად ისახავენ უფრო მეტ ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე, ვიდრე ტრადიციული სამართალდამცავი ორგანოები. აქედან გამომდინარე, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ისინი პროაქტიულად უზრუნველყოფენ სამთავრობო ინსტიტუტებისა და საზოგადოების ინფორმირებას ინდივიდუალური საქმეების გამოძიების დეტალების, და აგრეთვე ძირითადი ტენდენციების და გამოწვევების შესახებ. ამრიგად, გამოკვლეულ ქვეყნებსა და

<sup>166</sup> იხილეთ: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC\\_Strategic\\_plan\\_2018.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC_Strategic_plan_2018.pdf).

<sup>167</sup> იხილეთ ცვლილებების მიღწევაზე მიმართული ზეგავლენის ანგარიში 2018/19 (ეს ანგარიში მოიცავს 2018 წლის 8 იანვრიდან 2019 წლის 31 მარტამდე პერიოდს, და აღწერს ორგანიზაციის ზეგავლენას მისი ჩამოყალიბების დღიდან. შესრულების მონაცემები მოცემულია 2018 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით); [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC\\_Impact\\_Report\\_201819.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC_Impact_Report_201819.pdf).

<sup>168</sup> იქვე, გვ. 6 - ჩვენი მუშაობის და ზეგავლენის მოკლე შეჯამება.

<sup>169</sup> იხილეთ შედეგების შეჯამება YTD დიაგრამაზე, 2020 წლის თებერვალი: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/outcomes-framework/outcomes\\_framework\\_IOPC\\_latest.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/outcomes-framework/outcomes_framework_IOPC_latest.pdf).

<sup>170</sup> იხილეთ ზოგადი ანგარიში პოლიციის საქმიანობის ზედამხედველობის შესახებ: პოლიციის ზედამხედველობის მექანიზმები ევროპაში: ომბუდსმენების და მათი კომპეტენციების შედარებითი მიმოხილვის შესახებ, პროფ. დოქტორ მონიკა დენ ბოერი, VU უნივერსიტეტი, ამსტერდამი, ნიდერლანდები, პროფესორი დოქტორი როლ ფერნჰუტი, რადბუდის უნივერსიტეტი ნიჟმეგენი, ნიდერლანდები, რომელიც წარმოდგენილი სემინარზე: პოლიციის როლის გაუმჯობესება აზიასა და ევროპაში, დელი, ინდოეთი, 2008 წლის 3-4 დეკემბერი, გვ. 4.

სისტემებს დამატებითი ინსტრუმენტები გააჩნიათ (როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველწლიურ ანგარიშებში ასევე ასახულია ასეთი ინფორმაცია), რომლებსაც ისინი იყენებენ საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოძიების პროცესისა და შედეგების შესახებ. სააგენტოებში განსხვავებული სტანდარტები არსებობს თავიანთ ანგარიშებში სახელების და სხვა პერსონალური ინფორმაციის გამოქვეყნებასთან მიმართებაში.<sup>171</sup>

- *გამოძიებების შეჯამება და ტრენინგთან დაკავშირებული რეკომენდაციები - IOPC (ინგლისი და უელსი):*<sup>172</sup> ვებრესურსები მოიცავენ IOPC-ს გამოძიებების მოკლე შეჯამებას, პერსონალური ინფორმაციის მითითების გარეშე. ამ შეჯამებულ ინფორმაციაში მოკლედაა განმარტებული ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც დაიწყო გამოძიება, შეგროვებული მტკიცებულებები და დასკვნები. სადაც ეს აუცილებელია, გამოძიებების შეჯამებებში ასევე ასახულია ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ;
- *გამოძიების ანგარიშები - GSOC (ირლანდია):*<sup>173</sup> წყარო მოიცავს ანგარიშებს ინდივიდუალური გამოძიების შესახებ, პერსონალური ინფორმაციის მითითების გარეშე. ვინაიდან GSOC-ს ყველა გამოძიებასთან დაკავშირებით მოკლე შეჯამების მომზადების და გამოქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობა გააჩნია, იგი საზოგადოების ინტერესის ტესტს მიმართავს და შესაბამისად არჩევს და აქვეყნებს გარკვეულ გამოძიებებთან დაკავშირებულ ანგარიშებს;
- *SIU-ს საქმეების განხილვის სტატუსი*<sup>174</sup> და *SIU-ს დირექტორის ანგარიშები*<sup>175</sup> (ონტარიო, კანადა): SIU-ს აქვს უნიკალური ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიმდინარე გამოძიებების შესახებ. გამოძიების დასასრულს დირექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას პოლიციელისთვის სისხლის სამართლის ბრალის წაყენების, ან საქმის დახურვის თაობაზე, ყოველგვარი ბრალის წაყენების გარეშე. დირექტორი გამოძიების შედეგებს წარუდგენს გენერალურ პროკურორს. ანგარიშში დეტალურადაა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიზეზები. SIU არ აქვეყნებს რაიმე ანგარიშებს სექსუალური ხასიათის გამოძიებების თაობაზე;
- *თემატური და სასწავლო რესურსი* - ზემოაღნიშნული ანგარიშებისა და განახლებული ინფორმაციის გარდა, შესწავლილი სააგენტოები ამზადებენ პერიოდულ თემატურ ანგარიშებს და პუბლიკაციებს, რომლებიც განკუთვნილია პოლიციის, სხვა სამთავრობო უწყებების და ფართო აუდიტორიისთვის, რომელთა მიზანია დარღვევების პრევენციის გაუმჯობესება და ფართო საზოგადოების განათლება: *IOPC (ინგლისი და უელსი):*

<sup>171</sup> მაგალითისთვის, იხილეთ GSOC-ს პოლიტიკა (ირლანდია), რა ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია GSOC-ს მის გამოძიებებთან დაკავშირებით? <https://www.gardaombudsman.ie/about-gsoc/faqs/what-information-can-gsoc-disclose-about-its-investigations/?download=file&file=3139>.

<sup>172</sup> See at the following link of the web-site: <https://www.policeconduct.gov.uk/investigations/investigation-summaries-and-learning-recommendations>.

<sup>173</sup> იხილეთ შემდეგი ბმული ვებგვერდზე: <https://www.gardaombudsman.ie/publications/investigation-reports/>.

<sup>174</sup> იხილეთ ვებგვერდის ბმული: [https://www.siu.on.ca/en/case\\_status.php](https://www.siu.on.ca/en/case_status.php).

<sup>175</sup> იხილეთ ვებგვერდის ბმული: [https://www.siu.on.ca/en/directors\\_reports.php](https://www.siu.on.ca/en/directors_reports.php).

გამოცდილებაზე დაყრდნობით მოქმედება - ფოკუსი<sup>176</sup>, ზედამხედველობის ბიულეტენი<sup>177</sup>; PIRC: გასათვალისწინებელი ასპექტები.<sup>178</sup>

ყველა გამოკვლევული საგამომიებო ორგანო ინტენსიურად იყენებს სტატისტიკურ მონაცემებს ზემოქმედების გასაზომად. სანდო და ყოვლისმომცველი მონაცემების ხელმისაწვდომობა წამების, არასათანადო მოპყრობისა და პოლიციის სხვა გადაცდომების, და ამ ქმედებების გამომიების სფეროში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილია.<sup>179</sup> გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც საჩივრების ან გადამისამართებული საქმეების რაოდენობა დაბალია, ეს შეიძლება ნიშნავდეს დაბალ ნდობას და ინფორმირებულობას ინსტიტუტის შესახებ, ან სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თანამშრომლობის არარსებობას, რაც ხელს უშლის საჩივრების მიღწევას შესაბამის მექანიზმებამდე.<sup>180</sup>

გამოკვლევული ინსტიტუტების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ანგარიშების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობის მთავარ პრიორიტეტს შემდეგი ძირითადი ელემენტები წარმოადგენენ: #მიღებული საჩივრები; ზრდის/შემცირების %; #სხვა ინსტიტუტებიდან გადამისამართებული საჩივრები/საქმეები; ზრდის/შემცირების %; #დასრულებული გამომიებები; საქმის წარმოების ხანგრძლივობა და #შედეგები გამომიებების კატეგორიების მიხედვით (წაყენებული ბრალი, დისციპლინური ზომები და ა.შ.). იმავდროულად, იურისდიქციის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით, დამატებითი სტატისტიკური მონაცემების პრიორიტეტიზაცია და წარდგენა ცალკე ხდება: გარდაცვალების წლიური სტატისტიკა<sup>181</sup> - IOPC (ინგლისი და უელსი); ცეცხლსასროლი იარაღის და არა-ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევები, პატიმრობაში გარდაცვალების შემთხვევები<sup>182</sup> - PIRC (შოტლანდია); ავტოსაგზაო

<sup>176</sup> იხილეთ: <https://policeconduct.gov.uk/research-and-learning/learning-and-recommendations/focus>; ასევე, მაგალითისთვის იხილეთ რამდენიმე გამოცემა: *პოლიციის გასაჩივრების სისტემის ხელმისაწვდომობა*: [https://policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Focus/Focus\\_17\\_February2020.pdf](https://policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Focus/Focus_17_February2020.pdf); *გამომიებების ხარისხი*: [https://policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Focus/Focus\\_December\\_2016.pdf](https://policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Focus/Focus_December_2016.pdf).

<sup>177</sup> ხორციელდება კვარტალურად. მაგალითისთვის იხილეთ: [https://policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/OversightBulletin/Oversight\\_bulletin\\_quarter\\_one\\_201920.pdf](https://policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/OversightBulletin/Oversight_bulletin_quarter_one_201920.pdf).

<sup>178</sup> მაგალითისთვის იხილეთ რამდენიმე გამოცემა: <https://pirc.scot/media/5150/learning-point-issue-16-april-2020.pdf> and <https://pirc.scot/media/5025/learning-point-issue-15-september-2019-web.pdf>.

<sup>179</sup> S იხილეთ ევროპაში პოლიციის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამომიება, ევროკავშირის შვიდი ქვეყნის შედარებითი კვლევა, უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, 2017, გვ. 50.

<sup>180</sup> იხილეთ ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

<sup>181</sup> იხილეთ სტატისტიკის სექცია ვებგვერდზე: <https://www.policeconduct.gov.uk/research-and-learning/statistics>.

<sup>182</sup> იხილეთ სტატისტიკური მონაცემები წლიური ანგარიშის 28-ე გვერდზე: <https://pirc.scot/media/5058/pirc-commissioner-report-2018-19-single-pages.pdf>.

დანაშაული, სექსუალური ძალადობა<sup>183</sup> - SIU (ონტარიო, კანადა); ავტოსაგზაო შემთხვევები<sup>184</sup> - IPCA (დანია).

*უმეტეს შემთხვევებში*, სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია ზემოთ განხილულ წლიურ ანგარიშებში, ზეგავლენის ანგარიშებში და სტრატეგიის განხორციელების ანგარიშებში. თუმცა, რამდენიმე ორგანიზაციას აქვს ცალკე სექციები მათ ვებგვერდებზე, სადაც ასახულია სტატისტიკური მონაცემები და ანალიზი, რომელიც ყოველთვიურად, კვარტალურად ან ყოველწლიურად ქვეყნდება.<sup>185</sup>

სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ემყარება შესაბამის ოფისებში არსებულ ოფიციალურ ინფორმაციას, რაოდენობრივ გამოკვლევებს და კონფიდენციალურ ფორმებს, რომლებიც მომჩივანების მიერ გამოიყენება. როგორც ზემოთ აღინიშნა, PONI (ჩრდილოეთ ირლანდია) იყენებს ელექტრონულ ინსტრუმენტს - *პოლიციის ომბუდსმენის საქმის წარმოების სისტემას (CHS)* მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და სტატისტიკური ანგარიშების მოსამზადებლად.<sup>186</sup>

ინდივიდუალური მექანიზმები პერიოდულად (ყოველწლიურად, კვარტალურად) აწვდიან სტატისტიკურ ინფორმაციას სააგენტოების მიერ ჩატარებული მოქმედებების შედეგების შესახებ. ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ სხვადასხვა სისტემების დეტალურ მონაცემებს, სადაც ასახულია თავად ამ მექანიზმების მიერ ჩატარებული გამოძიებების შედეგები, და ინფორმაცია პოლიციის უწყებების მიერ ჩატარებული გამოძიებების/მოკვლევების თაობაზე წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი:

- *IOPC*<sup>187</sup> – 2018-2019 წლებში სააგენტომ სულ მიიღო 4,097 საჩივარი, რომლებიც გადამისამართებული იყო პოლიციის ძალების მიერ, რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 7%-ით მეტია. ამ პერიოდში დაიწყო 687 გამოძიება და დასრულდა 717 გამოძიება. ამ პერიოდის განმავლობაში სულ მიღებული იქნა 3,001 საჩივარი (პოლიციის ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით). 2018-2019 წლების განმავლობაში დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობამ 37% შეადგინა; აქვე შეგვიძლია ვნახოთ 2014/2015 წლების სტატისტიკურ მონაცემები, რომელთა შესაბამისადაც

<sup>183</sup> იხილეთ SIU-ს წლიური ანგარიში, 2018, გვ. 21: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

<sup>184</sup> იხილეთ <https://ipcan.org/members/the-danish-independent-police-complaints-authority>.

<sup>185</sup> *იქვე* ასევე იხილეთ GSOC-ს (ირლანდია) ვებგვერდის შესაბამისი სექცია: <https://www.gardaombudsman.ie/publications/statistics/>; იხილეთ SIU-ს (ონტარიო, კანადა) ვებგვერდის სექცია, სადაც ასახულია მონაცემები 1990 წლიდან: [https://www.siu.on.ca/en/report\\_occurrences.php](https://www.siu.on.ca/en/report_occurrences.php); ასევე, მაგალითისთვის იხილეთ PONI-ს (ირლანდია) მიერ მომზადებული კვარტალური ანგარიში: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/06/06442f1c-039c-49f8-8555-1199dec1a5c0.pdf>.

<sup>186</sup> იხილეთ შესაბამისი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/06/06442f1c-039c-49f8-8555-1199dec1a5c0.pdf>.

<sup>187</sup> იხილეთ 2018-2019 წლების ანგარიში და ფინანსური ანგარიში: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC annual report and accounts 2018-19.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC%20annual%20report%20and%20accounts%202018-19.pdf); იხილეთ <https://www.policeconduct.gov.uk/research-and-learning/statistics>.

ამ პერიოდის განმავლობაში მიღებულია 4108 საჩივარი, საიდანაც 39% დაკმაყოფილებული იქნა.<sup>188</sup>

- *PONI*<sup>189</sup> - PONI-ს მიერ 2017/18 წლების განმავლობაში მიღებული საჩივრების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 9%-ით შემცირდა და სულ დაახლოებით 2,600 საჩივარზე ნაკლებს შეადგენდა. ოფისის მიერ განხილული საჩივრების ერთ მესამედთან დაკავშირებით (33%) სრული გამოძიება ჩატარდა. ამ საჩივრების 24% -ის შემთხვევაში სააგენტომ მოიძია მტკიცებულებები, რომელიც მთლიანად, ან ნაწილობრივ ასაბუთებდა საჩივარს, ან გამოძიების შედეგად დამატებითი გამოწვევები გამოავლინა. წლის განმავლობაში 6 შემთხვევაში PONI-მ რეკომენდაცია მიაწოდა პროკურატურის დირექტორს, რომ პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ სამართალწარმოება უნდა წამოწყებულიყო. 197 შემთხვევაში PONI-მ რეკომენდაცია გასცა რომ პოლიციის ოფიცრის მიმართ დისციპლინური სანქცია უნდა ყოფილიყო გამოყენებული.
- *GSOC*<sup>190</sup> – 2008 წელს GSOC-მ მიიღო 1,921 საჩივარი, რომლებიც 2,944 ბრალდებას შეიცავდა. მშვიდობის მცველების (Garda Síochána- ირლანდიის რესპუბლიკის პოლიციის ძალები) მიერ 38 საჩივარი იქნა მიწოდებული სააგენტოსთვის, საიდანაც იკვეთება, რომ: „მშვიდობის მცველების წევრის ქმედებას სავარაუდოდ შეიძლება გამოეწვიოს ადამიანის გარდაცვალება ან მძიმე დაზიანება“. 17 საქმე გადაეცა პროკურატურას, აქედან 4 საქმესთან დაკავშირებით დევნა იქნა წამოწყებული, 9 საქმეზე ბრალი არ იქნა წაყენებული, ხოლო 4 საქმე განხილვის ეტაპზეა. 74 სანქცია იქნა დაკისრებული პოლიციის ოფიცრებზე ირლანდიის პოლიციის კომისრის მიერ წარდგენილი საჩივრების ან/და GSOC-ს გამოძიების შედეგად.
- *SIU*<sup>191</sup> - 2018 წელს SIU-მ 382 საქმეზე დაიწყო გამოძიება. ამ წლის განმავლობაში, SIU-მ გამოაქვეყნა 518 საინფორმაციო ბიულეტენი გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით: 119 საინფორმაციო ბიულეტენი გამოძიების ადრეულ ეტაპზე გამოქვეყნდა; 244 საინფორმაციო ბიულეტენი გამოქვეყნდა იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც დირექტორის აზრით არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ არ იყო საკმარისი საფუძველი ბრალის წაყენებისთვის; 136 საინფორმაციო ბიულეტენი გამოქვეყნდა იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც წარმოება შეწყვეტილი იქნა ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე (საქმე სააგენტოს მანდატის მიღმა იყო); 15 საინფორმაციო ბიულეტენი გამოქვეყნდა იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც ბრალის წაყენება მოხდა; 4 ბიულეტენი შეეხებოდა სხვა საკითხებს, რომლებიც არ უკავშირდებოდა საქმეებს

<sup>188</sup> იხილეთ ევროპაში პოლიციის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება, ევროკავშირის შვიდი ქვეყნის შედარებითი კვლევა, უნგრეთის პელსინჯის კომიტეტი, 2017, 64.

<sup>189</sup> იხილეთ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის 2017/18 წლების სტატისტიკური ბიულეტენი შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/PONI/files/dc/dcd7bf2f-612c-4c74-bd9a-64136d896632.pdf>.

<sup>190</sup> მშვიდობის მცველების ომბუდსმენის კომისიის 2018 წლის ანგარიში: <https://www.gardaombudsman.ie/publications/statutory-reports/?download=file&file=3161>.

<sup>191</sup> See SIU Annual report 2018: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).



(მაგალითად, წლიური ანგარიში, ბიბლიოთეკის სერია და ა.შ.). ზოგადად, SIU-ს პრაქტიკისთვის დამახასიათებელია ბრალის წაყენების შემთხვევების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი, და 2008-2013 წლებში იგი დაახლოებით 4%-ს შეადგენდა.<sup>192</sup>

### საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR)

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმების ანგარიშვალდებულების სისტემის მთავარი ელემენტია საზოგადოებასთან ურთიერთობები მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოყენებით. ამ დოკუმენტში განხილულ ყველა ქმედით მექანიზმს ჰყავს ძლიერი საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები და შესაბამისი განყოფილებები. ჩვენ ვხედავთ ინსტიტუტების ვებგვერდებიდან და მათი წლიური ანგარიშებიდან მათ მთავარ პოლიტიკასა და მიზნებს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებთან მიმართებაში. კვლევის ინსტრუმენტები გამოიყენება საზოგადოების ნდობის და ცნობიერების დონის გასაზომად. ანგარიშების ნაწილში ჩვენ უკვე განვიხილეთ გარკვეული პუბლიკაციები (თემატური და სასწავლო რესურსი), რომლებსაც მექანიზმები შეიმუშავებენ საზოგადოებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით. გარდა ამისა, შემუშავებულია სპეციალური მედია პროდუქტები დაწესებულების მუშაობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის პროაქტიულად მისაწოდებლად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ საქმიანობას თითქმის ყველა გამოკვლევული ორგანიზაცია ახორციელებს, ჩვენ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ სამი ყველაზე საინტერესო მაგალითი:

- *IOPC (ინგლისი და უელსი)* - რეგულარულად ატარებს საზოგადოების წევრების გამოკითხვას, რათა შეაფასოს მათი აღქმა და ცნობიერების დონე პოლიციის, პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების წარდგენის სისტემის და IOPC-ს შესახებ. ორგანიზაცია *საზოგადოებრივი აღქმის მონიტორის* ინსტრუმენტის მეშვეობით აგროვებს ამ მონაცემებს, რაც მას საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს შესრულებას მთელი წლის განმავლობაში. 2018/19 წლებში, IOPC-მ ექვსი გამოკითხვა ჩაატარა რეგულარული ინტერვალებით ინგლისისა და უელსის ზრდასრულ მოსახლეობაში. ბოლოს წინა კვლევამ მოიცავდა რესპონდენტთა შემდეგი ჯგუფების გაფართოებულ შერჩევას: 18–24 წლის ასაკი; შავკანიანი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ჯგუფი (BME); ლგბტ + რესპონდენტები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.<sup>193</sup> გარდა ამისა, IOPC-ს აქვს ცალკე პოლიტიკა: *ჩვენთან კომუნიკაცია სოციალური მედიით*.<sup>194</sup> IOPC აწარმოებს

<sup>192</sup> იხილეთ ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

<sup>193</sup> იხილეთ 2018-2019 წლების ანგარიში და ფინანსური ანგარიში: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC\\_annual\\_report\\_and\\_accounts\\_2018-19.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC_annual_report_and_accounts_2018-19.pdf).

<sup>194</sup> იხილეთ ვებგვერდის შემდეგ ბმულზე: <https://policeconduct.gov.uk/who-we-are/accountability-and-performance/our-service-standards/engaging-us-social-media>.

პერიოდულ პოდკასტებს და ბლოგებს<sup>195</sup> სხვადასხვა თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია დაწესებულების მანდატთან, და ასევე მოკლე ვიდეოებს ამზადებს.<sup>196</sup>

- *PONI (ჩრდილოეთ ირლანდია)* - ოფისი შეიმუშავებს და აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს საზოგადოების ინფორმირებულობის შესახებ.<sup>197</sup> ანგარიში ემყარება სტატისტიკურ ანალიზს, რომელიც ასახავს პოლიციის ომბუდსმენის მოდულის *Northern Ireland Life and Times* (NILT) გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილ მიგნებებს. კვლევის შედეგები გამოიყენება PONI-ს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის და მისდამი ნდობის მონიტორინგისთვის. შედეგები გამოიყენა ოფისის მიერ მისი შესრულების შედეგების გასაზომად მისი *ქულების დაბალანსების* ინსტრუმენტში ასახულ სამ მიზანთან შეჯერების გზით. მოცემული ინსტრუმენტი ასახულია სექციაში „საკვანძო დაინტერესებულ მხარეებში საჩივრების სისტემის შესახებ ცოდნისა და გაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა“. გარდა ამისა, PONI ძალიან აქტიურად თანამშრომლობს ტრადიციულ მედიასთან და სოციალური ქსელების პლატფორმებთან.<sup>198</sup>
- *SIU (ონტარიო, კანადა)* - SIU ძალიან აქტიურია საზოგადოებასთან კომუნიკაციის სფეროში. SIU-მ შეიმუშავა *კომუნიკაციის ყოვლისმომცველი პროგრამა*, რომლის მიზანია მედიასთან ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა, SIU-ს გამოძიებების კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა და დაინტერესებულ პირთა პირადი ცხოვრების ინტერესების პატივისცემა.<sup>199</sup> სააგენტოს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული საზოგადოებასთან ურთიერთობების მიზნები, რომლებიც მის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული:<sup>200</sup> *SIU-ს, მისი მანდატის და საგამოძიებო პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლება; არასწორი აღქმების გამოსწორება; ნდობის ამაღლება SIU-ს და ონტარიოს პოლიციის სერვისების კეთილსინდისიერების მიმართ; დაინტერესებული მხარეთა ქსელების ჩამოყალიბება და გაძლიერება უფრო ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობად; ინციდენტების შეტყობინებისა და თანამშრომლობის მზაობის ამაღლება (როგორც პოლიციის, ასევე საზოგადოების); ორგანიზაციის ოპერაციებზე კონსტრუქციული კონტროლის წახალისება; კორპორაციული ტრენინგისა და განვითარების შესაძლებლობების გაზრდა.* გარდა ამისა,

<sup>195</sup> იხილეთ შემდეგი ბმული ვებგვერდიდან: <https://www.policeconduct.gov.uk/news/our-podcasts-and-blogs>.

<sup>196</sup> იხილეთ სხვადასხვა ვიდეოები IOPC-ს დამოუკიდებლობის შესახებ: <https://www.youtube.com/watch?v=vj2dHNUeLw>; IOPC-ს განათლებაზე და სწავლებაზე მიმართული სამუშაოს შესახებ: <https://www.youtube.com/watch?v=ilEnE5evOIQ&t=2s>; სააგენტოს მუშაობის გაუმჯობესებაზე: <https://www.youtube.com/watch?v=-QtD0COpwJU>; IOPC-ს პოლიციასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის საჭიროებაზე: <https://www.youtube.com/watch?v=MeEeATFaK10>.

<sup>197</sup> იხილეთ წლიური ანგარიში 2018/19 წლებისთვის ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების წარდგენის სისტემის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის შესახებ შემდეგ ბმულზე: <https://www.policeombudsman.org/getmedia/9a42270f-7fe8-4409-a5f7-ecfc975ecd0d/Annual-report-on-public-awareness-of-the-police-complaints-system-in-Northern-Ireland-2018.pdf>.

<sup>198</sup> იხილეთ საინტერესო მოკლე ვიდეო PONI-ს მანდატის და მუშაობის შესახებ: <https://www.policeombudsman.org/Video-Audio/Video/An-introduction-to-the-Police-Ombudsman-s-Office>.

<sup>199</sup> იხილეთ დამატებითი ინფორმაცია შედეგ ბმულზე: [https://www.siu.on.ca/en/media\\_centre.php](https://www.siu.on.ca/en/media_centre.php).

<sup>200</sup> იხილეთ დამატებითი ინფორმაცია შედეგ ბმულზე: <https://www.siu.on.ca/en/outreach.php>.

SIU განსაზღვრავს თავის მიზნობრივ აუდიტორიას ამ ჯგუფებთან კომუნიკაციის გასაძლიერებლად: *ეთნიკური უმცირესობებისა და ემიგრანტების თემები; სტუდენტები (საშუალო სკოლების, კოლეჯების და უნივერსიტეტების); ახალგაზრდული ჯგუფები; სამეზობლოში არსებული ასოციაციები და სათემო ცენტრები; უსახლკაროებისთვის სოციალური მომსახურების მიმწოდებლები; ფსიქიკურად დაავადებული პირები და ახალგაზრდები; ადვოკატების ჯგუფები, რომლებიც დანაშაულის შემცირების მიმართულებით მუშაობენ; იურიდიული დახმარების კლინიკები; მკვიდრი მოსახლეობის ორგანიზაციები.* ორგანიზაციას გააჩნია სპეციალური პროგრამები ბავშვებისთვის და სტუდენტებისთვის,<sup>201</sup> და იგი ასევე ამზადებს მრავალფეროვან მოკლემეტრაჟიან ვიდეოებს,<sup>202</sup> რომელთა მიზანია ფართო საზოგადოების ინფორმირება.

### **თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან სახელმწიფოთაშორის დონეზე**

რადგან დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოები სამოქალაქო ზედამხედველობის მექანიზმებად განიხილება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კომუნიკაციას და კოორდინაციას ეროვნულ და სათემო დონეზე, და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნების სხვა მსგავს ინსტიტუტებთან თანამშრომლობას.

ყველა შესწავლილ ინსტიტუტს ღია და ეფექტური თანამშრომლობა აქვს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ადვოკატების სფეროში მუშაობენ, და ასევე მომსახურების მიმწოდებელ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან (იურიდიული დახმარება, კონსულტირება და დანაშაულის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სხვა მომსახურება). გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმები კონსტრუქციულად თანამშრომლობენ პოლიციისა და სხვა პროფესიების წარმომადგენლების პროფკავშირებთან. პროფესიონალთა აზრით, ასეთი პროფკავშირები ჩვეულებრივ ეწინააღმდეგებიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მანდატის ეფექტურად შესრულებას,<sup>203</sup> მიუხედავად ამისა, ინსტიტუტების მხრიდან ჩართულობაზე მიმართული პოლიტიკა მუდმივად არის მხარდაჭერილი.

ინდივიდუალური თანამშრომლობის გარდა, IOPC (ინგლისი და უელსი) და SIU (ონტარიო, კანადა) სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სხვა ჯგუფებთან უფრო ორგანიზებული სახით თანამშრომლობენ. IOPC-მ ჩამოაყალიბა *გარეშე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ჯგუფი*, რომელიც აერთიანებს როგორც კანონმდებლობით დადგენილ, ასევე სხვა

<sup>201</sup> იხილეთ SIU-ს 2018 წლის ანგარიში: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf). გვ. 11.

<sup>202</sup> იხილეთ შემდეგი ბმული: [https://www.siu.on.ca/en/siu\\_videos.php](https://www.siu.on.ca/en/siu_videos.php).

<sup>203</sup> ინტერვიუ ბატონ დანიელ ჰოლდერთან, დირექტორის მოადგილე, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი (CAJ), ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია (2020 წლის 21 აპრილი); ინტერვიუ ბატონ იან სკოტთან, სპეციალური საგამომიებო განყოფილების ყოფილი დირექტორი, ონტარიო, კანადა (2020 წლის 23 აპრილი).

დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრს, მაგალითად, საქველმოქმედო და კამპანიების ორგანიზებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციების, საპოლიციო უწყებების და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. ჯგუფი აყენებს აქტუალურ საკითხებს და კონსტრუქციულ უკუგებას აწვდის IOPC-ს მუშაობის შედეგებისა და საკვანძო პროექტების შესახებ, და მოქმედებს როგორც კონკრეტული თემების და მუშაობის შედეგების განმხილველი არაფორმალური საკონსულტაციო ორგანო. ეს ჯგუფი წელიწადში საშუალოდ სამჯერ ხვდება<sup>204</sup>. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, IOPC-ს აქვს სპეციალური გასაჩივრების საჩივრის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს „წინასწარ განსაზღვრულ ორგანიზაციებს“ (მაგალითად, საქველმოქმედო ორგანიზაციებს) დააყენონ ფართო ან სისტემური საკითხები სააგენტოს წინაშე.

2002 წელს ონტარიოში, კანადა, SIU-მ დაარსა *დირექტორის რესურს კომიტეტი (DRC)*, რათა ონტარიოს თემებს საშუალება ჰქონდეთ გააზიარონ თავიანთი მოსაზრებები SIU-ს მუშაობის შესახებ. DRC-ს მეშვეობით, SIU-ს დირექტორი იღებს საზოგადოების წევრებისგან ინფორმაციას და გამოხმაურებებს SIU-ს სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე და ტენდენციებზე. DRC შედგება საზოგადოების წარმომადგენლებისგან, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ და სათემო ჯგუფებს წარმოადგენენ.<sup>205</sup>

იმ სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებსაც ფედერალური ან რეგიონალური ტერიტორიული მოწყობა აქვთ, ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ადგილობრივი დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმების ქსელების არსებობის და მათ შორის თანამშრომლობის მაგალითები (მაგ. კანადა). მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებსა და იურისდიქციებს შორის ბილატერალური და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა არსებობს, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ საერთაშორისო ქსელების ორი მაგალითი, რომლებიც კვლევისთვის აქტუალურ თემებზე მუშაობენ და რომლებშიც ჩვენს მიერ შესწავლილი ინსტიტუტები არიან გაერთიანებული. ესენია: *პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი ადმინისტრაციების ქსელი (IPCAN)* - უსაფრთხოების ძალების გარე კონტროლზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი სტრუქტურების თანამშრომლობის და ინფორმაციის გაზიარების არაფორმალური ქსელი. ეს ორგანოები, რომლებიც ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არიან წარმოდგენილი, იღებენ და განიხილავენ სახელმწიფო უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებს, ხოლო ზოგჯერ კი კერძო პირების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებსაც. ამჟამად IPCAN-ში 22 წევრი ორგანიზაციაა გაერთიანებული<sup>206</sup>; უფრო ფართო მანდატის მქონე ქსელის კიდევ ერთი მაგალითია *კორუფციის წინააღმდეგ ევროპელი პარტნიორების ქსელი (EPAC)*, რომელიც 2004 წლის ნოემბერში შეიქმნა და მის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს

<sup>204</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ 2018-2019 წლების ანგარიში და ფინანსური ანგარიში: [https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC\\_annual\\_report\\_and\\_accounts\\_2018-19.pdf](https://www.policeconduct.gov.uk/sites/default/files/Documents/Who-we-are/accountability-performance/IOPC_annual_report_and_accounts_2018-19.pdf).

<sup>205</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <https://www.siu.on.ca/en/drc.php>; ასევე იხილეთ SIU-ს წლიური ანგარიში 2018 წლისთვის, გვ. 7: [https://www.siu.on.ca/pdfs/ar\\_2018\\_pdf.pdf](https://www.siu.on.ca/pdfs/ar_2018_pdf.pdf).

<sup>206</sup> მეტი ინფორმაცია ქსელის და მისი წევრების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://ipcan.org>.

წვერი ქვეყნების ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პოლიციაზე მონიტორინგზე და კორუფციასთან ბრძოლაზე.<sup>207</sup>

## დასკვნები და ზოგადი რეკომენდაციები

ევროპის ქვეყნებში დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმების კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა იურისდიქციაში ამ მხრივ სხვადასხვა გამოცდილება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მთელს კონტინენტზე ძლიერი დემოკრატიებისა და სამართალდამცავი სისტემების იდენტიფიცირება, პოლიციური კონტექსტისა და ისტორიის გათვალისწინებით, არ არის ბევრი ქვეყანა, სადაც *დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმების* მოდელები არსებობს, რომელთა შესწავლა მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს კვლევის მიზნის გათვალისწინებით, რაც მდგომარეობს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციური განვითარების ხელშეწყობაში. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და ამ მხრივ ქვეყნების წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრა განხილული უნდა იქნას, როგორც ამოსავალი წერტილი საუკეთესო მაგალითების ძიებისას. მეორე ფაქტორი არის საზოგადოების ნდობა და დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის აღქმა. სავარაუდოდ, ყველაზე განვითარებული სისტემები, რომელთა მაგალითზე კვლევის ფარგლებში ბევრი რამის სწავლა გახდა შესაძლებელი, გაერთიანებულ სამეფოში (ჩრდილოეთ ირლანდია, ინგლისი და უელსი, შოტლანდია), ასევე ირლანდიის რესპუბლიკაში, კანადაში (ონტარიო), ნორვეგიაში, დანიასა და შვედეთში არსებობს. ეს არ ნიშნავს, რომ კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვა ევროპული იურისდიქციები არ წარმოადგენენ ინტერესის სფეროს. პირიქით, საჭიროა ამ მიმართულებით მომავალში მეტი კვლევების წახალისება იმ მიღწევებისა და გამოწვევების გასაგებად, რომლებიც ევროპის სხვა იურისდიქციების წინაშე დგას, და ასევე მსოფლიოს სხვა ნაწილებში არსებული წარმატებულ სისტემების სიღრმისეული შესწავლა (იამაიკა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გვატემალა).

*ამ ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის და ანალიზის საფუძველზე, შემდეგი ზოგადი რეკომენდაციები შეიძლება მივაწოდოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მათი სამომავლოდ განხილვის მიზნით:*

- *მანდატი და იურისდიქცია* - საჭიროა დიალოგის წამოწყება პარლამენტთან და საგამომიებო უწყებებთან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატის გაფართოების შესაძლებლობის განხილვის მიზნით, რომელიც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ არსებულ სისხლის სამართლის სამართალდარღვევებს (დანაშაულებებს), არამედ ასევე სხვა სერიოზულ დანაშაულებებს, და ეთიკის კოდექსების მძიმე დარღვევებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა. მანდატი შეიძლება მოიცავდეს საჩივრების უშუალო განხილვას ან/და გასაჩივრების შესაძლებლობას (შესაბამის უწყებებში განხორციელებულ დისციპლინურ წარმოებაზე ზედამხედველობა); ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრაქტიკისა და მანდატის გათვალისწინებით

<sup>207</sup> მეტი ინფორმაცია ქსელის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.epac-eacn.org>.

განხილული უნდა იყოს მისთვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების მიზანშეწონილობა ზოგადი პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავების თვალსაზრისით;

- *ურთიერთქმედება საპროკურორო და სხვა საგამომიებო ორგანოებთან* - საპროკურორო ზედამხედველობის არსებული სისტემის ეფექტურობა (საქართველოში გამომძიებლებისა და პროკურორების სტატუსის თაობაზე მიმდინარე რეფორმის გათვალისწინებით) დამატებით შესწავლას საჭიროებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებელი და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად; საჭიროა უკეთ განისაზღვროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილება გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იქნას წამოწყებული. განხილული უნდა იქნას სხვა საგამომიებო ორგანოებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმების საკითხი;
- *ეფექტური საგამომიებო ინსტრუმენტები* - სასარგებლო იქნებოდა სასამართლო ექსპერტიზის, ან სხვა სახის ექსპერტიზის ჩატარების საკუთარი შესაძლებლობების განვითარება; რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ეროვნული კანონმდებლობის და მარეგულირებელი ჩარჩოების რეფორმირება წამოიწყოს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის (და სხვა საგამომიებო ორგანოების) მიერ ჩატარებული გამოძიებისთვის საჭირო ვიდეო/აუდიო მონაცემების ხელმისაწვდომობას, დამუშავებას და მართვას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეიძლება განიხილოს სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების მიზანშეწონილობა გამოძიების პროცესში სხეულის კამერებით (BWV) წარმოებული ვიდეოჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- *საჩივრები და მსხვერპლებთან/მოწმებთან ურთიერთქმედება* - საზოგადოებრივი ინტერესის ტესტის საფუძველზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილება კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უნდა განიხილოს საკანონმდებლო რეფორმის შესახებ დისკუსიის დაწყების მიზანშეწონილობა, რათა საქართველოში *საჩივრების წარდგენის სპეციალური მექანიზმი (Super-Complaint)* დაინერგოს. სასარგებლო იქნებოდა სამსახურის ბაზაზე სპეციალური მომსახურების დანერგვა (*ოჯახთან სამეკავშირე ოფისი ან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების პროგრამა*), რომელიც ხელს შეუწყობს მსხვერპლთან, ოჯახის წევრებსა და მოწმებთან კომუნიკაციას და მხარდაჭერას;
- *ინსტიტუციური განვითარება* - *სამოქალაქო ზედამხედველობის კულტურა* უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მმართველობაში; უნდა გაძლიერდეს შიდა მმართველობის პოლიტიკა და სტრატეგიული განვითარების მექანიზმი, და ზეგავლენის გაზომვის შესაბამისი ინსტრუმენტები უნდა იყოს ინტეგრირებული მასში; ამ კვლევაში მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, გარდა არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციებისა, მიზანშეწონილია შემუშავდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ცალკე პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების ეფექტურ მუშაობას; ამჟამინდელი მმართველობითი სტრუქტურის ზედა და საშუალო დონის ეფექტურობა უნდა შეფასდეს შესრულების წლიურ შედეგებზე დაყრდნობით; განხილული უნდა იქნას აღმასრულებელი გუნდის/SMT-ს შექმნის მიზანშეწონილობა. ასევე,

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უნდა განიხილოს მისი მმართველობის სისტემაში IOPC-ს დირექტორთა საბჭოს მოდელის დანერგვის შესაძლო უპირატესობა;

- *გამომძიებლების დაქირავება და შესაძლებლობების განვითარება* - სასარგებლო იქნება განხილული იქნას შესწავლილი ინსტიტუტების საგამომძიებო განყოფილებების სტრუქტურის დანერგვის მიზანშეწონილობა; სასურველია შემუშავდეს გამომძიებლების დაკომპლექტების პოლიტიკა (განვითარების ფაზებით), რომელიც განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიას ახალი (სამოქალაქო) გამომძიებლების ტრენინგისა და დაქირავების სფეროში; სტაჟირების პროგრამის დანერგვა ღირებულ წვლილს შეიტანს ინსტიტუციურ განვითარებაში; საჭიროა დაიხვეწოს გამომძიებლებისა და ხელმძღვანელი პერსონალის ფუნქციები/ტიპები და სამუშაოთა აღწერილობა ამ კვლევაში ასახული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გათვალისწინებით;
- *ანგარიშვალდებულება და ზეგავლენის გაზომვა* - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს განვითარების ყოვლისმომცველი გეგმის შემუშავება, რომლის განხორციელება წლიურ და კვარტალურ საფუძველზე გაიზომება სათანადო ინდიკატორების გამოყენებით. ამასთან, შეიძლება სასურველი იყოს ზემოქმედების ცალკე ანგარიშის შემუშავება; გასათვალისწინებელია IT ტექნოლოგიის (ონლაინ მონაცემთა ბაზის) გამოყენებით მიმდინარე გამოძიებების შესახებ ანგარიშგების დანერგვა; მიზანშეწონილია „დასრულებული“ გამოძიებების შესახებ პერიოდული ანგარიშგების შემოღება საქმეების მოკლე შეჯამების, ან სამსახურის მიერ მომზადებული განახლებული ინფორმაციის ფორმით წლიურ/კვარტალურ ანგარიშში;
- *საზოგადოებასთან კომუნიკაცია და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან/საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედება* - სასარგებლო იქნება კარგი კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიის და პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება (მათ შორის, სოციალურ მედიაში); უნდა დაინერგოს პერიოდული საზოგადოებრივი აზრის გაზომვის ინსტრუმენტები, რაც სამსახურის მიერ, ან გარეშე ორგანიზაციისთვის დაკვეთის გზით არის შესაძლებელი; გასათვალისწინებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან უფრო ინსტიტუციონალიზებული კომუნიკაციის/ თანამშრომლობის მაგალითები.

და ბოლოს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შემდგომი განვითარების მიზნით გაცემული ზოგადი რეკომენდაცია იქნებოდა შესწავლილ საუკეთესო სისტემების უფრო სიღრმისეული გაცნობა, რაც შეიძლება მოიცავდეს სასწავლო ვიზიტს გაერთიანებულ სამეფოში და ინტენსიურ დიალოგს SIU-სთან (ონტარიო, კანადა) გამოცდილების გაზიარების მიზნით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უნდა განიხილოს *პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი ადმინისტრაციების ქსელში (IPCAN)* გაწევრიანების შესაძლებლობა, ისევე როგორც ახალი ინიციატივის - „თბილისის კონფერენციის“ წამოწყება, რომელიც შეიძლება ყოველწლიურად ჩატარდეს და ამ სააგენტოების წარმომადგენლები მოიწვიოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო პრაქტიკის და გამოწვევების განხილვის მიზნით, რომლებიც ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმების წინაშე დგას.